



# ისტორიული მარკვიზების

სამათების-კონფლიქტის შურის 2013 წ. ოქტომბერი, №10 (39), ფასი 3 ლარი



**«პატირიტ» მანდაკოლიძესა  
და «ურჩეულ» ბერიაზე**

19



**ჩერქეზთა გეორგიის  
აღიარება არ იყო ისტორიული  
სამართლის აღზევენ**

4

**კავკაციის  
რომ და  
საქართველოს  
აღგილი  
ჩაიმონის  
გეორგი-  
ლიტიკურ  
სტრუქტურა**

**რას  
უცხოებან  
გოგე-  
ჰავილის  
«დაზა  
ცას»?**

**იოსებ  
სტალინი  
ჯავახ  
პატია-  
გვილის  
თვალით**

**ლეო  
ბოკარისა —  
თანამე-  
დორვაობის  
გამოწვევის  
კარიბო-  
32 ქირურგი**

**ვარიკო  
აცავარიძე  
— მომხმ-  
ელავი და  
განევორ-  
34 რეალი**

**38 ივლი  
სტრუქტა —  
საქართველოში  
მოძვალე  
გამოქვეყნი**

**40 გალა  
გალვა-  
გვილი და  
«გაცავა»**

გერიგო ანჯაფარიძე:  
კაციები რამდენიმე გაიგორეთ  
„პეტის ნებისაათ“,—  
„უ ჯაიჯელებათ. ჩემი  
სასისი არ დევილია,  
ეს ძალა არ გადახას,  
გაჭილებულ  
დაუცხრალებულია,  
უსარებობას,  
ეს ტიტოსნებისა და  
უნდარებისტების,  
მის უფრო გულაურვად  
ეს ჯილდოზე, რომელ  
დაუცხრაშ შეიძლო  
უკავებო, რაც უფრო  
მეტად ჰელლო  
სა ჯილდო.  
თვით გროვანი.



# სარჩვი

გეოგრაფიული იდენტიური მონაცემები

■ <b>სახაზიარო-კრაქტიკული კოცერაცია „ჩარჩაზე გაცემის აღიარება: მიზანი და უძველებელი“</b>	4
■ <b>ვალების ღონისძიებები: ხდება ისტორიის ტოპიალიაზი დამასკვებები და ამის უძველებელი ისტორიული აღიარების შესახებ</b>	10
■ <b>კავკაციის რომ და საქართველოს აღიარები რეგიონის გეოგრაფიკულ სტრუქტურაზე</b>	13
■ „რა ეცა ზახელს“ <b>რას უცევება გოგიანავილის „დაზუ ეცას“?</b>	16
■ <b>სიმართლე „ყატარობი“ გაღლაკებისა და „ერთეულ“ ბარიზა</b>	19
■ <b>ზოგის თარო იმსახ სტალინი ჯუმარ კატიავილის თვალით</b>	25
■ <b>ცხოვილი ქართველები ლეო ბოკაზია – თაცხოვანვარგის გამოჩენილი კადიონებისაზე</b>	32
■ <b>სცენის რსფანები ვერიკ აცეაფარიძე – მომისახურებული და გაცემორიგებული</b>	34
■ <b>კულტურული ურთიერთობები იული სტაუერ – საქართველოში მოძვალე გამოქვებები</b>	38
■ <b>ახალი თარგმანი ბეჭა გაღვანავილი და „შავანა“</b>	40
■ <b>თბილისის ისტორია თბილისი და მისი გამოგარენი</b>	42
■ <b>სელოვება ლადო გელიავილი: მოსახული ვაჩ, რომ კიბარეთიკის ისტიტუტის გაციენის აქვს სიყვარული საფვის</b>	48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95



# სამართლის მიზანი და გენერაცია «ჩარჩოს განვითარების აღმართობის აღდგენი»

ჩერქეზთა განვითარების აღმართობის აღდგენი  
არ იყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენი

ჩერქეზთა გენოციდის თემაზ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან წამოიწია — ხან მიჩუმდებოდა, ხან გააქტიურდებოდა. როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკა აირჩია, აქტიურად დაიწყო ამ თემის გამოყენება და მისით სპეცულირება და, რაც მნიშვნელოვანია, ეს არ იყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილით გადადგმული ნაბიჯი.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის მაისში ჩერქეზთა გენოციდის აღიარებიდან მცირე დრო გავიდა და პირველმა რეაქციებმაც გადაიარა, მაგრამ კითხვები — რას მოუთან კავკასიას ჩვენი, ერთველების, ეს ნაბიჯი — ეს აღიარება? შეიცვლება თუ არა დამოკიდებულებები და მიღმოები თუ საქართველოს მიერ წარმოებული კავკასიური პოლიტიკა უპრალო სიმპოზიურობის ფარგლებს ვერ გასცდება? ზოგადად, რეგიონში რა პროცესებს უნდა ველოდოთ? — კვლავაც დისკუსიის საგანია. უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ეს, გარკვეულწილად, სარისკო ნაბიჯი იყო, მაგრამ კონკრეტულად რაში გამოიხატება რისკი

ფაქტორები, ამის დაზუსტებით თქმა მაინც საკმაოდ რთულია. შესაბამისად, პროგნოზებიც საფრთხილოა, ვინაიდან საქმე ჩვენი რთული რეგიონის სტილისათვის სათუთ თემას ეხება. თანაც, მიუხედავად ნალჩიკში დემონსტრაციაზე გამოჩენილი თითო-ოროლა ქართული დროშია, ჩერქეზებს რამე მკვეთრი პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

25 სექტემბერს თბილისში, სასტუმრო BETSY'S HOTEL-ის საკონფერენციო დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ჩერქეზების გენოციდის აღიარების მიზანსა და შედეგებს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიუძღვნა. კონფრენციის მონაწილეებმა მრავალი ურთიერთგამომრიცხავი ვარაუდი გამოთქვეს,

მაგრამ ხაზგასმით ითქვა, რომ ეს ჩვენი ქვეყნისთვის წამგებიანი პოლიტიკური სელაა, რომლისგანაც მივიღეთ კიდეც ახალი „სიურპრიზები“ — თავსატეხი და თავშისაცემი საკმაოდ დაგვიგროვდა.

კონფერენციაზე ქართველი მეცნიერები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, პუბლიცისტები, ურნალისტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მოწვეული სტუმრების წინაშე აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოხსენებებით წარსდგნენ. კონფერენციას უძღვებოდა ღონისძიების ორგანიზატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე.



**ტარიელ გაგნიძე:**

„ჩერქეზების გენოციდის აღიარების შესახებ დადგენილება საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 20 მაისს მიიღო. ძალიან ხელოვნურობის ელფერი კი დაჰკრავდა თავიდან ამ ყველაფერს,

**«ამ თაოს წამოწვის მიზანია  
აგრძელები ისლამისტიკის იდეოლოგიური  
საფუძვლის შექმნა, რათა შემდგომი  
განახლების ესკადრის ჩატარების  
ფარგლების იმ ტერიტორიებზე, რომელიც  
არ არის ჩრდილოეთი კავკასიური ეროვნების  
სახელმწიფო აღმართობის წარმონაქმნები»**



ხოლო, როცა ამის შემდეგ მსოფლიოში მნიშვნელოვანი პროცესები განვითარდა, ახლებურად და-ვინახეთ ე. წ. ჩერქეზული გენოციდი, მიმდინარე პროცესები და ისიც, თუ რა იდგა რეალურად ამ საკითხების უკან.

ჩემი ღრმა რნმენით, ამ თემის ნამონევის მიზანია აგრესიული ისლამისთვის იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა, რათა შემდგომში განახორციელონ ექსპანსია რუსეთის ფედერაციის იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც არ არის ჩრდილოკავკასიური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები; მაგალითად, ჩეჩენითის ან დაღესტნის რესპუბლიკების მსგავსი. ასევე, ეს ყველაფერი, ვფიქრობ, უკავშირდება იმ გლობალურ პროექტს, რომელიც „ანაკონდას მარყუჟის“ ან „დაძაბულობის რეალის“ სახელითაა ცნობილი მსოფლიო გეოპოლიტიკაში და გულისხმობს რუსეთის ფედერაციის სამხრეთი და დასავლეთი საზღვრების გასწვრივ მუდმივი დაძაბულობის კერების შექმნას და მათით მანიპულირებას.

აქვე ერთი რამ მინდა ვთქვა: რო-  
დესაც საქართველოს ყოფილი ხე-  
ლისუფლება ამ ავანტიურაში აბ-  
ამდა საქართველოს, არ ვიცი, შეგ-  
ნებულად, არ ვიცი, გაუცნობიე-  
რებლად, ისინი აბსოლუტურად არ  
ითვალისწინებდნენ შესაძლო შე-  
დეგებს. გავიხსენოთ თუნდაც ის  
ავადსახსენებელი პერიოდი სა-  
ქართველოს წარსულიდან, რომე-  
ლიც ლეკიანობის სახელითაა  
ცნობილი და რომელიც გამოწვე-  
ული იყო ჩრდილოკავკასიელი ტო-  
მების გამუდმებული თარეშით სა-



ქართველობში საუკუნეების გან-  
მავლობაში, რამაც ქვეყნის აპი-  
ლუტური გაპარტახება გამოიწვია  
— ეს ერთიდა მეორეც: ბეჭავა-  
ლოთ თვალი იმ პროცესშია,  
რომელიც განვითარდა  
„არაპული გაზაფხულის“  
ქვეყნებში, რა ზედი ენიათ იძ  
მოსახლე ერისთიანებს, კერ-  
ძოდ, მართლდადიდებლებს,  
და იმ ასეპულ ერისთიანულ  
სიცონდენებს — რომორ ამ-  
ონევითეს ადამიანები და და-  
ანგრიეს ყველაფერი. რადი-  
კალური ისლამისთვის არ  
ცოგენ სახელმწიფოთა საზ-  
ღვრებს და აცხადებან, რომ  
ყველა მუსლიმანის დამცვე-  
ლები არიან. აერდან გამოა-  
დინარე, მათ ეძლევათ იდეო-  
ლოგიური საფუძველი, რომ  
თქვან, თითქოს რუსეთმა გე-  
ნერაციი მოუწყო მათ ძრებს  
და აგიორგულდება გადასუსაღონ  
სამაგისტრო.

რაც შეეხება კონფერენციის მიზანს, ჩვენ გვინდა, კარგად გავი-

აზროთ და გავაანალიზოთ საქართველოს როლი აღნიშნულ პროცესში და, თუკი ასე გაგრძელდება, მაშინ გამოიყენოთ მას და მას განვითარების მიზანისთვის.

დღევანდელი კონფერენცია არ-ის მცდელობა, ახლებურად გავა-ანალიზოთ არსებული ვითარება და საქართველოს როლი ზემოალ-ნიშნულ პროცესებში“.



«2011 წელს ჩიარეზების განოციდის  
აღიარებით მაყიდველება მთავრობამ  
საქართველო კალიან ცუდ პროცესები  
ჩართო. დღევანდველი კოფერაცია არის  
მცირებული, ახლა უკად გავაანალიზოთ  
არსებული ვითარება და საქართველოს  
როლი ზემოაღნიაველ პროცესებში»

ვალერიან დოლიძე,  
თსუ-ს პროფესორი, ისტორიის  
მეცნიერებათა დოქტორი:

„სააკამპილის ხელისუფლებამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგი იდეოლოგიური ბრძოლა და-



იწყო. ჩერქეზების გენოციდის აღიარებაც ამ პრძოლის შემადგენელი ნაწილია. გახსოვთ, ალბათ, რომ საქართველოს პარლამენტში შეიქმნა ჯგუფი, რომელიც კავკასიელ ხალხებთან ითანამშრომლებდა. მათ რამდენიმეჯერ მიმართეს ჩრდილოკავკასიელი ერების პარლამენტებს ურთიერთთანამშრომლობის თხოვნით, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ. ამის შემდეგ აშშ-ში კონფერენციების გამართვა დაიწყო, საქართველოს პარლამენტს გარკვეულმა ჯგუფებმა გენოციდის აღიარების მოთხოვნით მიმართეს და ა. შ. თუმცა აღნიშნულ აღიარებას ჩერქეზების მხრიდან ერთმნიშვნელოვანი რეაგირება არ მოჰყოლია — ზოგი თვლიდა, რომ საქართველოს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება კარგი იყო, ზოგს იგი მხოლოდ პოპულისტურ გადაწყვეტილებად მიაჩინია, ზოგმა კი საქართველოს ბოდიმის მოხდისკენ მოუწოდა, რადგანაც ქართველები იმ დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების რიგებში იბრძოდნენ.

ის, რაც ჩერქეზ ხალხს თავს დაატყდა, ნამდვილად ტრაგედია იყო, მაგრამ საკითხავია, შეიძლება თუ არა მას გენოციდი ვუწოდოთ. საამისოდ ჯერ აღნიშნული საკითხის დეტალურად შესწავლა უნდა მოხდეს. ეს ადვილი დასამტკიცებელი არ არის. გენოციდი არის იურიდიული ტერმინი, ეს არის დანაშაული. კონკრეტული ქმედება რომ დაკვალიფიცირდეს, როგორც გენოციდი, მას კვალიფიციური იურისტების უდიდესი მუშაობა სჭირდება. ჩერქეზების გენოციდის აღიარებას დეისტორიზაციასა და ისტორიის გათანაბედროვებას ვუწოდებდი, რაც არასწორია. საქართველოს პარლამენტს არ ჰქონდა უფლება, პირდაპირ დაეკვალიზიცირობინა ჩერქეზების საკითხები. უფრაზი მონაცემები და მათ გადაწყვეტილება გადაწყვეტილებად მიაჩინია, რადგანაც ქართველები იმ დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების რიგებში იბრძოდნენ.

ქართველოს მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკური მიზნები, კერძოდ, აღიარება გათვლილი იყო იმაზე, რომ გაძლიერებულიყო ანტირუსული სეპარატისტული მოძრაობა“.



ირაპლი უპილავა, ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის თავმჯდომარე:

„ბევრი ისტორიული წყარო არსებობს იმის თაობაზე, რომ ჩერქეზები ნარმოადგენდნენ ჩვენი ისტორიული მტრების, ოსმალების, მთავარ დასაყრდენს კავკასიაში. ერთ-ერთი თურქი ისტორიკოსი პირდაპირ აღნიშნავს, რომ თურქებს სჭირდებოდათ ჩერქეზები დასაყრდენად და მათ მეომრებით ამარავებდნენ. სწორედ ჩერქეზების დახმარებით თურქეთი ქმნიდა ბუფერს რუსეთის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ ოსმალებით დასუსტებულიყო, რუსეთი იძულებული გახდა, მისთვის გეოპოლიტიკური დასაყრდენი მოშალა, წმინდა რეალური პოლიტიკის თვალსაზრისით, ნებისმიერი იმპერია ამას გააკეთებდა. შესაძლოა, ეს არა პუმანური იყო რუსეთის მხრიდან, მაგრამ, რეალური პოლიტიკის თვალსაზრისით, ადეკვატურ რეაქციას ნარმოადგენდა. რაც შეეხება პრობლემის ქართული კუთხით შეხედვას, საქართველოსთვის, ცხადია, მომგებიანი იყო ოსმალებითი იმპერიის დასუსტება, ეს მართლმადიდებლური იმპერიების აღმასვლის მაჩვენებელი იყო, რაც ხელს შეუწყობდა კავკასიის რეგიონში მაშინდელი მართლმადიდებელი

ხალხების ერთიან კულტურულ სივრცეში მოქცევას, თვითმყოფადობის შენარჩუნებას და შემდგომში იმ ღირებულებებზე დაყრდნობით ერის და ნაციის ჩამოყალიბებას, რაც მოხდა კიდეც.

დღეს კი ამ კუთხით მუშაობს სხვადასხვა ინტელექტუალური ცენტრი, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ სტრატეგიას ამუშავებენ. საერთო ველოს მიერ გენოციდის აღიარების სამართლებური ცენტრის მიერ იყო „ზემოდან“ ნაკანახევი და იგი რუსეთის დაბლას ემსახურებოდა. როდესაც ამაზეა საუბარი, ჩვენ გვაიწყდება ირანი, რომელიც მიძინებულ მდგომარეობაში იმყოფება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩინია, რომ საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 20 მაისს მიღებული გადაწყვეტილება არის უპასუხისმგებლო და დადგა დრო, ვიმსჯელოთ ამ დადგენილების დენონსაციაზე“.



ნანა დევდარიანი, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი:

„ჩერქეზული საკითხის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი ბოლო დროს ძალიან, „მოდაშია“ — ერეკლე მეორის დადანაშაულება, რომ არჩევანი ევროპის მიმართულებით კი არა, რუსეთისკენ გააკეთა. მოდით, გავიხსენოთ, რა ხდებოდა ევროპაში: ევროპის მთავარ სახელმწიფოებში ყველა მონარქი ან ჩამოახრჩეს, ან თავი მოაჭრეს, ან გააძევეს და ა. შ.

ხომ არ გვავინუდება, რომ ერეკლე  
მეფე არ იყო რესპუბლიკური პარ-  
ტიის ლიდერი — რომ ის იყო მო-  
ნარქი და არ წავიდოდა იქით, სა-  
დაც მონარქებს ასეთ მდგომარე-  
ობაში აგდებდნენ.

გადავხედოთ ისტორიის ქრონიკოლოგიას: თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ ტერმინი „გენოციდი“ შეიძლება გადავიტანოთ წარსულში თუნდაც ფიგურალურად და გამოვიყენოთ ის, როგორც მომხდარის აღნერილობა, მაშინ მე მოგიყვანოთ რამდენიმე მაგალითს.

მოდი, ვნახოთ, რა მოხდა ამერიკელი ინდიელების შემთხვევაში და იყენებენ თუ არა თავად ამერიკული ფონდები ამ შემთხვევაში ტერმინ „გენოციდს“. ევროპელი კოლონიზატორების მიერ 15 მილიონამდე ინდიელია განადგურებული და ამ ფაქტს ამერიკელი მკვლევარები და ანალიტიკოსები „დემოგრაფიულ კატასტროფას“ უწოდებენ. ძალიან სასაცილოდ გამოიყურება, როდესაც დღეს განვითარებული ევროპული სახელმწიფოების წარმომადგენლები ჭკუას არიგებენ ჩვენნაირ ქვეყნებს, რომ ქსენოფობია ცუდია, ჰომოფობია ცუდია, ტოლერანტული უნდა იყო და ა. შ. მაშინ, როდესაც მთელ მათ ისტორიას ოდნავ თითო რომ დააჭირო, სისხლი გამოიყონავს.

დაუტორუნდეთ თანამედროვეობას და გნახოთ, სად გაჩნდა პირველად ოფიციალურ დონეზე განცხადებები ჩერქეზთა გენოციდის თაობაზე — ეს არის 1992 წელს ყაბარდო-ბალყარეთის უმაღლესი საბჭოსა და 1994 წელს ადილის



ორ უნდა აღვიქევათ ეს, რომ ქართველები არ იყურებიან დოკუმენტებში, როგორც ეს მოხდა დათდან გასვლის შემთხვევაში, თუ შეგნებულად გაკეთდა?! თუ საქართველოს მაშინდელია ხელისუფლებამ იცოდა ამ ძოკუმენტების თაობაზე, მაგრინ გამოდის, რომ მათ ზემოხელულად მიაყენეს დარტყმის ჩვენი ეპიდემიაში.

სამწუხაროდ, კოლონიზაციის  
მცდელობებითანამედროვე მსო-  
ფლიომში დღესაც ხდება, ოლონდ  
ამას აღარ ჰქვია კოლონია და მე-  
ტროპოლია, ამას ჰქვია დემოკრა-  
ტიის დამყარება. არის ასეთი ახა-  
ლი ანეკდოტი სოციალურ ქსელ-  
ში — „ანტარქტიდაზე აღმოაჩი-  
ნეს ბუნებრივი აირი და ნავთობი,  
სისხლისმსმელი პინგვინების რე-  
ჟიმს სულ მაღლ მოეღება ბოლო“.  
ყველაფრის უკან დგას რესურსე-  
ბის საკითხი, მეორე ადგილზეა  
საკუთარი ეროვნული ინტერესე-  
ბის გავრცელება სხვადასხვა რე-  
გიონში.

დღევანდელი ვითარებით, ჩერ-  
ქეზეთში არანაირი ენთუზიაზმი  
არ შეინიშნება იმის გამო, რომ სა-  
აკადემიულის ხელისუფლებამ ეს  
ფაქტი გენოციდად აღიარა. ეს  
ყველაფერი იყო გარედან მარ-  
თული. ის ხელისუფლება, რო-  
მელსაც 2008 წლის აგვისტოს  
ომის შემდეგ აღნიშნული აღია-  
რებით რუსეთის გაბრაზება მო-

«დღევანდელ კოლიტიკოსებს  
თავისი სავარძელი უფრო უყვართ,  
ვიდრე ქვეყანა, პროგლემა ამაშია.  
მთელი ეს აღიარება ჩვენებთა  
განოცილის შესახებ ამის  
ნათელი დაზარატერებული»



**უნდა, ნამდვილად არ არის ადეკვატური.**

დღევანდელ პოლიტიკოსებს თავისი სავარძელი უფრო უყვართ, ვიდრე ქვეყანა, პრობლემა ამაშია. მთელი ეს ალიარება ჩერქეზთა გენოციდის შესახებ ამის ნათელი დადასტურებაა".



**გიორგი მდივანი, მკვლევარი:**  
„რა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარება? ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სააკაშვილის მთავრობა ცდილობდა ჩერქეზთა თემით მანიპულირებას:

1. ეს იყო ყოფილი ხელისუფლების უსუსური მცდელობა, წაგებული იმის სანაცვლოდ რამე სახის დიპლომატიური ზიანი მიეყენებინა რუსეთისთვის;

2. ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით წინა ხელისუფლებას რუსეთის იმიჯის შესუსტება ჰქონდა განზრახული ჩრდილოეთ კავკასიაში;

3. რუსეთის მოქალაქეების განცყობა საქართველოს წინააღმდეგ, რადგან აღნიშნული აღიარებას წარმოადგენდა გალრმავებას ემსახურებოდა".

ბა კავკასიის ერებსა და რუსებს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობის კიდევ უფრო გალრმავებას ემსახურებოდა".



**პეტრე მამრაძე, ედუარდ შევარდნაძის და მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი:**

„მე მქონდა სამუალება, ამ პროცესებს შიგნიდან დავკვირვებოდი.

მე გამოვაქვეყნე წიგნი „08.08.08“, რომელშიც დეტალურად არის ასახული, თუ რა ჩაიდინა სააკაშვილმა 2008 წელს, მანამდე და მას შემდეგ. მიხეილ სააკაშვილი ჩემი რეკომენდაციით დაინიშნა კავსაძის კომიტეტში (ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი — რედ.) და ვიყავი ძალიან დაახლოებული მასთან, ამიტომაც პასუხს ვაგებ ყველა სიტყვაზე, რასაც ვიტყვი. პირველი, 2007 წლის შემოდგომის და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მის გუნდში არ არსებობდა ისეთი ადამიანი, რო-

მელსაც შეეძლო მისი ახირებების და სრულიად უაზრო, კონტრპროდუქტიული, მავნე მოქმედებების შეკავება. ასეთ ვითარებაში რაციონალური აზრის ძიება იყო შეუძლებელი. მინდა გითხრათ, რომ აგვისტოს მეორე ნახევარში სააკაშვილმა გულში ჩაიდო რევანში რუსეთის წინააღმდეგ და იგი გეგმავდა, რომ ახალგორის რაიონში ჩაეტარებინა სამხედრო ოპერაცია, იქიდან განედევნა რუსი სამხედროები და დაებრუნებინა ახალგორის რაიონი. გთხოვთ, წარმოიდგინოთ ვითარება — ტანკები დგას იგოეთთან და ყველგან, ამ დროს კი სააკაშვილი წარმატებით ატარებს ოპერაციას ახალგორში, სადაც შეაგზავნიდა სპეციალურ რაზმს. ხომ წარმოგიდგინიათ, ამას რა მოჰყვებოდა?! მერე აღმოჩნდა, რომ იმავეს გეგმავდა კასპშიც. ჩვენი ჩარევით ეს არ მოხდა.

ამის შემდეგ მან 2008 წლის შემოდგომაზე დასახა რუსეთის დაშლის გეგმა. მან ეს გამოუცხადა უცხოელ დიპლომატებს, რამდენიმეჯერ თქვა საჯაროდ, ხოლო 2009 წლის თებერვალში პარლამენტში ბრძანა, რომ იგი „ცხვირიდან ძმარს ადენდა“ რუსეთს. სააკაშვილმა ვიწრო წრეებში არაერთხელ განაცხადა, რომ იგი დაშლიდა რუსეთს და ამ პროცესს ჩრდილოკავკასიიდან დაიწყებდა. 2007 წლის ივლისში სააკაშვილი იჯდა თავის კაბინეტში რუსის ფონზე და ამბობდა, რომ ახლა აიღებდა ცხინვალს, 2 საათში აიღებდა ჯავას, გადაკეტავდა როკის გვირაბს და მერე ამერიკაც და რუსეთიც უნდა შეეგუონ ახალ რეალობას. ძალიან განაწყენებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომელიც უკრძალავდა ამ გეგმის განხორციელებას. 2009 წელს ერთ-ერთმა ცნობილმა რუსმა მოღვაწემ მითხრა, რომ ამერიკელი პარტნიორები ყოველთვის აფრთხილებდნენ რუსებს სააკაშვილის მილიტარისტული აგრესიული მისწრაფებების თაობაზე. ასე მოხდა 2008 წლის ივლისშიც, კონდოლიზა რაისის ვიზიტის შემდეგ, ამე-

**«სააკაშვილება ვინჩო ნებებში არაერთხელ განაცხადა, რომ იგი დაუკლიდა რუსეთს და ამ პროცესს ჩრდილოკავკასიიდან დაიწყება»**

რიკელებმა რუსებს უთხრეს, რომ ისინი აფრთხილებდნენ სააკაშვილს შესაძლო შედეგებზეც და იმაზეც, რომ არ ჩაერეოდნენ ამ საკითხში, მაგრამ ამერიკელები გარანტიას ვერ იძლეოდნენ, რომ ეს ადამიანი არ დაიწყებდა საომარ მოქმედებებს ათხაზეთსა ან სამხრეთ ოსეთში.

**სააკაშვილის თავისი გაგმის განხორციელება მაინც დაიწყო.** ჯეიმსთაუნის ფონდი მთლიანად დააცინანსა პრეზიდენტმა. მათ დაიწყეს პირდაპირი კავშირის დამყარება ჩრდილოკავკასიის სალხების იმ ჯგუფებთან, რომელთაც რუსეთიდან გამოყოფა უნდოდათ. ამ დავალებით საქართველოს პარლამენტიდან გაიგზავნა შესაბამისი წერილები, საიდანაც უარყოფითი პასუხები მიიღეს. ამასგარდა, დაიწყეს ჩრდილოკავკასიის სალხების დიასპორებთან კონტაქტების დამყარება, მაგრამ ვერ ნახეს თანამორაზრები. აამუშავეს ტელეკომპანია „პიკი“.

სააკაშვილი ხმირად ამბობდა, რომ იყირუსეთის დაშლას ამ ტელეკომპანიით აპირებდა, რამაც ასევე უკუშედეგი გამოილო. შეერთებული შტატები ძალიან გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთვის უვიზორეული იქნა დაწესებული. მაშინ პირველად ვნახე ამერიკის ელჩი საქართველოში, ჯონ ბასი, ასე გაცეცხლებული, რადგან მან საყვედური მიიღო საკუთარი ხელმძღვანელობისგან. გენოციდის აღიარებაც, რა თქმა უდეა, რუსეთის დისპრეზიტაციის იქნა მიღებუ-

**ლი. მე ვარ ცოცხალი მოწმე იმისა, რომ არ დარჩა ევროპელი დიპლომატი და ამერიკელი ჩინოვნიკი, რომელმაც ქილიკით არ მკითხა, თუ როგორ ვაპირებდით სომხეთისთვის აგვეხსნა, რომ მათი გენოციდი საქართველოს პარლამენტმა არ განიხილა. საბაბაშვილს უცდოდა ერთი რამ, რომ როგორმა გაეღიზიანებინა პირადად პუნდა გავაკეთოთ“.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს გაზიტ „ილორის“ მთავარმა რედაქტორმა რობერტ ჭალალანიშვილმა და კონფერენციის სხვა მონაწილეებმა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს გაზიტ „ილორის“ მთავარმა რედაქტორმა რობერტ ჭალალანიშვილმა და კონფერენციის სხვა მონაწილეებმა.

გამართა ფართო დისკუსია. ხაზი გაესვა იმას, რომ საქართველოს ეს ნაბიჯი შეიძლება შეფასდეს საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთ ნაბიჯად მარგინალიზაციისკენ; ამასთან, ჩრდილოკავკასიელი ხალხი საქართველოს ხელისუფლების პროცესიაზე წამოსაგებად არ უნდა გაიწიროს. ეს აშკარა უპატივცემულობაა იმ ხალხის მიმართ, რომელმაც ათას განსაცდელს გაუძლობა და დღემდე მოვიდა; და რომ ამას შესანიშნავად ხვდებიან ჩერქეზთა ლირსული წარმომადგენლები და საქართველოს ამისთვის მაღლობას წამდვილად არ ეტყვიან.

თავისი დროზე დიდი ილია ბრძანებდა, — საქართველოს ისტორია მარტო მოებისა და მეფების ისტორიაა და ხალხი არსად ჩანსო. არც ახლა ჩანს ხალხი და მხოლოდ ხელისუფალთა ფიგურებია წამონეული წინა პლაზე. არადა, დროა, ასპარეზი ხალხს დაეთმოს, გამოჩენდეს მისი სურვილი, მისწრაფება, მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი, ურთიერთობები, კავშირები... და ეს მანამ უნდა გაკეთდეს, ვიდრე ჯერ კიდევ ცოცხალია ის თაობა, რომელსაც ამ მოძმე ხალხებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება შემორჩა მესიერებაში; ვიდრე საბოლოოდ არ ჩაფერფლილა ის მბუტავი წაკვერჩალი მმობისა, მეგობრობისა, პატივისცემისა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.

**დარეჯან ანდონიავა**



**ვიქტორ ცაგვა, გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელი:**

„ის, რომ გენოციდის აღიარება სააკაშვილის ხელისუფლების დიდი ავანტიურა იყო, ფაქტია. აღნიშნული დავალება სააკაშვილს დასავლეთში არსებულმა რეაქციულმა ძალებმა მისცეს, რომლებიც გეოპოლიტიკურ ბრძოლაში ჩრდილოკავკასიელი ხალხების გამოყენებით რუსეთის წინააღმდეგ აპირებდნენ მოქმედებას. ამას მიუთითებდა ტელეკომპანია „პიკის“ ამუშავებაც. ეს იყო კავკასიის ავეთვების გეგმა. ვფიქრობ, სანამ გვიან არ არის და სირიიდან გარკვეული

**«ის, რომ გენოციდის აღიარება სააკაშვილის ხელისუფლების დიდი ავანტიურა იყო, ვაქტია.**  
**აღიარებული დავალება სააკაშვილს დასავლეთში არსებულმა რეაქციულმა ძალებმა მისცეს, რომლებიც გეოპოლიტიკურ ბრძოლაში ჩრდილოკავკასიელი ხელმძღვანელობისგან. გენოციდის აღიარებაც, რა თქმა უდეა, რუსეთის დისპრეზიტაციის იქნა მიღებული დასავლეთში არსებულმა რეაქციულმა ძალებმა მისცეს გარკვეული არარეალური მმობისა, მეგობრობისა, პატივისცემისა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.**



ვალერიან დოლიძე:

# ხდება ისტორიის ტოტალური ღამასინჯება და ამის გადავის ის, რომ არასწორი სტაგონოპეპი ჩამოყალიბდა რუსთავი

**XIX საუკუნეში ჩატარებული მიმართ  
გაცემაში გამოიყენების ემულსი  
გაცემის პრინციპები  
ვარაუდი ჯდება**

30 სექტემბერს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა სახელნოდებით „კავკასიის ომი XIX საუკუნეში, რეალპოლიტიკა და ხსოვნის ომები“. ღონისძიების მიზანი, ძირითადად, გასული და იმის წინა საუკუნეების მნიშვნელოვან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი იყო, თუმცა გამომსვლელთა შორის ზოგი თანამედროვე აქტუალურ საკითხებსაც შეეხო. კონფერენციაში მასპინძელ თურქეთთან ერთად რუსეთი, აზერბაიჯანი და საქართველოც მონაწილეობდა. სულ ორკაციანმა ქართულმა დელეგაციამ, რომელიც მეცნიერთა მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე ვრცელი მოხსენებით წარსდგა, აქცენტი უფრო რეგიონულ პრობლემებზე გააკეთა. როგორც დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვალერიან დოლიძე ჩვენთან საუბარში ამბობს, მისი მთავარი გზავნილი მეზობელ სახელმწიფოთა შორის მშვიდობასა და ერთმანეთის სუვერენულ უფლებათა პატივისცემას ეხებოდა. ღონისძიებას მეცნიერები საქართველოს კონფლიქტური რეგიონებიდან — აფხაზეთიდან და ოსეთიდანაც ესწრებოდნენ... კონკრეტულად რა საკითხები განიხილეს და რამდენად ნაყოფიერი იყო ეს შეხვედრა, ამაზე უფრო დეტალურად თავად ვალერიან დოლიძე გვესაუბრება.

— ბატონო ვალერიან, 30 ოქ-  
ტომბერს ანკარაში გამართული  
სამეცნიერო კონფერენცია ქარ-  
თულ მედიაში, ფაქტობრივად, არ  
გამუქებულა. არადა, მსგავს ღო-  
ნისძიებებს სახელმწიფოები ხე-  
ლმძღვანელობის ან მათი წარმო-  
მადგენლების დონეზე ხშირად  
იყენებენ ხოლმე ქვეყნისთვის სა-  
სიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სა-  
კითხების მოსაგვარებლად. რამ-  
დენად კმაყოფილი დარჩით ამ  
კონფერენციით?

— ეს კონფერენცია ჩატარდა  
ორი მხარის — რუსეთისა და თუ-  
რქეთის ერთობლივი ძალისხმე-  
ვით. კერძოდ, მოსკოვის ლომო-  
ნოსოვის სახელობის უნივერსი-  
ტეტის პოლიტოლოგიური ცენტ-  
რის — „ჩრდილოეთი-სამხრეთი-  
სა“ და ანკარის ეკონომიკისა და  
ტექნოლოგიების უნივერსიტეტის  
ერთობლივი ორგანიზებით. ღო-  
ნისძიება იყო საქმაოდ წარმომად-  
გენლობითი და მასში სიღრმისე-  
ულად იქნა განხილული XIX საუ-



ვალერიან დოლიძე

კუნეში კავკასიის რეგიონში გან-  
ვითარებული მნიშვნელოვანი მო-  
ვლენები. აქ ლაპარაკია ომზე, მის  
მიზანებზე და იმაზე, თუ რა გავ-  
ლენა იქონია ამ ყველაფერმა შემ-  
დგომ პროცესებზე. სხვათა შო-  
რის, ამ კონფერენციაზე ძალიან  
აქტუალური იყო საკითხი, რა მო-  
დერნიზაცია განიცადა კავკასიაშ  
ომის მერე. ნანილს მეცნიერები-  
სა მიაჩნდა, რომ ამან მოიტანა  
ნინსვლა, ნანილი კი პირიქით —  
ამბობდა, რომ ომმა რეგიონში გა-  
მოიწვია რეგრესი. რაც შეეხება  
ღონისძიების მთავარ მიზანს, მის  
ორგანიზატორებს სურდათ, გა-  
ნეხილათ რუსეთ-თურქეთის ურ-  
თიერთობები კავკასიის მაგალი-  
თზე და საბოლოო ჯამში, შეხვ-  
ედრა ძალიან მაღალ დონეზე ჩა-  
ტარდა.

— სულ რამდენი კაცი (დელე-  
გატი) მონაწილეობდა კონფე-  
რენციაში?

— საქართველოდან მარტო მე და ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის თავმჯდომარე ირაკლი უბილავა ვიყავით. სხვები მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ, ერთი დელეგატი მეზობელი აზერბაიჯანიდანაც იყო. კონფერენციაში ასევე მონაცილეობდნენ მეცნიერები ჩრდილოეთ კავკასიიდან: ჩერქეზეთიდან და ყაბარდო-ბალყარეთიდან. რაც მთავარია, იქ განხილულ იქნა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებზეც დღესდღეობით ცოტა ვინმე თუ საუბრობს...

— ესე იგი XIX საუკუნის კავკასიის ომი თანამედროვე გეოპოლიტიკურ ინტერესთა ჭრილში განიხილებოდა?

— თანამედროვე აქტუალურ საკითხებს, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლიდით, მაგრამ მხარები მაქსიმალურად ცდილობდნენ, მწვავე თემებს ნაკლებად შეხებოდნენ. ეს იყო წმინდა სამეცნიერო კონფერენცია და არა დებატები, ამიტომ, ბუნებრივია, არ გვინდოდა, ღონისძიება პოლიტიკურ დისკუსიაში გადაზრდილიყო.

— ჯამში რამდენი მოხსენება გაკეთდა?

— როგორც გითხარით, ოთხი ქვეყანა მონაცილეობდა: მასპინძელი თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. სულ ოცი დელეგატი იყო და ამდენივე მოხსენება გაკეთდა. საბოლოოდ ყველაფერი ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა.

— თქვენი მოხსენება რას ეხებოდა?

— ყურადღება თანამედროვე პროცესებზე გავამახვილე, უფრო სწორად, XIX საუკუნეში კავკასიის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე თანამედროვე ჭრილში. ვთქვი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, უნივერსიტეტი მთლიანი რომ არ გარებული გადასახლის შედეგია ის, რომ დღესდღეობით საქართველოში აბსოლუტურად არასწორი სტერეოტიპებია ჩამოყალიბებული რუსეთზე. თავის მხრივ, რუსეთშიც პრაქტიკულად ანალოგიური მდგომარეობაა. ასე რომ, ამ მხრივ სამუშაო ძალიან ბევრია.

საქართველომ დაუშვა ძალიან დიდი შეცდომა. იმდენად დიდი, რომ მის შედეგებს, უარყოფითს, რა თქმა უნდა, შესაძლოა, მოგავალი უფრო სირიზულად გადავაწყეტილება იყო, მაგრამ თქვენ კრიტერიუმები ახსენეთ და საინტერესოა, სააკაშვილის ხელისუფლება რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა, როცა ამ დოკუმენტს იღებდა?

— ისტორიის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენება ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, ვის ინტერესებშია ეს და რა გავლენას ახდენენ ამით საზოგადოებაზე?

— ინტერესები ვისიცაა, გასაგებია, ამის უკან დგანან პოლიტიკური ძალები. გავლენას რაც შეეხება, ამ დამახინჯებული ისტორიული მეცნიერების შედეგია ის, რომ დღესდღეობით საქართველოში აბსოლუტურად არასწორი სტერეოტიპებია ჩამოყალიბებული რუსეთზე. თავის მხრივ, რუსეთშიც პრაქტიკულად ანალოგიური მდგომარეობაა. ასე რომ, ამ მხრივ სამუშაო ძალიან ბევრია.

— როგორც ვიცი, თქვენს მოხსენებაში გარკვეული ნანილი ჩერქეზების გენოციდს დაეთმო, კონკრეტულად რა კუთხით შეეხეთ ამ საკითხს?

— ეს ძალიან მტკიცნეული და საფრთხილო თემაა, ამიტომ შევეცადე, ამაზე ისე მესაუბრა, რომ რომელიმე მხარის უკამაყოფილება არ გამომენვია. უბრალოდ, აქ ერთი რამ უნდა ითქვას ცალსახად და ერთგანიშვნელოვანად: ის, რაც XIX საუკუნეში კაპეასიაში მოხსენება, უკედურება იყო, რომნებ უგადურება არა მხრილოდ ერთი რომელიმე ხალხისთვის, არამაღდებოდა რაგიონისთვის, მათ შორის რუსეთის მოხსენებისაც. კი, იქ ტრაგედია დატრიალიზაცია, მაგრამ გენოციდს მარც გენოციდს მარც გენოციდს აგას. საერთოდ,

გენოციდს თავისი მკაცრი განსაზღვრები და კრიტიკუმები არავს, რაშიც ვერ ჯდება ეს ყველაფერი.

— ერთადერთი ქვეყანაა საქართველო, რომელმაც ჩერქეზების გენოციდი აღიარა. გასაგებია, რომ ეს წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ თქვენ კრიტერიუმები ახსენეთ და საინტერესოა, სააკაშვილის ხელისუფლება რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა, როცა ამ დოკუმენტს იღებდა?

— როცა მსაგასი გადაწყვეტილება პოლიტიკური სარჩულით მიღება, გასაგებია, რა კრიტერიუმითაც მოქმედებენ. მათ ნაკლებად აინტერესებდათ, ჯდებოდა თუ არა ეს რეალურად გენოციდის განსაზღვრებაში, მიზანი სულ სხვა რამ იყო. მთავარი ისაა, რა მიღლო ამით საქართველომ, რა ნაბიჯი გადავდგით და რას მოგვიტანს ის მომავალში. ვფიქრობ, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავდევით. არანაირად ეს ჩვენს ეროვნულ ინტერესებში არ შედიოდა.

— რა სახით შეიძლება ამ გადაწყვეტილებამ ჩვენს ეროვნულ ინტერესებზე უარყოფითად იმოქმედოს?

— როდესაც სხვის ამოცანას ასრულებ და სხვის ინტერესებით მოქმედებ, ეს უკვე თავისთავად არახელსაყრელი მდგომარეობაა, მაგრამ დავანებოთ ამასაც თავი, როცა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, თქვენიცით, რომ ნალჩიკში ზარზემით ჩატარებულ დიდი სახალხო დემონსტრაცია. ამას, რა თქმაუნდა, თავისი მიზანი ჰქონდა... მე თურქეთში გამართულ კონფერენციაზეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩერქეზების დამოუკიდებლობა არავითარ შემთხვევაში ხელს არ შეუწყობს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას. ისინი არასოდეს გამოვლენ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ეს პირდაპირ უპირისპირდება მათ ინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, იქ ასე თვლიან. ამიტომ ამ სა-



კითხებთან დაკავშირებით ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ისეთმა ცალსახა გადაწყვეტილებებმა, როგორიც წინა ხელისუფლებამ მიიღო, ერთ დღეს შეიძლება იმხელა დარტყმის ქვეშ დაგვაყენოს, რომ სერიოზული კითხვის ნიშნები გაუჩნდეს სახელმწიფო ეპრიობას...

— როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება, მოუხერხდეს იმ დოკუმენტს, რომელიც 2011 წლის 20 მაისს მიიღო საქართველოს პარლამენტმა? გენოციდის აღიარებას ვგულისხმობ.

— ამაზე ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს და მიიღოს გადაწყვეტილება. ჩემი აზრით, აქ გამოიყალი მდგომარეობა არ არსებობს. შეიძლება საერთოდ გაუქმდეს ეს გადაწყვეტილება ან მიჩუმათდეს. ყოველ შემთხვევაში ამით მანიპულირება არ უნდა გავრძელდეს.

— და როგორია ამ მხრივ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა?

— ესენი ჯერჯერობით არ იმეორებენ წინამორბედის შეცდომას და ეს ძალიან კარგია. ვნახოთ, რა იქნება მომავალში, პოლიტიკაში, მოგეხსენებათ, ზოგჯერ რადიკალური ცვლილებებიც ხდება.

— დასაწყისში გენოციდის კრიტერიუმებზე ვსაუბრობდით და თქვენ თქვით, რომ პარლამენტის მიერ 2011 წლის 20 მაისს მიღებული გადაწყვეტილება სხვისი ინტერესებით იყო ნაკარნახევი. რა მიიღო ამით საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ?

— თავისთავად ეს აღიარება იმდენად ალოგიკური ნაბიჯია, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ამის მიღმარა ჩანაფიქრი შეიძლებოდა ყოფილიყო. იდეაში, ალბათ, რუსეთის დაშლა უნდოდათ, მაგრამ რატომ ეგონათ, რომ ამ დოკუმენტის მიღება ამას გამოიწვევდა, არ მესმის.

— შესაძლოა, გათვლა კავკასიაში დესტაბილიზაციის გამოწვევაზე კეთდებოდა.

— გასაგებია, მაგრამ ლოგიკას ვერ ვხედავ ამ გათვლაში. კავკასიას მთლიანად რუსეთი აკონტროლებს, ეს მისი სივრცეა, შენ რომ აქ რაღაც ქაღალდს მოაწერე ხელი, ამას დესტაბილიზაცია როგორ უნდა გამოიწვია?

— გინდათ, თქვათ, რომ რუსეთისთვის ამ აღიარებას მნიშვნელობა არ ჰქონდა?

— მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ჰქონდა; ბოლოსდაბოლოს საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სუვერენული სახელმწიფო ვართ, მაგრამ ჩვენ ახლა კონკრეტული ნაბიჯის შედეგზე ვსაუბრობთ. თუ ჩანაფიქრი იყო რუსეთზე რაღაც პოლიტიკური დარტყმის განხორციელება და გრძელვადინან პერსპექტივაში მისი დაშლა, ამ კონტექსტში ეს გადაწყვეტილება ნამდვილად სასაცილოა. მეტიც, ამით არა თუ ვერაფერი მოიგო საქართველომ, თავი ჩაიყენა უხერხულ მდგომარეობაში.

— ისე, საინტერესოა, თვითონ ჩერქეზებმა როგორ მიიღეს ეს აღიარება?

— ყოველ შემთხვევაში, დიდი ენტუზიაზმით არ შეხვედრიან ამ გადაწყვეტილებას. პირი იმით, იქ ზოგიერთია თქვა, რომ ჩირქეზის პრინციპის პროგლობის გადაწყვეტა, ეს არის რუსეთის საკითხი და არა საძართველოსი. იყვნენ ისეთიაგიც, რომელიც საც უფრო რადიკალური არის იციციაც ეპავათ.

— კერძოდ?

— მაგალითად, ზოგი ამბობდა, რომ ვინაიდან ქართველები იბრძოდნენ კავკასიის ომში და ჩირქეზების წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებშიც მონაწილეობდნენ, საქართველომ ბოლიში უნდა მოიხადოს. მოკლედ, ყველანაირად ჩვენ სანინააღმდეგოდ იმოქმედა ამ გადაწყვეტილებამ. გარდა ამისა, ეს პრინციპურად გაუმართლებელი იყო, თითოოს ერჩორი ავუცენეთ რუსეთს, მაგრამ რეალურად ვერაცერს მივაღინიერი — არავინ აბ-ვყვა, მაგრაც თარღება ის სოჭის ოლიმპიადა და ყველაფერი ძველებურადა; ამ დროს ხელში შეგვრჩა დოკუმენტი, რომელიც ყელში გაჩხერილი ლურჯა მასპინძელა.

— დასასრულს, ისევ კონფერენციაზე გყითხავთ: მომავალში თუ იგეგმება მსგავსი ლონისძიების ჩატარება და რამდენად შესაძლებელია, საქართველო იყოს მისი მასპინძელი?

— შესაძლებელი, ალბათ, არის, მაგრამ ჩვენ არ ვართ ამ კონფერენციის ორგანიზატორი, უბრალოდ, ვმონაწილეობთ. რაც შეეხება კითხვას, მომავალში იგეგმება თუ არა მსგავსი შეხვედრები, როგორც ვიცი, ორგანიზაცია „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ აპირებს რაღაცის ჩატარებას. სადაც არა ფორმატით, ჯერჯერობით უცნობია. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი კონფერენციები მისასალმებელია და ვფიქრობ, საქართველოდან სულ უფრო მეტმა ადამიანმა უნდა მიიღოს მასში მონაწილეობა. ეს წმინდა სამეცნიერო ღონისძიებაა, ძალიან მაღალი დონის და კარგად ორგანიზებული.

ესაუბრა ჯაბა ჭვანია

**«მთავარი ისაა, რა მიიღო ამით  
საქართველომ, რა ნაბიჯი  
გადავდგით და რას მოგვიტას ის  
გოგავალში. ვფიქრობ, ქალიან  
უსარესო გდგომარეობაში ჩავდევით.  
არანაირად ეს ჩვენს ეროვნულ  
ინტერესების არ შეაძლოს აღიარება»**

# კავკასიონ რომ და საქართველოს აღგიძი ავაგიონის გეოპოლიტიკურ სტრუქტურაში

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ოფიციალური დაშლის თარიღად მიჩნეულია 1490 წელი. საქართველოს დაშლა-დასუსტების პროცესმა, როგორც ხდება ხოლმე გეოპოლიტიკაში, გამოიწვია ახალი დიდი მოთამაშეების გამოჩენა კავკასიაში.

ამ პერიოდში რეგიონში გაბატონებისთვის იბრძოდა ორი დიდი იმპერია — ოსმალეთი და სპარსეთი, რომლებიც ერთმანეთის გეოპოლიტიკური ოპონენტები იყვნენ. ქართული ტერიტორიებისა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის გადანაწილება სხვადასხვა ფორმას იღებდა და კონკრეტულ მომენტში რეგიონში გააქტიურებული იმპერიების სიძლიერის შესაბამისი იყო. იყო პერიოდები, როდესაც საქართველო გადანაწილებულიც კი პერიოდათ ალნიშნულ იმპერიებს, კერძოდ, 1555 წლის ამასის ზავით ეს ვითარება შენარჩუნდა დაახლოებით 1578 წლამდე, როდესაც მოხდა სპარსეთში შინაარეულობა და რასაც თავის მხრივ მოჰყვა ქვეყნის პოზიციების შესუსტება საგარეო ასპარეზზე, რაც შიდა პოლიტიკური კრიზისების თანმიმდევრობის მოვლენაა.

ରୂପଗାନରୁ ମନ୍ଦିରାଳୋଦନ୍ତରେଣ୍ଟି ଯୁଗ,  
ଅଥ ପରମପ୍ରେସମା ଗାମନିନ୍ଦ୍ରିଆ ରୂପଗାନକ-  
ଶି ଦାଲିତା ଦାଲାନ୍ଦିଶିଲ ପ୍ରତିଷ୍ଠାନ ଓ ମା-  
ଲ୍ଲାଏଟିଶି ସାଶାରଗ୍ରେବଲ୍ଲାନ୍ଦ, ରମେଶ୍ବରିଚ  
ଶ୍ରୀପାଦା ଅଳମନ୍ଦିଶାଵଲ୍ଲାନ୍ତ ସାକ୍ଷାରତବେ-  
ଲ୍ଲାନ୍ତ ଫାକ୍ସର୍କ୍ରେବାଶ ଦା ମିଳ ଗ୍ରେନ୍ଡାରଲ୍ଲା-  
ନ୍ତିକ୍ୟୁର ମନ୍ଦିନ୍ଦାଲମଦ୍ୟଗ୍ରେହ୍ୟ ସତ୍ରା-  
ତ୍ମିଶାଖାଲ୍ଲାନ୍ତ ଉପିରାତ୍ମିଶାଖାଲ୍ଲାନ୍ତ ମନ୍ଦିନ୍ଦା-  
ବ୍ରେବାଶ. ପରିନିତିପଶି, ଅଶ୍ରୁତି ତ୍ରିପଶି  
ଗ୍ରେନ୍ଡାରଲ୍ଲାନ୍ତିକ୍ୟୁରି ଗାଧାନ୍ଦାନ୍ଦିଲ୍ଲାନ୍ତ-  
ବ୍ରେବାଶ ଦା ଅନ୍ତାବରନଦାରଲ୍ଲାନ୍ତ ଶାକାରସେତ-  
ଶା ଦା ମାଲାନ୍ତିଶି ଶମରିଶ ଗରନ୍ଧିଲ୍ଲା

დებოდა მანამ, სანამ კავკასია მა-  
თი ექსკლუზიური გავლენის სფე-  
როში არ მოექცა და სანამ რუსე-  
თი არ ჩაერთო მათ წინააღმდეგ  
ბრძოლაში კავკასიის თვისის.

სპარსეთ-ოსმალეთის ბატონობ-  
ბას და მათ აგრძესიულ პოლიტი-  
კას მართლმადიდებელი ქართვე-  
ლი ხალხების მიმართ, აუნაზღა-  
ურებელი ზიანი მოჰქმნდა. მათი  
ბატონობა ემუქრებოდა ორგორც  
საქართველოში დამკვიდრებულ

სოციალურ-პოლიტიკურ წყობას, ასევე მათ კულტურულ თვითმყოფადობას და ფიზიკურ განადგურებას უქადა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ პოპულაციას. ზოგიერთს ეს გადამეტებულად შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ აյ შეიძლება სტატისტიკური მონაცემების მოყვანა და შედარება, თუ როგორი იყო მოსახლეობის რაოდენობა ოსმალეთ-ირანის გაბატონებამდე და მის შემდეგ. პირველი ასეთი ტიპის აღნერა მონღოლების მიერ ჩატარდა 1254 წელს. თუ აღნერის შედეგებს დავეყრდნობით, ამ პერიოდისთვის საქართველოს სამეფოს მოსახლეობა დაახლოებით 5 მლნ ადამიანს შეადგენდა. აქვე არ უნდა დაგვაკინებდეს, რომ მონღოლებმა მოსახლეობის აღნერა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარეს. ამის შემდეგ საქართველოს მოსახლეობა იწყებს კლებას გარე აგრესორებთან განუწყვეტელი ბრძოლების შედეგად, აგრეთვე, XV-XVI საუკუნეებში თურქეთისა და ოსმალეთის აგრესიული კოლონიზაციის, მოსახლეობის გადასახლებისა და გადინების

କେତୀବେଳେ ପ୍ରତିବନ୍ଦି ଏବଂ କେତୀବେଳେ ପ୍ରତିବନ୍ଦିତ ହୋଇଥାଏ

არ შეუძლია დამოუკიდებლად საკათარი  
თავის დასვა საგარეო აგრძელებას, რომელიც  
მას გაქრობით ეფუძნება, ქალას სასესლობს  
უფრო ქლივისისაც გასზა უფრო ქლივის

თან აქ არ უცდა დაგვავიცეცოლეს, რომ ყველა ირი  
ცდილობს, მოკავშირებ უარის ისეთი დიდი  
სახელმწიფო, რომელიც გასთავ კულტურულად  
ახლოს არის და რომელთანაც მოკავშირების  
უზრუნველყოფს მისი კულტურული  
თვითმუშაობაზების უსარჩევების.



შედეგად, XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ცხოვრობდა 785 ათასი ადამიანი.

ასეთი დეპოპულაციის პირობებში სრულიად ბუნებრივია პატარა ერისთვის ისეთი მოკავშირის ძიება, რომელიც დაიცავდა მას გარე აგრესისგან, გადაარჩენდა ფიზიკური განადგურებისგან და შეუნარჩუნებდა კულტურულ თვითმყოფადობას. ქართველების ორიენტაცია რუსეთზე და თხოვნა დახმარებაზე სრულიად პრაგმატულ გათვლაში ჯდება. ნებისმიერი პატარა ერი, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად საკუთარი თავის დაცვა საგარეო აგრესისგან, რომელიც მას გაქრობით ემუქრება, ძალას სესხულობს უფრო ძლიერისგან მასზე უფრო ძლიერი მონინააღმდეგის შესაკავებლად. თან აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ერი ცდილობს, მოკავშირედ შეარჩიოს ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელიც მასთან კულტურულად ახლოს არის და რომელთანაც მოკავშირეობა უზრუნველყოფს მისი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ეს არის აქსიომატური პოსტულატი პატარა ქვეყნებისთვის საგარეო პოლიტიკაში. სწორედ ამ მოტივებით იყო აქცენტი გაკეთებული რუსეთზე, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, მართლმადიდებელი სახელმწიფო იყო.

რუსეთის შემოსვლით კი იწყება კავკასიური ომები, რომელებიც მიმართული იყო ისლამური სამყაროს ნინააღმდეგ. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რუსეთი კავკასიაში მხოლოდ ქართველების მო-

რასეთის მაშვერებით მოხდა დაგლიცი  
საქართველოს ეტაკობივი გაერთიანება  
ერთიან კოლიტიკურ ნარმონებიდა და  
ერთიანი ქართველი ერის ფორმირებას.  
ამიტომას რასეთ-საქართველოს  
მოკავშირეობა რასეთის პირის პირი  
იყო ნაკარნახვი და სრულად ჯდებოდა  
პრაგმატულ საგარეო კოლიტიკის ფარგლებში  
როგორც ერთი, ასევე მორი ევაუნისტის

თხოვნით და მათი ინტერესების დასაცავად შემოვიდა. ეს უფრო დაკავშირებული იყო, ალბათ, მისი სასიცოცხლო სივრცის გაფართოებასთან. სახელმწიფო, ზოგადად, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ყოველთვის ცდილობს გაფართოებას, შესაძლებლობის ფარგლებში იზრდება. „Вместе с человеком государства постепенно распространились во все части Света и, по мере возрастания численности населения, увеличивались в числе и величине все более и государства. И как для всего живого, так и для государства условием жизни является его связь с землей: без земли немыслим ни человек, ни величайшее его создание на земле – государство“ (ფრიდრიხ რასელი). რუსული სახელმწიფოს სამხრეთისკენ დრეიფიც, დიდი ალბათობით, სასიცოცხლო სივრცის ბუნებრივ გაფართოებას უნდა დავუკავშიროთ. ამიტომ რუსეთის მიერ წარმოებული ომები კავკასიაში ისლამური სამყაროს ნინააღმდეგ მხოლოდ საქართველოს გამოხსნის დიად მართლმადი-

დებლურ მიზნებს არ უნდა დავუკავშიროთ. მე ვიტყოდი, აქ უფრო ადგილი ჰქონდა ინტერსეთა თანხვედრას ორ მართლმადიდებელ ხალხს შორის. ერთის მხრივ რუსეთი, რომელიც ბუნებრივ ზრდასთან ერთად ახდენდა გავლენის სფეროს გაფართოებას და მისგან გამომდინარე, საკუთარი ინტერესების დაცვას და, რომელსაც სჭირდებოდა მართლმადიდებლური დასაყრდენი სამხრეთში გეოპოლიტიკური მონინააღმდეგების სტრატეგიული დასუსტებისთვის და მათი უკუგდებისთვის, ხოლო მეორე მხრივ — დაშლილი საქართველო, რომელიც ისლამური სამყაროს — ირან-ოსმალეთისა და კავკასიის მთიელი ხალხების ალყაში იყო მოქცეული, ხშირი თავდასხმებისა და აგრესის მსხვერპლი იყო და რომლის ინტერესებშიც შედიოდა აღნიშნული ფაქტიც. რუსეთის მიერ აღნიშნულის მიღწევის შემთხვევაში, საქართველო თავისუფლდებოდა ირან-ოსმალეთის ინტერენციისგან, მთიელი კავკასიელების თავდასხმებისგან და მართლმადიდებლური სამყაროს სივრცეში მოქცევით ქართველი ხალხი შეინარჩუნებდა კულტურულ თვითმყოფადობასაც, რაც მოხდა კიდეც. აქ არ უნდა დაგვაკინდეს ერთი გარემოება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია: რუსეთის მაშვერებით მოხდა დაშლილი საქართველოს ეტაკობივი გაერთიანება ერთიან კოლიტიკურ წარმონაერთად და ერთიანი ქართველი ერის ფორმირებაც.

რასეთის მიერ ნარმონებული რეაგი კავკასიაში  
ისლამური სამყაროს წილადი გენერალ  
საქართველოს გამოხსნის დიად  
მართლმადიდებულება ერთიან  
დავუკავშიროთ. ეს ვიტყოდი, აქ უფრო  
აღგილი ჰქონდა ინტერესი თანხვედრა  
როგორც ერთი ერის გამოხსნის დამოხსნის დიად მართლმადი-

29

ଆପଣମାତ୍ର କୁଶାତ୍-ସାହାରତ-  
ବୋଲିନ୍‌ସ ମନ୍ଦିରାବଳିକାରୀଙ୍କାରୀଙ୍କ-  
ଅନ୍ଧାରିତିକିମ୍ବା ଆକରଣକିମ୍ବା ଆପଣଟ  
ପିପା ବ୍ୟାଧିରନ୍ଦ୍ରାଖେତ୍ରରେ ଏବଂ ଏହା କୁଶ-  
ଲ୍ଲାଙ୍ଗ ଜ୍ଞାନେଶ୍ୱରାବଳିକାରୀଙ୍କାରୀଙ୍କ-  
ସାହାରାମ ଅନ୍ଧାରିତିକିମ୍ବା ଆକରଣକିମ୍ବା  
ଆପଣମାତ୍ର କୁଶାତ୍-ସାହାରତ-  
ବୋଲିନ୍‌ସ ମନ୍ଦିରାବଳିକାରୀଙ୍କାରୀଙ୍କ-

რაც შეეხება კავკასიის ომს, რომელიც თარიღდება 1817-1864 წლებით, რომლის შედეგად დასავლეთ კავკასიაში ჩერქეზთის მოსახლეობის დიდი რაოდენობა ფიზიკურად განადგურდა და დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ადამიანი თურქეთში გადასახლებული აღმოჩნდა, მომა გიძგი მისცა რეგიონის გორაოლი-ტიპურ რეკონსტრუქციას და კავკასიაში ახალი რეგიონული ცასრიგის დაყყარებას. როგორც მოგეხსენებათ, ამ პერიოდისთვის კავკასიაში რუსეთის მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერია (თუ არ ჩავთვლით ამ უკანასკნელის უკან მდგომ ინგლისსა და საფრანგეთს), რომელიც ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა მის დომინანტობას რეგიონში, რაშიც მას დიდ სამსახურს უწევდნენ მისი მოკავშირები — ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები და განსაკუთრებით — ჩერქეზები, რომლებიც წარმოადგენდნენ რეგიონში თურქეთის დასაყრდენს რუსეთის შეკავების საქმეში. ამაზე მიუთითებს თურქი ისტორიკოსის — ჯავდეთ-ფაშას სიტყვებიც: „რაც შევეხაი იმარისა, რათა უზრუნველყოყ სიმშვიდე ანატოლიის საზღვრებთან, გას უნდა მიეზიდა კავკასიის ხალხები და ამ მეთოდით მიეღიო მისთვის საჭირო ქალისტვის, რათა ნინ აღდგომდა რუსებს“. ამის საპირისპიროდ კი რუსეთს მოკავშირებას უწევდა მართლამადიდებლური საქართველო, რომელიც ამ დროისთვის უკვე რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ რუსულ-თურქული დაპირისპირების ფონზე შეიძლება, ერთგვარი გეოპოლიტიკური ლერძების მოხაზულობის გადასახლების დროის განვითარების გადასახლების და დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ადამიანი თურქეთში გადასახლებული აღმოჩნდა, მომა გიძგი მისცა რეგიონის გორაოლი-ტიპურ რეკონსტრუქციას და კავკასიაში ახალი რეგიონული ცასრიგის დაყყარებას. როგორც მოგეხსენებათ, ამ პერიოდისთვის კავკასიაში რუსეთის მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერია (თუ არ ჩავთვლით ამ უკანასკნელის უკან მდგომ ინგლისსა და საფრანგეთს), რომელიც ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა მის დომინანტობას რეგიონში, რაშიც მას დიდ სამსახურს უწევდნენ მისი მოკავშირები — ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები და განსაკუთრებით — ჩერქეზები, რომლებიც წარმოადგენდნენ რეგიონში თურქეთის დასაყრდენს რუსეთის შეკავების საქმეში. ამაზე მიუთითებს თურქი ისტორიკოსის — ჯავდეთ-ფაშას სიტყვებიც: „რაც შევეხაი იმარისა, რათა უზრუნველყოყ სიმშვიდე ანატოლიის საზღვრებთან, გას უნდა მიეზიდა კავკასიის ხალხები და ამ მეთოდით მიეღიო მისთვის საჭირო ქალისტვის, რათა ნინ აღდგომდა რუსებს“. ამის საპირისპიროდ კი რუსეთს მოკავშირებას უწევდა მართლამადიდებლური საქართველო, რომელიც ამ დროისთვის უკვე რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ რუსულ-თურქული დაპირისპირების ფონზე შეიძლება, ერთგვარი გეოპოლიტიკური ლერძების მოხაზულობის გადასახლების დროის განვითარების გადასახლების და დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ადამიანი თურქეთში გადასახლებული აღმოჩნდა, მომა გიძგი მისცა რეგიონის გორაოლი-ტიპურ რეკონსტრუქციას და კავკასიაში ახალი რეგიონული ცასრიგის დაყყარებას.

ვა: ერთის მხრივ, ოსმალეთის იმპერია-ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხები (განსაკუთრებით ჩერქეზები) და მეორე მხრივ, რუსეთის იმპერია-საქართველო.

ჩერქეზები დღიდ სამსახურს  
რომ უცევდნენ ოსმალეთის  
იმპერიას კავკასიაში გაპა-  
ტონებისთვის, ამაზე არაერ-  
თი ისტორიულ ცყაროც მიუ-  
თითებს. კერძოდ, ჩერქეზების  
დახმარება გამოიხატებოდა შემ-  
დეგში: მათ გააჩნდათ მყარი სავაჭ-  
რო ურთიერთობები თურქებთან,  
რაც მონებით ვაჭრობაში გამოიხა-  
ტებოდა, ამით ოსმალები ეკონომი-  
კურ სარგებელს იღებდნენ და ასე-  
ვე სამხედრო ძალითაც მარაგდე-  
ბოდნენ, რაც თავისი სტრატეგიუ-  
ლი მოკავშირის სამხედრო გაძლი-  
ერებასაც უწყობდა ხელს. „არსე-  
ბულ გეოპოლიტიკურ სტრუქტუ-  
რაში ადილელების წინ იდგა მკა-  
ფიოდ გამოხატული სამხედრო  
ამოცანა — საკუთარი უსაფრთხო-  
ების უზრუნველყოფა მთარველის  
გაძლიერებით და მისი მომარაგე-  
ბა „ცოცხალი საქონლით“.

ამ ფონზე რუსეთის პოლიტიკა  
ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის  
ტერიტორაზე აღიღეური ტომების  
წინააღმდეგ სრულიად ჯდება  
პრაგმატული რეალპოლიტიკის  
ფარგლებში. არამარტო რუსეთის,  
არამედ ნებისმიერი სხვა იმპერი-  
ის ნაბიჯი იგივე იქნებოდა თავისი  
გეოპოლიტიკური მოწინააღმდე-  
გის შესასუსტებლად. რაც უნდა  
არაჰემანურად ჩაითვალოს ის,  
რაც გადახდათ ჩერქეზებს, რეა-  
ლური პოლიტიკა ძალიან მკაცრია  
და მით უმეტეს — იმ ეპოქაში.

ალბათ, უპრიანია, ეს საკითხი  
უკვე ქართული კუთხითაც განვი-  
ხილოთ. როგორც უკვე ალვნიშნე,

ირაკლი უბილავა  
ანგარა, 30 სექტემბერი, 2013 წ.



**გოგი გოგოლაშვილი:**  
**საქართველოში საკითხი ცედება**  
**იმის მიხედვით, თუ ვინ არის**  
**სახელმძღვანელოს ავტორი**  
**და ვის უკათხესი პატრიტი ჰყავს.**  
**აღმოჩენა, რომ გოგებაშვილის**  
**პატრიტი არ ჰყავს...**

## რას უნდესაც გოგებაშვილის «დედა ენას»?

უკვე რამდენიმე წელინადია, საქართველოში ყველა იმაზე წუხს, რომ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სხვა სახელმძღვანელომ ჩაანაცვლა და მშობლიური ენა ახლა სხვა მეთოდით ისწავლება. სპეციალისტები და პედაგოგები ბევრს მსჯელობენ, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ეს ცუდია, მაგრამ იაკობ გოგებაშვილის მხარდამჭერი ადამიანი არც ერთ მთავრობაში არ აღმოჩნდა. 2007 წელს საქართველოში იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება დაფუძნდა, რომელსაც სათავეში დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე და პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი გოგი გოგოლაშვილი ჩაუდგნენ. დღეს ჩვენი სტუმარია ბატონი გოგი გოგოლაშვილი, რომელიც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ არსის, მნიშვნელობისა და მასში ჩადებული სულის შესახებ ისე გვესაუბრება, რომ, ალბათ, ის ადამინები, რომელთაც ხელენიფებათ გოგებაშვილის საანბანე წიგნად დაბრუნება, აუცილებლად მიიღებენ სათანადო ზომებს.

— ის სამყარო, რომელსაც წიგნიერების სამყაროს ვუნიდებთ, ურთულესი სამყაროა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ სამყაროში 5-6 წლის, ანუ ძალიან პატარა ასაკში იწყებს ბავშვი შესვლასა და გაცნობას, ძალიან რთული პრობლემის წინაშე დგება ის ადამიანი, რომელიც ამ საქმეს უნდა წარუდგეს, — გვიხსნის ბატონი გოგი. — მან უნდა შეძლოს, ბავშვი ამ სამყაროში ისე შეიყვანოს, რომ დააინტერესოს, მოაწონოს და შეაყვაროს ის, რასაც წიგნი და წიგნიერების სამყარო ჰქვია. ეს არ არის იოლი საქმე. ჩვენ ვიცით არა ერთი შემთხვევა, როდესაც ლიტერატურაში არას-

წორმა მეთოდმა, არასწორმა მიდგრომამ როგორ შეაძლება ბავშვს სწავლა, სასწავლებელი. გავიხსენოთ გიორგი ნერეთლის „პირველი ნაბიჯის“ პერსონაჟი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი სახელმძღვანელო ექნება ბავშვს ანბანისთვის.

სანამ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ შეიქმნებოდა, მხედველობაში მაქვს „აი ია“ -ზე აგებული დედაენა, ქართულ სინამდვილეში ათამდე სახელმძღვანელო არსებობდა. მაგრამ, როგორც კი ასპარეზზე გოგებაშვილისეული „დედა ენა“ გამოჩნდა, ყველა სახელმძღვანელო გვერდზე გაინია. იაკობი იმ პერიოდისთვის ახალ-

გაზრდა კაცი იყო. მას ავტორიტეტი „დედა ენაში“ მოუტანა და არა იაკობის ავტორიტეტმა გახადა წიგნი პოპულარული. ის ავტორები, რომელთაც მანამდე სახელმძღვანელოები ჰქონდათ გამოცემული, ცხადია, იაკობს ეპრძოდნენ, ცდილობდნენ, თავიანთი წიგნები დაემკვიდრებინათ, მაგრამ ეს არ გამოსდიოდათ, რადგან „აი ია-ს“ პრინციპზე აგებული სახელმძღვანელო უნიკალური იყო. არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი — შესაბამისობა ცირკულარის მიზნაზე და ერთული ენის გუნდას შორის. „აი ია-ს“ პრინციპზე აგებული სახელმძღვანელო უნიკალური იყო. არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი — შესაბამისობა ცირკულარის მიზნაზე და ერთული ენის გუნდას შორის. „აი ია-ს“ პრინციპზე აგებული სახელმძღვანელო არის უნიკალური, რომელიც ზუსტად შესაბამისა ერთული ენის გუნდას შორის. „აი ია-ს“ პრინციპზე აგებული სახელმძღვანელო არის უნიკალური, რომელიც ზუსტად შესაბამისა ერთული ენის გუნდას შორის. რა იგულისხმება ამაში? ევროპულ ენებში წერა-კითხვას აწყებინებენ ერთი კონკრეტული სიტყვით, ჯერ ასწავლიან კითხვას, აჩვენებენ სიტყვას, ეტყვიან, რომ ამ საგანს ეს სიტყვა ჰქვია და შემდეგ, როცა კითხვას ასწავლიან, უბრუნდებიან წერის სწავლებას. ეს იმიტომ ხდება, რომ ევროპული ენების საანბანე სისტემა ქართულთან შედარებით ძალიან რთულია. იქ ერთი ბგერა შესაძლებელია 3-4 ასოთი გადმოიცეს, რაც მოზარდისთვის რთუ-

29

ლია. ამიტომ ბავშვი იმახსოვრებს სიტყვას, როგორც ნახატს, და შემდეგ ახდენს ანალიზს. ქართული ენის ბუნება და დამწერლობის შესაბამისობა უნიკალურია. ყველა ბეგრას თავისი შესატყვისი ასო და ერთი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ძალიან იოლია, ბავშვს უთხრა, რომ ეს არის ეს ასო და ამ ბეგრას აღნიშნავს და, რაც ყველაზე მთავარია, მოიძებნა სიტყვა „ია“, რომელიც ყველა განზომილებით საოცარია, ზუსტი და უნიკალური. ის შედგება ორი ბეგრისგან, ეს არის ორი ხმოვანი ბეგრა და ორივე ხშირად გამოიყენება. საგანი, რომელიც ამ სიტყვით აღინიშნება, არის უაღრესად ესთეტიკური, ყველასთვის ნაცნობი, მასზე დაწერიალია უამრავი ლექსი, სიმღერა. ორი ხმოვანი, რომელიც მარცვალს წარმოქმნის, იოლი სათქმელია, ორი მარცვლისგან იქმნება ორი სიტყვა. „აი ია“ არის ფრაზა, აქედან გამომდინარე, ბავშვს მარტო სიტყვის თქმა კი არ უხდება, ფრაზა ეძლევა, მიხიატურული წინადადება, რომელიც მარტივად იბეჭდება მეხსიერებაში. ბავშვმა უკვე იცის, რომ ეს არის ორი ასო. ქართულ სინამდვილეში ამაზე დიდი აღმოჩენა, რაც „ია“-ს შემოტანით იაკობ გოგებაშვილმა გააკეთა, არ არსებობს. მინდა, ყურადღება მიაქციოთ ერთ დეტალს: სანამ ბავშვის მეხსიერება და თვალი გაინაფება, მარცხნიდან მარჯვნივ წაიკითხოს თუ პირიქით, არ იცის. „აი ია“ კი ის წინადადებაა, რომელიც ნებისმიერი მხრიდან ერთნაირად იკითხება — ჰალენტრომი.

ერთ-ერთ გრიფინებულ სახელ-მძღვანელოში პირველ გაკვეთილ-ზე „ა“-ს ასწავლიან სიტყვებით: არწივი, აკვარიუმი, აქლემი და უხ-სნიან, თავში რომ ასოა, ის არის „ა“. ამის მიზეზია ევროპული ენე-ბის წამხედურობა. ბავშვისთვის სიტყვები: აქლემი, აკვარიუმი ძნე-ლი აღსაქმელია. ასწავლი პირველ ასოს და დანარჩენს აღარ ეუბნე-ბი, რითაც მოზარდს საქმეს ურ-თულებ. ბავშვმა იოლად რომ შე-ითვისოს, რაც შეიძლება მარტი-ვად უნდა მივაწოდოთ.

იაკობ გოგებაშვილს ასეთი პრინციპი ჰქონდა: ერთ გაკვე-თილზე — მხოლოდ ერთი სიძნე-ლე. ასე რომ, მისი მეთოდი უნი-კალური იყო. ქართული ანდაზა არსებობს ასეთი: „თურამაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტა-საო“, ზუსტად ასე გვჭირს.

ჩვენდა სამწუხაროდ, უკვე წლე-ბია, გვინევს ბრძოლა იმისთვის, რომ გოგებაშვილს თავისი ადგი-ლი დაუბრუნდეს. შესაძლებელია, ალტერნატიული სახელმძღვანე-ლოც არსებოდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს არჩევა, სპეციალისტებმა უნდა გადაწყვი-ტონ, რომელია იოლი და სასარგებ-ლო, მაგრამ ჩვენთან ასეთი რამ არ ხდება. **საეპართველოში სა-კითხი ცყდება იმის მიხედ-ვით, თუ ვინ არის ავტორი და ვის უკათესი პატრონი ჰყავს. აღმოჩნდა, რომ გოგებაშვილს პატრონი არ ჰყავს.**

დატანებას ყოველთვის მოჰყება  
უარყოფითი შედეგები. ამაზე  
ფსიქოლოგები და პედაგოგიკის  
სპეციალისტები საუბრობენ.

გოგებაშვილს ჰქონდა ასეთი მე-  
თოდი: ბავშვს „ია“-ს როცა ასწავ-  
ლიდა, შეჰქონდა ნახატი, სიმღერას  
ასმენინებდა. ის თვლიდა, რომ ნა-  
ხევარი ცოდნა ნახატს უნდა მიეცა.  
თან ია ისეთი ლამაზი ყვავილია,  
რომ არა მგონია, აქლემმა უფრო  
დიდი ესთეტიკური სიამოვნება მი-  
ანიჭოს ბავშვს, როგორც იამ. თა-  
ნაც აქლემი ჩვენი, ქართული სინამ-  
დვილე არ არის და შეიძლება ბევრ-  
მა ბავშვმა არც იცოდეს. ის, ალ-  
ბათ, ზოოპარკში ეყოლება ნანახი  
და თანაც ყველას არა. პირველი  
კლასის მოსწავლეების დიდი ნაწი-  
ლი, განსაკუთრებით რაიონებში,  
ზოოპარკიც არ ყოფილა. იაკობ  
გოგებაშვილი ყველაფერს დიდ  
ყურადღებას აქცევდა, ნახატი  
ზუსტი უნდა ყოფილიყო, მუსიკა  
უნდა ყოფილიყო სწორად შერჩე-  
ული, მან სახელმძღვანელოს ბო-  
ლოში ნოტებიც დაურთო, თურმე  
მუსიკა გონებრივ შესაძლებლო-  
ბას ძალიან ავითარებს. ამზე მთე-  
ლი მსჯელობა და ტრაქტატი აქვს  
იაკობ გოგებაშვილს მიღვნილი.  
ის თვლიდა, რომ სწავლა სასიხა-  
რულო პროცესი უნდა ყოფილიყო.  
იაკობ გოგებაშვილს აკაკი წერ-  
ეთელი დასავლური მეტყველების  
ექცერტად ჰყავდა. როდესაც ტე-  
ქსტს შეადგენდა, წააკითხებდა  
აკაკის და ეტყოდა: „დასავლეთ  
საქართველოში მცხოვრები ბავშ-  
ვისთვის ამ სიტყვებიდან რამე  
უცხო ხომ არ არისო“. ასე რომ,  
აკაკი მისი მარჯვენა ხელი იყო.  
გოგებაშვილი ფიქრობდა ყველა-  
ფერზე, ჩვენ კი — არაფერზე.

დღეს არსებობს სამი სახელმძღვანელო, რომელიც გრიფირებულია. ამბობენ, გოგებაშვილის მიხედვითააო. გოგებაშვილმა ამ სახელმძღვანელოების შედგენით, ჩვენ უზარმაზარი საქმე გაგვიკეთა, მაგრამ უნდა ნახოთ განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ნუსხა, სადაც ჩამოთვლილია: გამომცემლობა, ავტორი, წიგნის დასახელება. დედაენის ავტორები არ-



იან: ჩხერიმელი და გორდელაძე, მაღლაკელიძები, როდონაია და ჯგუფი, არსად არ არის გოგებაშვილის ხსენება. არადა, სახელმძღვანელოს „დედა ენა“ ჰქვია.

ქუჩაში რომ ნებისმიერი ადამი-ანი გააჩირო, გეტყვის, რომ „დე-და ენის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილია, მაგრამ სამინისტროს ნუსხაში იგი არასად ნახსენები არ არის, თუმცა წიგნები ხშირ შემთხვევაში, გადაკეთებული ვერსიებით, მაინც მისდევს გო-გებაშვილს. ასეთ საქციელს სხვისი ინტელექტუალური ქონების მისაკუთრება ჰქვია.

იაკობ გოგებაშვილისეულ წე-რა-კითხვის ამ მეთოდს მიმდინა-რე წელს არამატერიალური კულ-ტურული მემკვიდრეობის ძეგ-ლის სტატუსი მიენიჭა. ეს ძალი-ან დიდი მნიშვნელობის ფაქტია. საქართველოში ასეთი სტატუსი სულ ხუთ ძეგლს აქვს: კახურ მრავალუამიერს, ქალაქურ მრა-ვალუამიერს, ფერხულს, ბერიკა-ობას და დედა ენას.

გოგებაშვილის საზოგადოებამ კომისიას დეტალური ინფორმა-ცია მიაწოდა „დედა ენის“ შედგე-ნის მეთოდის შესახებ. მასში ჩა-მოთვლილი იყო: პირველი საანბა-ნე სიტყვის შემდეგ როგორ შემო-დის ახალი სიტყვა, როგორ დგე-ბა ტექსტები, რომ ყოველ სიტყვას აქვს თავისი ტექსტი. რამდენად აწონილ-დაწონილია და გათვა-ლისწინებულია მისი შემადგენ-ლობა, მნიშვნელობა, საანბანე წიგნში შეტანილია უნიკალური თემატიკა, რომელიც პარალელუ-რად ბავშვს ზნეობრივად ზრდის, მამულიშვილად; ყველა ტექსტში დევს ის მარცვალი, რომელიც მო-ზარდში ქართულ სულს გააღვი-ძებს. შრიფტების ზომას, რომელ-საც თავად გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ბავშვის მხედველობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი აზ-რით, არ შეიძლება ბავშვის სახელ-მძღვანელო დაბეჭდილი იყოს ერ-თი და იმავე შრიფტით. შრიფტე-ბის ასეთ თამაშს დღევანდელი ოფთალმოლოგები მე-19 საუკუ-ნის უდიდეს მიგნებად მიიჩნევენ.

იაკობ გოგებაშვილს ფერადი ბეჭდვის საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ დღეს, როდესაც „დედა ენა“ იბეჭდება, ფერებს უდიდესი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს.

ყურადღება უნდა მიექცეს სტრი-ქონებს შორის დაშორებასაც. იაკობ გოგებაშვილის აზრით, საან-ბანე წიგნში უმნიშვნელო დეტალ-საც კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ის თავად კითხულობდა კორექტუ-რას, ამ საქმისთვის დაქირავებუ-ლი ჰყავდა შიო მღვიმელი. თურმე იმუამად ქალაქის თავი ყოფილა ვინმე ვარლამ ჩერქეზიშვილი. მას-ზე გოგებაშვილი ამბობდა, რომ კარგი თვალი აქვსო და ქალაქის თავს აიძულებდა, წაეკითხა და კო-რექტურა აღმოეჩინა. ის თვლიდა, რომ სულ მცირე კორექტურასაც კი დიდი ზიანის მოტანა შეეძლო ჩვილი გოგებისთვის. გოგებაშ-ვილს ამ საქმისთვის პრიზიც ჰქონ-და დაწესებული: ვინც შეცდომას აღმოაჩინდა, 5 კაპიტას უხდიდა, მა-შინ, როდესაც წიგნის ლირებულე-ბა 10 კაპიტა შეადგინდა, ანუ წიგ-ნის ფასის ნახევარს კორექტურის აღმომჩენს აძლევდა.

ჩემი დიდი სურვილია, საანბანე სახელმძღვანელოებისადმი სწო-რედ ეს დამოკიდებულება აღდ-გეს. წინა ხელისუფლება თვლიდა, რომ რაკი გოგებაშვილის წიგნის გამოცემიდან დიდი ხანი გავიდა, იგი მოძველდა. თავად გოგებაშ-ვილი ამბობდა: „როგორც კი სა-ხელმძღვანელოს მოაკლდება გა-უკეთესება, ის მოკვდება“. აქე-დან გამომდინარე, რაღაცებს, შესაძლებელია, შეცვლა მართ-ლაც სჭირდებოდა, მაგრამ ამის-თვის საჭირო იყო, შექმნილიყო საგანგებო კომისია, რომელიც ამ საქმეს ხელს მოჰკიდებდა.

ასო ბერა „ჯ“ - ს იაკობ გოგებაშ-ვილი თავდაპირველად ასწავლიდა სიტყვით — „ჯარა“, რაც საქსოვ დაზგას ნიშნავს, რომელიც აქტუ-ალური უკვე აღარ იყო, შემდეგ ეს შეიცვალა ჯოხით. დღეს ერთ-ერთ სახელმძღვანელოში არის „ჯამი“, ჯამის შეტანა არ შეიძლება, რად-გან ამ სიტყვას მრავალი მნიშვნე-ლობა აქვს. ჯამი ნიშნავს შეკრების შედეგად მიღებულ რიცხვს, ჯამი

ნიშნავს – საკულტო ნაგებობას, ნიშნავს იგივე თასს, ამიტომ არაფ-რით შეიძლება ისეთი სიტყვის გა-მოყენება, რომელსაც ამდენი მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევა-ში სიტყვას უნდა ჰქონდეს ერთი მნიშვნელობა, რომელსაც, როცა წარმოოქმნა ბავშვმა იმ წუთშივე საგანი წარმოიდგინოს. საგანს და-ანახებ თუ არა, სიტყვა უნდა თქვას. ასეთი სახელის სახელმძღ-ვანელოში შეტანა მთლიანად ანგ-რევს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპს.

იაკობ გოგებაშვილმა თავისი „დედა ენა“ წერა-კითხის გამავრ-ცელებელ საზოგადოებას უან-დერძა და დაიბარა, რომ მასში სისტემატიურად ცვლილება შეე-ტანათ. ამ ცვლილების მხარდამ-ჭერი კი უნა ყოფილიყო წერა-კითხის გამავრცელებელი საზო-გადოების წევრთა 3/4-ის დანახ-მობა. ეს არ უნდა დაგვევიწყებინა. ამ საზოგადოების სამართალმემ-კვიდრე განათლების სამინისტ-როა და სწორედ იქ უნდა გადაწყ-ვეტილიყო სახელმძღვანელოში შესატანი ცვლილებები.

ერთი საინტერესო ფაქტიც: სიტყვა „დედა ენა“ გოგებაშვი-ლამდე არ იხმარებოდა. ეს სიტყ-ვა დიდმა პედაგოგმა საგანგებოდ სახელმძღვანელოსთვის შექმნა. საქართველოს ყველა კუთხეში სასაუბრო ენა ერთია, მაგრამ ისი-ნი დიალექტით საუბრობენ, მთა-ვარი ენა კი სალიტერატურო ენაა და ამ მთავარ ენას გოგებაშვილ-მა „დედა ენა“ დაარქვა. ილია წერდა: „ქართველი მთავარ ქა-ლაქს დედაქალაქს ეძახის, მთა-ვარ აზრს — დედააზრს, მთავარ ბოძს — დედაბოძს“, ასე დაერქ-ვა მთავარ სალიტერატურო ენა-საც — დედაენა. ასე რომ, „დედა ენა“ საავტორო წიგნია და, ვისაც როგორ მოუნდება, მისი ისე გა-დაკეთების და გამოყენების უფ-ლება არ აქვს. ასეთ შემთხვევაში სახელმძღვანელოს სახელი უნდა გადაარქვან. ეს ისეთივე შემთხვე-ვაა, წიგნი რომ დაწერო და „ვეფ-ხისტყაოსანი“ დაარქვა.

საუბარი ჩაიწერა  
ეკა ნასყიდაშვილება

# «კატებით» მაღლაკელიძესა და «უჩხეულ» პარიზე

დიდი სამამულო ომის ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა — ბრძოლა კავკასიისთვის დაიწყო 1942 წლის 25 ივლისს და ზუსტად 70 წლის ნინ — 1943 წლის 9 ოქტომბერს დასრულდა. ის გრძელდებოდა 482 დღე!

ჯერ კიდევ 1942 წლის იანვარში ჰიტლერმა დაამტკიცა კავკასიის დაპყრობის გეგმა — „ბლაუ III“. ეს ზესაიდუმლო (ოლონდ არა სტალინისთვის) გეგმა, კავკასიის დაპყრობის გარდა, შორს მიმავალ მიზნებს ისახავდა, კერძოდ, ირანისა და ახლო აღმოსავლეთის ოკუპაციას, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ფაშისტური გერმანია ნავთობის გარეშე ტოვებდა როგორც საბჭოთა კავშირს, ისე დიდ ბრიტანეთსაც. სწორედ რომ „ბლაუ III“-ის დამტკიცებისას ჰიტლერმა წარმოთქვა საკრალური ფრაზა: „კავკასიური ნავთობის გარეშე ჩვენ ომს ვერ მოვიგებთ!“. დღეს ჩვენი სტუმარია საქართველოს დამსახურებული უურნალისტი, ქართველი გენერალიტეტის მემატიანე, მეორე მსოფლიო ომის მკვლევარი, ისტორიკოსი, მრავალი პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი ლევან დოლიძე.

## — ბატონო ლევან, რა ხდებოდა 1942 წლის ზაფხულს?

— დავიწყებ იმით, რომ გერმანიის უმაღლესი სარდლობის 1942 წლის 23 ივლისის №45 დირექტივით დაიწყო გრანდიოზული ოპერაცია „ედელვაისი“, რომლის მიზანი იყო კავკასიის დაპყრობა.

1942 წლის გაზაფხული და ზაფხული უმძიმესი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გერმანები დიდ დანაკლის განიცდიდნენ, მათ მოახერხეს საბჭოთა ჯარების მსხვილი შენაერთების დაუძლეურება და ასიათასობით ჯარისკაცის დატყვევება. ფაშისტებს ორჯერ ჩაბარდა ქალაქი ხარკოვი და ყირიმის ნახევარკუნძული. საქართველოსთვის განსაკუთრებული ფინანსური და უზრუნველყოფის მიზანი იყო მართვა კატასტროფის დასახირება ათიათასობით ეპიზოდი, დალატის გამო, ამ „ხორცსაპარში“ დაიღუპა და დასახირება ათიათასობით ეპიზოდი, ახალცხაში!.. ამაზე ჯერ კიდევ 1975 წელს მიამზო

არმიის გენერალმა პავლე ივანეს ძე ბატონმა. იგი ომის დროს მეთაურობდა 51-ე არმიას. სხვათა შორის, ბატონი, რომელიც მსახურობდა თბილისში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, 51-ე არმიის მეთაურის თანამდებობაზე, 1941 წლის დეკემბერში შეცვალა ჩვენმა თანამემამულემ, ძველმა თბილისელმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ლვოვმა. იგი გმირულად დაიღუპა ყირიმულ სასაკლაოზე 1942 წლის 9 მაისს...

და, აი, ახალი, გაცილებით უფრო მასშტაბური კატასტროფა უასლოვდებოდა საქართველოს. კავკასიის მიმართულებით დაიძრაუზიარი, თითქმის მიღიონიანი ფაშისტური არმია — არმია „ა“-ს ჯგუფი, 62 წლის გენერალ-ფელდმარშლის — ვილჰელმ ლისტის (გარდაიცვალა 1971 წელს, 91 წლის ასაკში) სარდლობით. ეს კი იყო: 13 ფეხსანთა, 4 მოტორიზებული, 5 სატანკო (სულ 1230 ერთეული) და 3 საცხენოსნო დივიზია. ამუზარმაზარ ძალას უფრო აძლიერებდა რამდენიმე სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი და 1640 სამ-

ხედრო თვითმფრინავი. ფაშისტების უპირატესობა ცოცხალ ძალაში და შეიარაღებაში ერთნახევარჯერ აღემატებოდა საბჭოურს. ყველა დაპრემილების გადალახვის შემდეგ გერმანელები შემოიშრენე ჩრდილოეთ კავკასიაში და დაიკავეს სანჩიროს, ქარებორის, გარუსის და სხვა უღელტესილები. თბილისი, ერევანი, ბათუმი და სხვა უღელტესილები. მათ გარდა საქართველო ში ევაკუირებული იყო სანარმოები და დაცისაში მართვისასა და ურევებით. მთერი კი უკვე გუდაუთიდან 20 კილომეტრში იდგა.

ამის გარდა, ერთიმეორეს მიყოლებით, გერმანია აგზავნიდა ამიერკავკასიაში სადაზვერვო-სადივერსიო ჯგუფებს.

## მონაცემები სსრპ-ის შინსახეკომის არქივიდან

„მარტო 1942 წელს გერმანულმა სპეცსკოლებმა, რომლებიც ამზადებენ აგენტურას, დივერსანტებსა და ტერორისტებს, გამოუშვეს 7 ათასზე მეტი მზერავი და დაახლოებით 2,5 ათასი დივერსანტი და რადისტი. მათი დიდი ნაწილი შემოგზავნილია კავკასიაში. ჰიტლერული აგენტურის განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველო იპყრობს. ამისთვის სპეციალურად იყო შექმნილი დივერსიული ორგანიზაციები „თამარ I“ და „თამარ II“. არმია „ცენტრ ა“ ჯგუფის შემადგენლობაში არიან კავკასიური ერ-



ოვნული ბატალიონები, შემდგარი ემიგრანტთა, ტყვეთა და მტრის მხარეზე გადასულთაგან. ქართულ ბატალიონს ხელმძღვანელობს ტფილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი, 46 წლის შალვა ნიკოლოზის ძე მალლაკელიძე, ვერმახტის მრჩეველი. სხვათა შორის, იგი ერთადერთი ქართველია, რომელიც გახდა მესამე რაიხის გენერალი".

— ერთი წუთით, ბატონო ლევან! ეს ის მალლაკელიძეა, რომელიც დაპირდა ფორდანის, თბილისის დასაცავად 5 ათასს ჯარისკაცს გამოყიდვანო და მხოლოდ ხუთასი იუნკერით დასჯერდა?..

— ...და, აი, ზუსტად ამ მალლაკელიძემ ხუთასი საჯიშე ბიჭი, გამოუცდელი მეომარი, მეთერთმეტე არმიას კოჯირის მიდამოებში ჩაახოცინა!..

— ვერაფერს ვიტყვი, ბატონო ლევან, ვერმახტს კარგი მრჩეველი ჰყოლია!

— რაც მთავარია, „პატიოსანი“. ქალალდზე არსებული ხუთი ათასი ჯარისკაცის საკვებსა და ტანსაცმელში, ალბათ, კარგი ფულიც გააკეთა...

ამ ძნელებებისას, თურქეთის პრემიერმინისტრმა სარაჟოლლურ, გერმანელ ელჩთან — ფონ ჰააენთან საუბრისას განაცხადა, რომ „იგი, როგორც თურქი, მთელი გულით და სულით ნატრულობს რუსეთის განადგურებას. რუსეთის პრობლემის გადაცვითა გერმანიას ძალუს მხოლოდ იგ შემთხვევაში გერმანული გენერალის გარღვევაში მიმდინარეობდა“ კი, რომელსაც სსრკ-ის საზღვართან (საქართველო-სომხეთი) ჰყავდა 26 სრულფასოვანი დივიზია — ნახევარმილიონიანი არმია, არც მაღავდა თავის გეგმას: „თურქეთის ჩაბა მაში გარდუვალია. ეს მოხდება იგ დროს, როდესაც თურქულ ჯარს ეძნება საკმარისო რაოდენობის შეიარაღე-

ბა, რის უზრუნველყოფას შეძლებს გერმანია, როცა ის ჩაიგდებს ხელში ამიერკავკასიის მდიდარ სამხედრო და სხვარესურსს. თურქული შეტევა დაიცხებოდა ირანის ზეგანის გავლით, ბაქოს მიმართულებით“.

იმსეპ სტალინის სტრატეგული გენერალი გენერალი არაც მცვერვალზე აღმოჩნდა. პელადი დროულად იყო ინფორმირებული პიტლერის ჰეგემონურ გეგმებთან დაკავშირებით და ელვისებური სისწრავით 1941 წლის 25 აგვისტოს დღის ხუთ საათზე განახორციელა საბჭოთა ჯარების მსხვილდანაყოფების შესვლა ირანში და თეირანის დაკავება. გახრენილი პარტოკრატების მეთაურის — ხრუშჩოვის მიერ გასაიდუმლოებულ ირანის ფრონტზე „საქართველო და მსოფლიოში“ ორი ვრცელი წერილი გამოქვეყნდა და ამაზე ვრცლად ალარ ვისაუბრებ. მეთხველს შევახსენებ, რომ დიდი სამამულო ომის პირველივე დღეებიდან ირანში შეაგზავნეს ლავრენტი ბერიას ერთადერთი შვილი, 17 წლის ლეიტენანტ-რადისტი სერგო ბერიას. იმასაც შევახსენებ, რომ მე არცთუ ისე დიდი ხნის წინ საჩუქრად გადმომცეს უშვიათესი დოკუმენტი, საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ზესაიდუმლო სამსახურის გენერლის — ვარლამ კაკუჩაიას დღიური-მოგონებანი. ახლა იშვიათად ვინმე თუ გაიხსენებს დიდი სამაულო ომის ერთერთი გმირის, ირანის ფრონტის და კავკასიის სამხედრო მონაბილეს, საბჭოთა სადაზვერვო სამსახურების ზესაიდუმლო ოპერაციების ორგანიზატორს — გენერალ კაკუჩაიას!

1941 წლის დასაწყისში ვარლამ ივანეს ძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. ომის პირველივე დღიდან იგი დანიშნეს სსრკ-ს შინასახურმის ჩარჩოში არსებულ განსაკუთრებულ ჯგუფში (მომდევნოდ — ცნობილი მეოთხე-

მთავარი სამმართველო) ლეგენდარული პავლე სუდოპლატოვის სამიდან ერთ-ერთ მოადგილედ. ვფიქრობ, საინტერესო იქნება, ალვნიშნო, რომ ლავრენტი ბერიას უახლოესი გარემოცვიდან ამ ორმა ადამიანმა — სუდაპლატოვმა და კაკუჩაიამ მიაღწიეს ხანდაზმულ ასაკს და თავის სახლში გარდაიცვალნენ. მათ სასწაულებრივად დააღწიეს თავი 1953-56 წლებში იდუმალებით მოცული ბერიას ჩეკისტების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენელთა მევლელობებისა და „თვითმევლელობების“ კასკადს, თუმცა ბოლომდე მოიხადეს 15-წლიანი პატიმრობა სამარტოო საკანში...

### გენერალ ვარლამ კაკუჩაიას დღიურიდან

„1942 წლის 17 აგვისტოს ლ. პ. ბერიას ბრძანებით მე სასწაულოდ გამომინვიეს დასავლებულებითის ფრონტის ხაზიდან. მოსკოვში ჩასვლისთანავე ეგრევე მიმილო სახალხო კომისარმა (ბერიამ — ლ. დ.), რომელმაც ყურადღებით დამათვალიერა, აკურატულადაა თუ არა ჩემზე ფორმა და მითხრა: „მივდივართ კრემლში, „პატრონთან“. რამდენიმე წუთის შემდეგ, ღამის 12 საათი იქნებოდა, ჩვენ მიგვიღო სტალინმა. მან ჯერ რამდენიმე კითხვა დამისვა — სად ვიყავი დღეს და რა ვნახე, შემდეგ ბრძანა: „მდგომარეობა კავკასიაში ძალზე სერიოზულია, თითქმის კატასტროფული. ჩვენი ცალკეული ნანილების მეთაურთა დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგად, გერმანელებმა შეძლეს გარღვევა კავკასიონის მთავარი ქედის ძირითადი უღელტეხილებისკენ და მათი დაკავება. ჰიტლერმა უკვე მსოფლიოს მოსდო, ვითომდა აქამდე მოების ისტორიაში არნახულ გმირობებზე.“

(როგორ ჰგავს ჰიტლერს ტრაბახში მისი სულიერი მემკვიდრე — საკავშირო, არა? — ლ. დ.).

სინამდვილეში მდგომარეობა მანდ ძალზე სერიოზულია



შალვა მალლაკელიძე



ლავრენტი ჩარია

და იმის მიხედვით, შევინარჩუნებთ თუ არა ამ ბასტიონს, დღეს დამოკიდებულია ომის საბოლოო შედეგი!

(ყურადღება მიაქციეთ სტალინის ამ სიტყვებს, რომ კავკასიის-თვის ბრძოლისგან დამოკიდებულია ომის შედეგი!!! — ლ. დ.)

გერმანიასა და თურქეთს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს დაბლობში ფაშისტური არმიის შემოსვლისთანავე, თურქეთი თავისი თითქმის მილიონიანი ჯარით ჩვენ ნინააღმდეგ გამოილაშქრებს, რითაც ბაქოს ოკუპაციით დაემუქრება. ამ ქალაქის დაცემა კი დამარცხების ტოლფასია. ამ ვითარებაში თქვენ შეგიძლიათ აღადგინოთ მდგომარეობა იმ უღელტეხილებზე, კერძოდ სვანეთში, რომელიც გერმანების მიერ არის დაკავებული?“ სტალინმა გამომცდელი მზერა მომაპყრო. მე პათოსით ვუპასუხე, რომ

მზად ვარ, სამშობლოსთვის მოკვდე. „გერმანელები უნდა მოკვდნენ და არა თქვენ“, — შემანყვეტინა სტალინმა და განაგრძო: „ხვალ, დილის ხუთ საათზე ჩემი თვითმფრინავით, ჩემი მფრინავი ჩაგიყვანათ თბილისში. თქვენი ხელმძღვანელი იქნება ამხანაგი ბერია. წარმატებას გისურვებთ“, — დასრულა სტალინმა და ხელი ჩამომართვა“.

საკმაოდ მნიშვნელოვანია თავად პავლე სუდობლატოვის მოგონებანი, რომელსაც აღნერს თავის მემუარებში — „სპეცოპერაციები. ლუბიანკა და კრემლი. 1930-1950 წლები“.

### პავლე სუდობლატოვის მოგონება

„1942 წლის აგვისტოში ბერიამ და მერკულოვმა დამავალეს სულ რაღაც 24 საათში 150 ალპინისტის ეკიპირება, კავკასიაში საბოლოო მოქმედებების განსახორციელებლად. რო-

გორც კი ალპინისტები მზად იყვნენ საბოლოო დავალების შესასრულებლად, ბერიამ მიბრძანა, მასთან და მერკულოვთან ერთად რამდენიმე სატრანსპორტო თვითმფრინავით გაფრინილიყავით მოსკოვიდან კავკასიაში. გადაფრენას ძალზე დიდი დრო მოუნდა. თბილისში ჩვენ მივიღოთ „C-47“ თვითმფრინავებით, რომლებიც მივიღეთ აშშ-დან „ლენდლიზით“. ბაქოში გენერალური შტაბის ოპერატიული მართვის კავკასიური მიმართულების უფროსმა, პოლკოვნიკმა შტემენკომ მოახსენა ბერიას არსებულ ვითარებაზე. გადაწყდა, რომ ჩვენი სპეცდანაყოფები შეეცდებიან, გადაეჭირონ მთის გზები და შეაჩერონ მტრის რჩეული ალპური მსროლების წინსვლა...“

საფრთხე იმისა, რომ თბილისი და მთელი კავკასია იქნება მტრის მიერ დაპყრობილი, სავსებით რე-



ალური იყო. პავლე სულოკლა-ტოვის ამოცანაში შედიოდა, ასევე, ზესაიდუმლო დავა-ლება — ისატაქვება აგენტუ-რული ქსელის შეძენა იმ შემ-თხვევაში, თუ თბილისი გერ-მანელების ხელში აღმოჩნ-დებოდა. ამ მიზნისთვის სუ-დოკლატოვს გადასცეს ოქ-როსა და ბრილიანტების ნა-ეკორგებით სავსე ჩემოდან, დიდი ოდენობის ფულადი თანხა და საიდუმლო შეცვედ-რების აღგილები. სულოკლა-ტოვის სიტყვებით აგენტუ-რული ქსელის ხელმძღვანე-ლობა პერიამ ანდო დიდ ქარ-თველ მცირალს — კონსტან-ტინე გამსახურდიას.

### სირგო გერიას მოგორევებიდან

„...თვითმფრინავის სალონში მამასთან და ჩემთან ერთად იმყოფებოდა თვრამეტი კაცი, რომელთაგან, გენერალ პავლე ბოდინის გარდა (იგი იყო და-ნიშნული ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსად — ლ. დ.), ყველანი იყვნენ საქარ-თველოს მკვიდრი — გრიგოლ კარანაძე, ლავრენტი ცანავა, ნიკოლოზ რუხაძე, ვარდამ კა-კუჩაია, ბოგდან ქობულოვი, სოლომონ მილშტეინი, მიხეილ მიქელაძე და სხვები“.

### ვარლამ კაკუჩაიას დღიურიდან

„გვიან ღამით სათავე თვით-მფრინავი თბილისში დაჯდა, სადაც ლ. პ. ბერიას და მის გუნდს დახვდნენ ამიერკავკა-სიის ფრონტის მთავარსარდა-ლი ივანე ტიულენევი, ფრონ-ტის სამხედრო საბჭოს წევრე-ბი — კომპარტიის ცენტრა-ლური კომიტეტების მდივნე-ბი: საქართველოს — კანდიდ ჩარკვიანი, აზერბაიჯანის — მირ ჯაფარ ბაგიროვი, სომხე-თის — გრიგორი არუთინიანი და სხვები, რომლებიც ძალზე დამწუხებული გამოიყურე-ბოდნენ, რაც არ გამორჩა ბე-რიას მზერას. მან მკაცრად გა-

ნიკითხა ისინი: „რა არის ეს? მოუშვით წვერები და თქვენი იერსახით შეგიძლიათ შთაა-გონოთ ხალხს პანიკური გან-წყობა! ჩვენამდე მოვიდა ხმე-ბი, რომ ქალაქი დანაგვიანე-ბულია; არაა წყალი, ტრამვაი არ დადის! რა, ტრამვაებიც ფრონტზეა?! თქვენ ხელს უწყობთ დამარცხების განწ-ყობას!..“

ლავრენტი ბერია მშვენივრად იცნობდა ამ პატიოსან და საქმი-სადმი ერთგულ ადამიანებს, მათ სუსტ და ძლიერ მხარეებს; იცო-და, რომ უკვე რამდენიმე კვირა ისინი გამოუძინებელნი არიან და დაიქანცნენ... მაგრამ სხვანაირად მას არ შეეძლო. ძალზე დიდი და საპასუხისმგებლო მისის შესრუ-ლება დაავალა მას სტალინმა! გე-რია ჩამოვიდა კავკასიაში განსაკუთრებული, ზაეტიუ-რად, შეუზღუდავი უფლება-მოსილებით და არა მხოლოდ როგორც სთა-ს ცევრი. ლავ-რენტი პავლეს ძემ აქ დაჰყო 28 დღელამე!

ყველას ნაბრძანები ჰქონდათ ამიერკავკასიის ფრონტის შტაბში გამოცხადება. უკვე შუალამე გადაცილებული იყო, როდესაც შტაბში, ბერიას გამოძახებით, და-ინყოშეერება ცალკეული სამხედ-რო ნაწილების მეთაურებმა და სხვადასხვა უწყების ხელმძღვა-ნელებმა. მიუხედავად დაღ-ლილობისა, ლავრენტი გე-რია, როგორც ყოველთვის, მუშაობდა და მოგეხდებდა საქმის ცოდნით, კონკრეტუ-ლად, ზედომი სიტყვების გარეშე (რასაც ვერ ვიტყვი დღე-ვანდელ პოლიტიკოსებზე — ლ. დ.), რაერატიულად, ხისტად და, ამავე დროს, თავაზია-ნად! იგი ელვისებური სისწრა-ფით ერკვეოდა ვითარებაში და ასევე სწრაფად პოულობდა სწორ გადაწყვეტილებას. მთავარი კი იყო ის, რომ ლავრენტი გერია კარგბად იცნობდა აღგილობ-რის პალრებს და შეძლო ჩა-ნერგა აღამიანებში გამარჯ-ვების იმედი! აი, დამახასიათე-ბელი მაგალითიც.

### ვარლამ კაკუჩაიას დღიურიდან

„ჩემი ოჯახი ცხოვრობდა შტაბიდან 80-100 მეტრში, სა-სახლის ქუჩაზე. მე ვთხოვვე ბე-რიას, დროებით გავეშვი ოჯა-ხის სანახავად, რომელიც უკ-ვე მეორე წელია არ მინახავს. პასუხად ბერიასგან მივიღე: „ახლა ოჯახის დრო არაა. გიკ-რძალავთ ტელეფონით დაკავ-შირებასაც. დადგება დრო და მოინახულებთ მას“.“

ასეთივე მომთხოვნი იყო ლავ-რენტი ბერია საკუთარი თავის მი-მართაც. არადა, მას იმ დროს თბი-ლისში ჰყავდა დედა და ყრუმუნ-ჯი და. მან არ მოინახულა ისინი მანამ, სანამ ფრონტზე საქმეები კვეთოდა არ გაუმჯობესდა. რო-გორც ბატონი ლავრენტის ვაჟი — სერგო ისერებდა, მამამ უბრძანა მას, არსად წასულიყო, არსად და-ერეკად მის მისაღებში ყოფილი-ყო. ყველას უამრავი გასაკეთებე-ლი საქმე ელოდა!

ყველაფერი წყდებოდა უმოკ-ლეს ვადებში — დილის 5 საათზე ბერიას ერთ-ერთმა მოადგილემ, მიიღორა გაძლიერებული პოლკი, სპეცეშელონით გაგზავნილ იქნა, სოხუმის გავლით, ქლუხორის უღელტეხილისკენ. მას მიჰყვა ვარლამ კაკუჩაია სსრკ-ს შინსახ-კომის განსაკუთრებული დანიშ-ნულების გაძლიერებული ბატა-ლიონით, დავალებით — ზუგდი-დის გავლით შესულიყო ბერიში და ბერის უღელტეხილებზე (დონ-დეზ ორუნ-ბაში, საიარალო კოშ-კი, „პრიუტი-11“) გაენადგურები-ნა იქ დისლოცირებული მტერი. გერიასთან ერთად სატრან-კორტო თვითმფრინავებით ჩამოსულია გამოცდილი ჩე-კისტების ჯგუფება, გედასან-ტეებთან ერთად არ მისცეს ფაშისტებს უფლება, შეზრი-ლიცვენ ყაბარდო-ბალყა-რეთში. ამავე დროს, ალპი-ნისტებმა ადგილობრივი სეანების გადასახდებით და მისახასიათე-ბელი მაგალითიც.



**ხელთა მოთორიზირებული ქვეითი ჯარის ნაცილები. ააფეთხეს, აგრეთვე, ქალაქ მოზღვის ჭაპურლილები. განსაკუთრებით ხაზგასას-მელია, რომ ზუსტად სვანებმა და სხვა ქართველება გთი-ელებენ დაპლოკეს კავკასიონის ყველა (ორმოცამდე!) გასასვლელი!**

ლავრენტი ბერიას და მისი ჯგუფის ჩამოსვლისთანავე ვითარება კავკასიაში, პირდაპირი გაგებით, ყოველწუთიერად უმჯობესდებოდა! ხანდახან იღებდნენ არაორინალურ გადაწყვეტილებებსაც. ასე, მაგალითად, ბერიას ინიციატივით დასავლეთ საქართველოდან იყო მობილიზებული ხუთი ათასი კამეჩი და ამდენივე სახედარი კახეთიდან. ამ ცხოველების ზურგზე, ზოგჯერ გაუვალი ბილიკებით, კავკასიის დამცველთავის მიჰევნდათ საპროლო აღჭურვილობა, საკვები პროდუქტები, მედიკამენტები, ხოლო, უკანა გზაზე მათი დახმარებით გადმოჰყავდათ მძიმედ დაჭრილი მეომრები.

რათქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, წყდებოდა საკადრო საკითხები. უკვე 1942 წლის 27 აგვისტოს სტალინმა და ვასილევსკიმ, ბერიას მოხსენების შემდეგ, ხელი მოაწერეს უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის დირექტოვას „46-ე არმიის მეთაურის, გენერალ-მაიორ სერგაცკოვის და მისი მოადგილის ზურგის დარგში, ბრიგადის მეთაურის კორმილიცინის გათავისუფლებაზე, როგორც პირებზე, რომლებმაც ვერ

უზრუნველპყვეს ჯარების საბრძოლო მოქმედება“. ამავე დირექტივით ამ არმიის მეთაურად ინიშნებოდა არტილერიის გენერალმაიორი კონსტანტინე ლესელიძე, რომელმაც სახელი გაითქვა ჯერ კიდევ ქალაქ ტულას დაცვისას, სადაც იყო მეთაურობდა 50-ე არმიის არტილერიას. ზუსტად მაშინ ვასილევსკიმ მოახსენა სტალინს, რომ ლესელიძე ისევე მეთაურობს არტილერიას, როგორც დირიჟორი ორკესტრს. ლავრენტი ბერიას „ნათლული“ გახდა კიდევ ერთი ბრწყინვალე გენერალი — ანდრია გრეჩიონ, რომელმაც 47-ე არმია ჩაიბარა.

შემდგომში, ანაპის 414-ე მსროლელთა დივიზიის, ხოლო კავკასიის ისტვის ბრძოლის დროს, 242-ე სამთო-მსროლელთა დივიზიის განთქმული მეთაური, ჩემი მეზობელი და უფროსი მეგობარი, გიორგი ყურაძევილი პირად საუბარში მიყვებოდა იმდროინდელ მოვლენებზე, რომლებზეც მაშინ, ლავრენტი ბერიას „საქმესთან“ დაკავშირებით, ყველა დუმდა.

## გენერალ ყურაშვილის ნამპრეზი

„ვითარება, მართლაც, საგანგაშო იყო! მაგრამ ბერიას ჩამოსვლისთანავე, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა! მოკლე დროში მან მოასწრო იმდენის გაკეთება, რასაც ვერ შეძლებდნენ ათობით, ასობით პარტიული მდივნები, სამხედრო ნანილების მეთაურები და ნარმოებათა ხელმძღვანელები! ბერია მოვიდა ჩევენს დივი-

ზიაში, ესაუბრა ლამის თითოეულ ჯარისკაცს, შთაბერა მათში გამარჯვების რწმენა, პირადად იმყოფებოდა თავდაცვის ყველაზე სახიფათო მონაკვეთებზე, იძლეოდა სასარგებლო რჩევებს. ლავრენტი პავლეს ძემ თან მოიყვანა სნაიპერთა ჯგუფი, შეიარაღებული უხმაურო შაშხანებით. საბჭოთა კავშირის შინსახკომის სასაზღვრო ჯარებში ამგვარი სნაიპერთა ჯგუფების მომზადება დაიწყო მისი ბრძანებით 1938 წლის ბოლოდან...“

არადა, როგორ გამოადგნენ კავკასიის ისტვის ბრძოლაში ბერიას სნაიპერები! ერთ გამოცდილ სნაიპერს შეეძლო „ჩაეკეტა“ კავკასიონის უღელტეხილებზე მონინაალმდების მთელი ასეული. თავის გამყოლ სვანებთან ერთად, სნაიპერებმა დაიკავეს ყველა სტრატეგიული წერტილი და კავკასიის ისტვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანების როლი შეასრულეს. სამწუსაროდ, სვანეთზე და მის გმირ მოსახლეობაზე ძალზე ცოტა დაიწრეოდა. არადა, ზუსტად რომ სვანებისგან შემდგარმა რამდენიმე გამანადგურებელმა ასეულგა მუსრი გააცლო გერმანულ სამთო-მსროლელთა რჩეულ ნაცილებს, როგორც უღელტეხილებზე, ისე ბაკასიის ხეობაზი!

ლავრენტი ბერია, მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის შინსახკომს, სტრატეგიულ დაზვერვას, კურიერებდა საბრძოლო ტექნიკის მრავალი სახეობის წარმოებას და საბრძოლო მარაგს, იყო სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის — ქვეყნის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ორგანოს თავმჯდომარის მოადგილე, ყურადღებით ადევნებდა თვალს კავკასიის თვის ბრძოლის სვლას. ლავრენტი პავლეს ძე მეორედ ჩამოვიდა 1943 წლის გაზაფხულზე და 25 დღე დაჟყო, 7-დან 31 მარტის ჩატვლით. ზუსტად მაშინ, 23 მარტს, გენერალი კონსტანტინე ლე-

**«ლავაზები გარიას და მისი კვავის ჩამოსვლისთანავე ვითარება კავკასიაში, პირდაპირი გაგებით, ურველეული გენერალ-მაიორ სერგაცკოვის და მისი მოადგილის ზურგის დარგში, ბრიგადის მეთაურის კორმილიცინის გათავისუფლებაზე, როგორც პირებზე, რომლებმაც ვერ**



სელიძე დაინიშნა 18-ი არმი-ის მთავარსარდლად, ამ არ-მიას 1943 წლის იანვრამდე გათარობდა მისივე თანა-ტოლი ანდრია გრეჩქო.

ამ ორგანიზაციული მხე-დართმთავარმა უზარმაზა-რი როლი შეასრულა კავკასი-ის დაცვის საქმეში! ეს ზუს-ტად 70 წლის წინ მოხდა. 1943 წლის 9 სექტემბერს დაიწყო კავკა-სიისთვის ბრძოლის ბოლო სტადია — ნოვოროსიისკი-ტამანის ოპერაცია, რომლის შედეგად გარღვე-ულ იქნა უაღრესად მძღვრიად გა-მაგრებული ე.წ. ცისფერი ხაზი და 16 სექტემბერს გაათავისუფლეს ნოვოროსიისკი, სტალინის ხატოვანი გამოთქმით: „ამიერკავკასიის ჭიმები“; ხოლო 1943 წლის 9 ოქ-ტომერს, ტამანის ნახევარ-კუნძულის განთავისუფლე-ბით, საბოლოოდ დასრულდა მეორე მსოფლიო ომის ყვე-ლაზე ხანგრძლივი ბრძოლა — ბრძოლა კავკასიისთვის!

საქონლის ინტელექტის მქონე ხრუშჩოვის გამო, ათწლეულობით მიჩუმათებული იყო ლავრენტი ბერიას წამყვანი როლი კავკასიისთვის ბრძოლაში, რომელსაც არასამხედროებში ერთადერთს, 1945 წელს მიანიჭეს საბჭოთა კავ-შირის მარშლის მაღალი წოდება. ამით აღიარებულ იქნა მისი მხე-დართმთავრული ნიჭიც.

მიაჩუმათეს ქართველ ჩეკისტთა ბრწყინვალე კოპორტის გმირული საქმენიც. ვის ახსოვს დღეს დიდებული ვაჟკაცი, ჩრდილოეთ ოსე-თის შინსახკომის უშიშროების კო-მისარი, ანდრო ზოდელავა, რო-მელიც გმირულად დაიღუპა ორ-

ჯონიკიძეს მისადგომებთან 1942 წლის 2 ნოემბერს? ვის შეუძლია დღეს გიამბოთ საქართველოს სა-საზღვრო ოლქის ლეგენდარულ მეთაურზე, გენერალ-ლეიტენანტ ნისტორ ლაპაძეზე, პირველ საბჭოთა ქართველ გენერალზე, რომელმაც პავლე აბრამიძეს-თან ერთად სათავეში ჩაუდგა გა-მანადგურებელ ბატალიონებს, რომლებმაც კავკასიისთვის ბრძო-ლისას საქართველოში შემოგზავ-ნილი ფაშისტთა ათობით დივერ-სიული ჯავაზი მოსპეს! რას ეუბნე-ბა დღევანდელ მყითხველს უშიშ-როების გენერალ-მაიორის ილა-რიონ (კირ) გაგუას სახელი? მან მხოლოდ 50 წელი იცხოვრა და 1951 წელს სოხუმში გარდაიცვა-ლა. საქართველოს შინსახკომში მსახურების შემდეგ, იგი ორნახე-ვარი წელინადი მუშაობდა მოს-კოვში, კრემლის კომენდანტის პირველ მოადგილედ. ომის დაწყე-ბის წინ კი, აფხაზეთის ავტონომი-ური რესპუბლიკის შინსახკომს ხელმძღვანელობდა. და რომ არა ილარიონ გაგუა და სხვა ქართვე-ლი ჩეკისტები, ფაშისტები აფხა-ზეთს ჯოჯოხეთად აქცევდნენ.

მიუხედავად „დემოკრატე-ბის“, „ლიბერალების“ და ცლუანტირობების მფლეო-ბისა, გააშავონ დიდი სამართ-ოო მოის მთელი ისტორია, დრომანც თავისას იზამს და ყველას და ყველაზე თავის ადგილს მიუჩენს. დარმუნე-ბული ვარ, გაპრეზიდენტა დი-დი ერთვალის, პატრიოტის და ფეხმარიტი იცოდენაციო-ნალისთვის, ნამეგული და მუ-სანათურად მოკლული ლავ-

რენტი პერიას სახელი! დარ-მუნებული ვარ, რომ ლეგინ-დარული მთავარსარდლის, გენერალ-აოლეკოვის კონს-ტანტინე ლესელიძის და სევერის გმირობაზე აღიზრ-დებიან მომავალი თაორგაბი. ზუსტად რომ მე-18 არმია, კონსტანტინე ლესელიძის მე-თაურობით, დაასრულა მტრ-ის ტამანის დაჯუფების გა-ნადგურება და ამით შეასრ-ულა კავკასიისთვის ბრძოლ-აში, რომელიც ფაშისტები დაპარგეს 281 ათასი მეორა-რი, 1358 ტანკი, 2000 თვითმფ-რინავი, 7105 ქვემეხი და ცა-მფორდენი, 22000 ავტომანე-ნა — გადამცვეტი როლი! ძალზე სამწუხაროა, რომ მან მხო-ლოდ 44 წელი იცხოვრა...

კავკასიისთვის ბრძოლაში საბ-ჭოთა კავშირის გმირები გახდნენ ოფიცერები ალექსი პირმისაშ-ვილი, ვლადიმერ კანკავა, ვლადიმერ ლურსმანავილი და რიგითი ნიკოლოზ გმგიჩა-იშვილი. 1944 წლის 1 მაისს და-ნესდა მედალი „За ინიციატი-ვა“, რომლითაც დააჯილდო-ვეს 600 ათასამდე ადამიანი. დღეს ცოცხალი მხოლოდ რამდენიმე ასეული თუა...

— ბატონო ლევან, როგორ შეა-ფასებთ ორი ქართველის — ისება სტალინისა და ლავრენტი ბერიას ფენომენებს?

— იცით, ერთი გორელი ბიჭი გახლდათ, მეორე — მერხეულე-ლი. არც ერთი და არც მეორე არ იყო თავადაზნაურული წარმოშო-ბის. უბრალო, მშრომელი ოჯახე-ბიდან გამოვიდნენ. ჩემი აზრით, ამ ორმა ადამიანმა, გადაჭარბე-ბის გარეშე, მსოფლიო საფუძვ-ლიანად შეცვალა! მათი ცხოვრე-ბის მაგალითი, ზეადამიანური ენერგია და პოტენციალი მეტყვე-ლებს, რომ ქართული გენი უსა-ზღვრო შესაძლებლობისაა, უძლ-ეველია და მას ვერავინ დათრგუ-ნავს ან შეცვლის წუთისოფლის დასასრულამდე!

ესაუბრა  
გიორგი კორპაჩე

**კავკასიისთვის ბრძოლაში საჭროთა  
კავშირის გმირები განდენე რფიურებები  
ალექსი პირმისაშვილი, ვლადიმერ კანკავა,  
ვლადიმერ ლურსმანავილი და  
რიგითი ნიკოლოზ გმგიჩაიშვილი.  
1944 წლის 1 მაისს დანესდა გადა-  
ლი 『ЗА ОБОРОНУ КАВКАЗА』, რომელიც  
დააჯილდოვას 600 ათასამდე ადამიანი**



# იორეა სტალინი ჯუმარ პატიაშვილის თვალით

ახლახან გამოვიდა ჯუმბერ პატიაშვილის წიგნი „23 წლის შემდეგ“. ეს წიგნი არის მოვლენათა უშუალო მონაცილის, საზოგადოებრივი ძვრების ეპიცენტრში მყოფი ადამიანის თვალით დანახული ისტორიის ერთი მონაკვეთის შეძლებისდაგვარად სრულად გადმოცემის მცდელობა.

გადაათვალიერებ და მიხვდები, რომ, რაზეც ჯუმბერ პატიაშვილი წერს, რა პრობლემებსაც ეხება, დღესაც აქტუალურია. და მეორეც: როდის იყო, რომ ბერდებოდა ისტორია?!

წიგნი, დიდალ ინფორმაციასთან ერთად, მკითხველს ანალიზისა და შედარების საშუალებასაც აძლევს. ასე რომ, ამ გამოცემაზე თამამად შეიძლება ითქვას – წაკითხვა მარგებელია! ქვემოთ გთავაზობთ ერთ თავს ზემოხსენებული წიგნიდან.

## სტალინი ჩემთვის გოლომდე ამოუსნელ ზეომენად დარჩე... მარა

მიუხედავად იმისა, რომ ყმანვილკაცობიდან მოყოლებული, დღემდე დიდი ინტერესით ვეცნობიდა ვკითხულობ მის შესახებ გამოცემულ ყველა დოკუმენტურ თუ მხატვრულ ნაწარმოებს, მისი ცხოვრება და პიროვნული შესაძლებლობები დღესაც შეუფასებლად და მიუწვდომლად მიმაჩნია.

ჩემთვის სტალინის ბიოგრაფია საქართველოს გასაბჭოებიდან არ იწყება.

ჯერ კიდევ იღლია ჭავჭავაძემ დაბეჭდა „ივერიაში“ სტალინის „დილა“, გოგებაშვილმა კი ის „დედაენაში“ შეიტანა. სტალინის სახელს უკავშირდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გასაბჭოებამდე, 1917 წელს.

სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც, რასაკვირველია, პარტიისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის გვასწავლიდნენ; გვასწავლიდნენ და ხაზგასმით გვიხსნიდნენ სტალინის როლსაც, მაგრამ ჩემს ცნობიერებაში ის ყოველთვის იყო გმირი, რომელმაც ფაშიზმი დაამარცხა და მის გმირობას ხიბლს ისიც მატებდა, რომ იგი ჩენი, ქართველების, თანამედროვე იყო.

სტუდენტობისას სტალინური სტიპენდიანტი გახლდით. ეს იმ დროისთვის უმაღლესი შეფასება იყო და, ბუნებრივია, მეამაყებოდა, მით უფრო, რომ სტიპენდია სტალინის სახელს ატარებდა. ბოლო კურსზე, „პიროვნების კულტის მხილების“ შემდეგ, სტალინური სტიპენდია ლენინურით შემიცვალეს და მანაც დაკარგა ის ფასი, რომელიც ფულად ერთეულებში არ გამოიხატება.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ დღესაც ცხადად მასოვს 1953 წლის 6 მარტი. ვაჟთა მეექვეს სკოლაში ვსწავლობდი. თანაკლასელი მოვიდა და გვითხრა:

— სტალინი მოკვდა!..

არ დავუჯერეთ. მეშვიდეკლასელი ვიყავი მაშინ და ჯერ კიდევ გვჯეროდა ადამიანების უკვდავებისა. გვჯეროდა, რომ სტალინი არასდროს მოკვდებოდა!

შესვენებაზე უკვე რადიოთი გამოაცხადეს ეს ამბავი.

მასოვს, ყველა ტიროდა, მათ შორის ჩენც. მალევე მოვიდნენ სკოლაში ჩენი ატირებული მშობლებიც. სასწავლო პროცესის გაგრძელებაზე და გაკვეთილების ჩატარებაზე არავის უფიქრია. მთელი ქვეყანა საყოველთაო გლოვამ მოიცვა: შენობებიდან ძირს დაუშვეს დროშები, ქუჩები შავებში ჩატმული ხალხით

გაივსო, ყველას სტალინის სურათი ეკავა... ასე დაიმსხვრა ჩემს ცნობიერებაში მითი უკვდავების შესახებ. რაკილა სტალინი მოკვდა, ესე იგი, უკვდავება არ არსებობს!

იმავე წლის ზაფხულში თურმე კიდევ ერთი მითის დამსხვრევა მელოდა.

ბაკურიანში, პიონერთა ბანაკში ვისვენებდით. მახსოვს, კოხტაგორის დალაშქერას ვაკირებდით და ყველანი პიონერთა ბანაკის ეზოში შევიკრიბეთ. უცებ ცხენზე ამხედრებული კაცი გამოჩნდა. პიონერთა ბანაკის შესასვლელთან, კედელზე ლავრენტი ბერიას სურათი ეკიდა მისივე დევიზით: „მონაფეთა გმირობა და სიმამაცე არის სწავლა ფრიადზე“.

იმ ცხენზე ამხედრებულმა კაცმა, რომელიც, სავარაუდოდ, საბჭოდან გამოგზავნეს, ბერიას სურათიცა და დევიზიც კედლიდან ჩამოგლიჯადა ეზოში მოისროლა.

გაკვირვებული შევცეკეროდით, ის კი მთელი ხმით გაჰყვიროდა:

— ხალხის მტერია, მოღალატე, დაიჭირეს!..

1956 წელს, როცა ხრუშჩოვის ბრძანებით „პიროვნების კულტის“ მსხვრევის სახელმწიფო მანქანა ამუშავდა, მე სკოლის დამამთავრებელ კლასში ვსწავლობდი. საქართველოში ძნელად მოიძებნებოდა ადამიანი, რომელსაც ამ ყველაფერზე მძაფრი პროტესტის გრძნობა არ გასჩენია, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები. ჩვენც, მთელი კლასი, სრული შემადგენლობით შევუერთდით პროცესს. ხალხის უწყვეტი ნაკადი სანაპიროსკენ მიედინებოდა, სტალინის ძეგლს გვირგვინებითა და თაიგულებით ამკობდა, ინტელიგენციის წარმომადგენლები სიტყვით გამოდიოდნენ. მასოვს, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იოსებ ნონეშვილის



გამოსვლამ და მის მიერვე წა-  
კითხულმა ლექსმა მოახდინა, რო-  
მელიც სტალინს ეძღვნებოდა.  
ქართველმა ხალხმა პიროვნების  
კულტის მსხვრევა არა მხოლოდ  
სტალინის, არამედ ზოგადად ქარ-  
თველი ერის წინააღმდეგ მიმარ-  
თულ სახელმწიფო პოლიტიკად  
აღიქვა და, შესაბამისად, პროტეს-  
ტიც გაცილებით დიდი და მძლავ-  
რი იყო, ვიდრე კულტის მსხვრე-  
ვას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

იმ დროს თბილისში ჩინეთის სა-  
ხელმწიფო პარტიული დელეგა-  
ცია იმყოფებოდა ჯუ დეს ხელმ-  
ძღვანელობით. საპროტესტო აქ-  
ციის მონაწილეები ჯუ დესა და  
ჩინეთის დელეგაციისგან მო-  
ითხოვდნენ, რომ ქუჩაში გამოსუ-  
ლიყვნენ და ქართველი ხალხისთ-  
ვის მხარი დაჭირათ, მით უფრო,  
რომ სტალინისა და მათ ძედუნის  
მეგობრობა როგორც ჩვენთვის,  
ისე ჩინელებისთვისაც კარგად  
იყო ცნობილი.

სახალხო პროტესტი რამდენიმე  
დღეს გაგრძელდა. მღელვარებამ  
თბილისის გარდა სხვა ქალაქებიც  
მოიცვა. 9 მარტს კი, როცა აქციის  
მონაწილეებს ცენტრალურ ტე-  
ლეგრაფში მოლოტოვისთვის გა-  
საგზავნი დეპეშა მიჰქონდათ, ჯა-  
რი გამოიყვანეს და ყველაფერი  
ტრაგიკული შედევით დასრულდა.

მარტო ჩვენი უბნიდან სამი ბი-  
ჭი დაიღუპა...

9 მარტის შემდეგ პიროვნების  
კულტის მსხვრევისა და სტალი-  
ნის დისკრედიტაციის პროცესი  
შედარებით ჩაცხრა, თუმცა სა-  
ზოგადოების ცნობიერებაზე მან  
უკვე უარყოფითი ზეგავლენა მო-  
ახდინა.

სამწუხაროდ, ანტისტალინური  
პროპაგანდა დღესაც გრძელდება  
და, რაც ყველაზე გაუგებარი და  
მიუღებელია, ეს ყველაზე მეტად  
სტალინის სამშობლოში, საქართ-  
ველოში, შეიმჩნევა.

რასაკვირველია, არის მთელი  
რიგი საკითხებისა, რომელზეც  
მეც მაქვს კითხვის წინები, შეიძ-  
ლება ითქვას, პრეტენზიებიც. მა-  
გალითად, სამხრეთ ოსეთის ავ-  
ტონომიური რესპუბლიკის გამო-  
ცხადებასთან ანდა ტაო-კლარ-



ჯეთის დაბრუნების შესაძლებ-  
ლობის არგამოყენებასთან და-  
კავშირებით, მაგრამ ეს ყველაფე-  
რი, ერთის მხრივ, სტალინის  
ღვანელს არანაირად აფერმკრთა-  
ლებს და არც აკნინებს; და, მეო-  
რე მხრივ — მოითხოვს იმის გააზ-  
რებას, რომ სტალინი საბჭოთა  
კავშირის ხელმძღვანელი იყო და  
არა საქართველოსი, შესაბამი-  
სად, სამშობლოსთან მიმართება-  
ში ლოიალური ვერ იქნებოდა და  
ვერც გამონაკლისს დაუშვებდა.

სტალინი ის კაცი იყო, რომელ-  
მაც „გენერალი რიგით ჯარის-  
კაცში არ გაცგალა“ და არჩევანში  
— სამშობლო თუ შვილი — საკუ-  
თარი ვაჟი განირა. ასეთი მსხვერ-  
პლის გაღება კი მხოლოდ რჩეუ-  
ლებს შეუძლიათ.

არავინ იცის, რას განიცდიდა  
იგი ყველა იმ გადაწყვეტილების  
მიღების დროს, რომელიც, შესაძ-  
ლოა, ადამიანურად და მორალუ-  
რად მისთვისაც მიუღებელი და  
მტკიცნეული იყო, მაგრამ პოლი-  
ტიკურად იყო გამართლებული და  
აუცილებლობით განპირობებუ-  
ლი.

სტალინს, ალბათ, ისიც კარგად  
ჰქონდა გააზრებული, რომ მომა-  
ვალ თაობებში მისი განქიქების  
მსურველი არ დაიღეოდა. ამას

ნმინდა შოვინისტური თუ ნაცი-  
ონალისტური ბრალდებებიც და-  
ემატებოდა. რუსები გამუდმებით  
გაუსვამდნენ ხაზს იმას, რომ იგი  
ეროვნებით ქართველი იყო, ხო-  
ლო ქართველები ასევე გამუდმე-  
ბით დააყვედრებდნენ, რომ იგი  
საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანე-  
ლი იყო და არა დამოუკიდებელი  
საქართველოსი.

კაგანოვიჩი, სტალინის ერთ-ერ-  
თი ერთგული თანამებრძოლი,  
თავის მოგონებებში ასეთ ფაქტს  
იხსენებს: არქიტექტორთა და  
მშენებელთა ჯგუფი წლების გან-  
მავლობაში ცდილობდა, დაერწ-  
მუნებინა ცენტრალური კომიტე-  
ტი, რომ კრემლის მიმდებარე ტე-  
რიტორიაზე მე-20 საუკუნის და-  
საწყისში აშენებულ ეკლესიას  
არც ისტორიული, არც არქიტექ-  
ტურული ღირებულება არ ჰქონ-  
და და ამავე დროს ხელს უშლიდა  
დემონსტრაციებისა და სხვადას-  
ხვა ღონისძიების ჩატარებას.

რვა წლის განმავლობაში გზავ-  
ნიდნენ ამ შინაარსის წერილს  
კრემლში საბჭოთა არქიტექტო-  
რები არქიტექტორ შუსევის ხელ-  
მძღვანელობით.

რვა წელი ყოფილი მართლი-  
ნი და ბოლოს დანგრევის განკარ-  
გულება გასცა. ხოლო როცა იგი



სისრულეში მოიყვანეს, ეკლესიის  
ნანგრევებს გახედა და კაგანო-  
ვიჩს სინანულით უთხრა:

— ლაზარე, გავა დორ და რუსე-  
ბი ამ ეკლესიის დაწერევას ჩვენ  
დაგვაძრალებენ: შენ, როგორც  
ებრაელს, და მე, როგორც ქართ-  
ველს...

**არადა, ეკლესიების ნგრევა  
არ იყო სტალინის ხელითა.  
ეკლესია-მონასტრების მა-  
სოპრივი ნგრევა ძირითა-  
დად ლენინის მმართველო-  
ბის წლებში მიმდინარეობ-  
და. სტალინი კი გულის სიღ-  
რმეში, ჩვენი აზრით, პოლომ-  
დე ერისტიანად დარჩა.**

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, კიკე-  
თში ვისვენებდით... ერთ დღეს კი-  
კეთის გზაზე საოცარი ავტომან-  
ქანა გამოჩნდა.

ავტომობილი მაშინ დიდ იშვია-  
თობას წარმოადგენდა, მაგრამ  
ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ  
ჰქონდა, რადგან ეს ავტომობილი  
იმდენად დიდი და მასიური იყო,  
რომ ტანკს ჰქონდა. ბავშვებსაც  
მეტი რა გვინდოდა, ავედევნეთ  
ყიუინით...

ავტომობილი გვერდით კოტეჯ-  
თან გაჩერდა, სადაც საქართვე-  
ლოს პატრიარქის, კალისტრატე  
ცინცაძის, ქალიშვილები და შვი-  
ლიშვილები ისვენებდნენ.

ავტომანქანაზე არანაკლებ გაკ-  
ვირვებით ვუმზერდით ავტომო-  
ბილში მჯდომ პატრიარქსაც,  
პირველად ვნახეთ მაშინ ისეთი  
დიდი ჯვარი, როგორიც კათალი-  
კოსს ეკიდა გულზე.

იგი ავტომობილიდან გადმოვი-  
და, მოგვესალმა, სათითაოდ დაგ-  
ვლოცა და კოტეჯში შევიდა. დიდ-

ხანს არ დაყოვნებულა, რადგან,  
როდესაც კოტეჯიდან გამოვიდა,  
ჩვენ ისევ ავტომანქანას ვუვლი-  
დით გარს გაკვირვებულები.

ეს იყო სტალინის სახელობის  
ავტოქარხანაში დამზადებული  
„ზის-101“, რომელიც პირადად  
სტალინმა აჩქეა საქართველოს  
პატრიარქს მაშინ, როდესაც  
მსგავსი ავტომობილი ცენტრა-  
ლური კომიტეტის მდივანს არ  
ჰყავდა.

ის ერთადერთი იყო მთელ რეს-  
პუბლიკაში და სტალინის ბრძანე-  
ბით, მხოლოდ საქართველოს კა-  
თოლიკოს-პატრიარქს ემსახურე-  
ბოდა.

მეორე დღეს, როცა კიკეთის ავ-  
ტოსადგურში თვალუწვდენელ  
რიგში ვიდეტით თბილისში წამოს-  
ვლის მსურველები, ჩვენთან ერ-  
თად რიგში კათოლიკოსის შვილე-  
ბი და შვილიშვილები იდგნენ. კა-  
ლისტრატე ცინცაძე კი წინა დღეს  
ისევე მარტო გაემგზავრა „ზის-  
101“-ით თბილისში, როგორც კი-  
კეთში ამოვიდა მარტო.

1973-1974 წლებში გორის რაი-  
კომის პირველ მდივნად ვმუშაობ-  
დი. უამრავი სტუმარი ჩამოდიო-  
და სტალინის მუზეუმის დასათვა-  
ლიერებლად.

ერთ დღეს უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ძო-  
ნენიძე, მირეკავს და მეუბნება,  
რომ საბჭოთა კავშირის უმაღლე-  
სი საბჭოს პრეზიდიუმის საერთა-  
შორისო ურთიერთობათა განყო-  
ფილების გამგე, პროტოპოტორინი,  
გორში სტალინის მუზეუმის და-  
სათვალიერებლად ჩამოდის და  
მასპინძლობა უნდა გავუნიო.

პროტოპოტორინის მუზეუმის შესას-  
ხანს არ დაყოვნებულა, რადგან,  
ჩვენ ისევ ავტომანქანას ვუვლი-  
დით გარს გაკვირვებულები.

ვლელში დავხვდი.

ასაკოვანი კაცი იყო, საკმაოდ  
მოკრძალებული და სიტყვაძუნნი.

გიდობას მუზეუმის დირექტო-  
რი გვიწევდა. პროტოპოტორინის მზე-  
რაზე ეტყობოდა, რომ რადაც  
კონკრეტულს მიზანდასახულად  
ეძებდა. ბოლოს ერთ ნახატთან  
გაჩერდა, რომელიც მხატვრული  
ლირებულებით დიდად არ გამო-  
ირჩეოდა.

ის კი კარგა ხანს იდგა მდუმა-  
რედ თავდახრილი და, როდესაც  
თვალებიდან ცრემლი მოიწმინდა,  
გავტედე და ვკითხე:

— რით შემიძლია დაგეხმაროთ?

მან სევდიანად გამიღიმა და  
მითხრა:

— არაფრით. ეს ჩემი სახლია...

ამჯერად უკვე ტილოს დავაკვ-  
ირდი გაოცებული — ზამთრის პე-  
იზაუგი იყო, თოვლიან თეთრ ფონ-  
ზე პატარა ქოხი მოჩანდა ბუნდოვ-  
ნად და ქოხისკენ მიმავალი, კიდევ  
უფრო ბუნდოვანი, ლამის წერტი-  
ლისოდენა ადამიანის სილუეტი...

ნახატს „ტურუხანსკიდან გაქ-  
ცევა“ ერქვა.

— შვიდინ წლის ვიქენებოდი, რო-  
დესაც ჩვენთან უცნობი წვერიანი  
კაცი მოვიდა. ჩემმა მშობლებმა  
ვახშამი გაუწყვეს და დასაძინებ-  
ლად სანოლი გაუმზადეს. დილით  
რომ გავიღვიძე, ის კაცი აღარ  
დამხვდა, წასული იყო უკვე.

ამ ამბიდან ათი წელი იქნებოდა  
გასული, როცა მამამ მკითხა:

— იცი, ვინ არის ჩვენი ახალი  
ხელმიწიე?

გაკვირვებისა და უარის ნიშნად  
მხრები ავიჩეჩე.

— ის კაცი, ჩვენთან რომ ღამე  
გაათია, — მითხრა კმაყოფილი  
ლიმილით მამამ.

სტალინმა ციმბირიდან მალევე  
გადმომიყვანა მოსკოვში, მიპატ-  
რონა და მის სიკვდილამდე ცენტ-  
რალურ კომიტეტში განყოფილე-  
ბის გამგის მოადგილედ ვმუშაობ-  
დი...

ამ სევდიანი და ამავე დროს სა-  
ინტერესო ამბის მოსმენის შემ-  
დეგ პროტოპოტორინის შევთავაზე,  
კიდევ რის დათვალიერებას  
ისურვებდა საქართველოში.

— არაფრის, — მიპასუხა მან,

**ეკლესიების ნგრევა არ იყო სტალინის  
ხელისა. ეკლესია-მონასტრების  
გასოპრივი ნგრევა ძირითადად  
ლენინის მიმდინარებისა და უარის  
გასოპრივის შევიდა. დიდ-**



საქართველოში კონკრეტულად სტალინის მუზეუმის და ამ სურა- თის სანახავად ჩამოვედი და დღესვე ბოლო რეისით ვძრუნდე- ბი მოსკოვში.

— ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს სა- საუბრო სტალინზე, — ვუთხარი ლიმილით და ქართული მასპინძ- ლობით დავიყოლიე, გამგზავრე- ბა მეორე დღემდე გადაედო.

კიდევ ერთი საინტერესო სტუ- მარი, რომელიც სტალინის მუზე- უმის დასათვალიერებლად ჩამო- ვიდა გორში, ცნობილი მხატვარი სიკეროსი გახლდათ, რომელიც ასევე ეჭვმიტანილი იყო ტროცკი- ზე განხორციელებულ თავდასხ- მაში.

ჩემი რაიკომის მდივნობის პე- რიოდში გორში სტალინის მუზე- უმის დასათვალიერებლად ლენი- ნის დისმებილიც ჩამოვიდა ოჯახ- თან ერთად. სტუმრებს ნინა უვა- ნია ახლდა. თავად ლენინის დის- მებილი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, რო- დესაც ლენინთან ერთად გადაღე- ბული ფოტოთი მთელი საბჭოე- თისთვის ცნობილი გახდა.

ერთ დღეს საქართველოში სტუ- მრად „საბჭოთა მუსიკის“ რედაქ- ტორი ჩამოვიდა, რომელიც ატე- ნის სიონის მონასტერში გამარ- თულ ქართული პოლიფონიური მუსიკის ფესტივალს უნდა დასწ- რებოდა. ფესტივალის ორგანიზა- ტორი საქართველოს კომპოზი- ტორთა კავშირი იყო და, ბუნებ- რივია, ღონისძიებას უკლებლივ ყველა ქართველი კომპოზიტორი დაესწრო (ანდრია ბალანჩივაძე, რეზო ლალიძე, გოგი ცაბაძე, ბი- ძინა კვერნაძე, ვაჟა აზარაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, გომარ სი- ხარულიძე...) გარდა ოთარ თაქ- თაქიშვილისა, რომელიც საქართ- ველოში არ იმყოფებოდა.

ფესტივალმა ანძლაგით ჩაიარა. ბანეტის სამზადისში ვიყავით, როდესაც გორის აღმასკომის თავმჯდომარემ ვაჟა კვალიაშ- ვილმა შენუხებული სახით მითხ- რა:

— სამარილე გადატრიალდა და იმდენი მარილი დაიპია... ხომ იცით, ეს რისი ნიშანია?..

— კაი, თუ კაცი ხარ, აქ მხოლოდ

კომპოზიტორები და მუსიკოსები არიან და ვინ უნდა იჩხუბოს, — დავამშვიდე მე.

თამადად რეზო ლალიძე დავაყე- ნეთ.

სუფრის მსვლელობისას ბატონ- მა რეზომ სუფრის წევრებს სტა- ლინის სადლეგრძელო შესთავაზაზა.

— ვინ იცის, იქნებ როცა პატა- რა ბიჭი იყო, სწორედ ამ ადგილებ- ში დარბოდა თანატოლებთან ერ- თად, სადაც ახლა ჩვენ ვსხედ- ვართ, — თქვა თამადამ და ჭიქა ბოლომდე დაცალა.

ცოტა ხნის შემდეგ ბატონი რე- ზო სუფრიდან ადგა და გარეთ გა- ვიდა, მეც გავყევი, როგორც მას- ვინდელი.

სანამ ჩვენ გარეთ ვიყავით, სუ- ფრაზე ჩოჩქოლი და განევ-გამო- ნევა ამტყდარა. აღმოჩნდა, რომ „საბჭოთა მუსიკის“ რედაქტორს უარი უთქვამს სტალინის სადლე- გრძელოს შესმაზე, რამაც ქართ- ველი კომპოზიტორები და მუსი- კოსები გააღიზიანა და ხმაურიც ამას მოჰყვა.

ბუნებრივია, სიტუაციის დაშო- შმინებას შევეცადე.

— ჩავალ თუ არა მოსკოვში, სუსლოვს მოვახსენებ, რაც ხდება საქართველოში, — დაგვექადნა „საბჭოთა მუსიკის“ რედაქტორი.

— სანამ თქვენ ჩახვალთ, მანამ- დე მე დავუკავშირდები სუსლოვს და მოვახსენებ, თუ როგორ იქცე- ვით! — ვუპასუხე მე.

მოკლედ, იმ დღეს მარილზე გავ- რცელებული ცრურწმენა გამარ- თლდა. ქართველმა კომპოზიტო- რებმა სტალინი ბოლომდე დაიც- ვეს.

დარგის მდივნობის პერიოდში მოსკოვში კვების მრეწველობის საკავშირო მინისტრ ლეინთან შე- სახვედრად ჩავედი. ლეინს პირა- დად ვიცნობდი, ერთმანეთს თერ- ჯოლაში შევხვდით, შამპანურის ქარხნის მშენებლობასთან დაკავ- შირებით. მაშინ ლეინმა საქართ- ველოს „ზეიცის ხაზი“ გამოუყო, რომელიც სულ ორი იყო საბჭოთა კავშირში.

ამჯერად კი მასთან იმის სათ- ხოვნელად ჩავედი, რომ ქსნის ქა- რხნისთვის იტალიური დანადგა-

რები გადმოეცათ, რომლებიც თავდაპირველად ხარკოვის მშე- ნებარე ქარხნისთვის იყო გათვა- ლისწინებული, მაგრამ ხარკოვის ქარხანა ჯერ კიდევ არ იყო მზად წარმოების დასაწყებად, ჩვენ კი აბსოლუტური მზადყოფნა გვქო- ნდა.

შეხვედრაზე დათქმულ დროს მივედი, თუმცა საკავშირო მინის- ტრი ადგილზე არ დამხვდა.

დაგვიანებით მოსული აფორია- ქებული ჩანდა. ბოდიში მომიხადა, კაბინეტში შემიძლვა და ჩემი თან- დასწრებით სასწრაფოდ გამოიძა- ხა მოადგილე, რომელსაც ოთახ- ში ფეხის შემოდგმისთანავე გაღი- ზიანებული ტონით ჰქითხა:

— თუ იცით, პირის გაპარსვის შემდეგ რომელ ოდეკოლონს მო- იხმარდა სტალინი?

— არ ვიცი, მთავარ პარფიუ- მერს ვკითხავ, — უპასუხა მოუ- ლოდნელი კითხვით დაბნეულმა მოადგილემ, ხოლო რამდენიმე წუთში ლეინს მოახსენა:

— სტალინს თავისი ტექნოლო- გია პერიოდა, უერთულინას მიერ შე- მუშავებული, რომელიც ციტრუ- სოვან ზეთებზე მზადდებოდა.

— დღეს შენიშვნა მივიღე მი- ნისტრთა საბჭოს თავმჯდომა- რისგან. ტიხონოვმა პრძანა, რომ ოდეკოლონი, რომელსაც ამჟა- მად ჩვენ ვუშვებთ, უვარგისია და მას ბევრად სჯობია სტალინის დროინდელი ოდეკოლონი, — არ ცხრებოდა ლეინი.

ამ დიალოგის უნებლივი მოწმე გავხდი. როდესაც კაბინეტიდან ყველა გავიდა და მე და ლეინი პი- რისპირ დავრჩით, საკავშირო მი- ნისტრს უკითხარი:

— ვოლდემარ პეტროვიჩ, მე ვი- ცი თქვენი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკისადმი. ნედლეული, ანუ ცისტრუსი, რომლითაც სტა- ლინის ღვევილობის უნდა დამ- ზადდეს, ყველაზე დიდი რაოდე- ნობით ჩვენთან მოიპოვება; ხო- ლო რაც შეეხება ნარმოებას, ჩვენ ასევე გვაქეს პარფიუმერიული ქარხანა — თბილისის „ივერია“.

ლეინმა მოიწონა ჩემი წინადა- დება და თავის მოადგილეს დაა-



ვალა, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტა უზრუნველეყო. მართლაც, საქართველოში მალევე დავიწყეთ აღნიშნული პროდუქციის წარმოება და თბილისის პარფიუმერიულმა კომპინატმა 1986 წლის დასაწყისში სტალინისა და უემჩუშინას ერთობლივი ტექნილოგით გამოუშვა ოდეკოლონი „დილა“.

იმავე წელს, მოსკოვში ყრილობაზე ყოფნის დროს, გორბაჩოვმა სვეტლანა ალილუევას ჯანმრთელობისა და ზოგადი მდგომარეობის შესახებ მითხავდა.

ვუპასუხე, რომ უკვე დაწყებული იყო თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე იმ სახლის მშენებლობა, რომელშიც სვეტლანა ალილუევაც მიიღებდა საცხოვრებელ ფართობს. დავძინე ისიც, რომ ბინის პროექტი და ადგილმდებარეობა სტალინის ქალიშვილს უკვე ნანახი და მოწონებული ჰქონდა.

ამის შემდეგ გორბაჩოვი მეუბნება, რომ მას აქვს ინფორმაცია, თითქოს სვეტლანა ალილუევა უცხოეთში აპირებს სამუდამოდ წასვლას.

გორბაჩოვმა მთხოვა, თბილისში დაბრუნებისთანავე პირადად შეხვედროდი სტალინის ქალიშვილს და გამერკვია, რატომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება, რაიმე პრობლემა ხომ არ ჰქონდა.

ეს დიალოგი თებერვლის ბოლო დღეებში შედგა.

მარტის დასაწყისში დავბრუნდი

თბილისში და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებებისთვის სამზადის შევუდექით. სვეტლანა ალილუევას პერსონალურად გავუგზავნეთ მოსაწვევი, მაგრამ იგი რუსთაველის თეატრში გამართულ ღონისძიებას არ დასწრებია. მიზეზად ის დაასახელა, რომ ამერიკელი მეგობრები ჰყავდა სტუმრად და მათ მასპინძლობდა. მეორე დღეს ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა გია რამიშვილმა სტალინის ქალიშვილს ჩემი თხოვნით ყვავილები მიართვა, რვა მარტი მიულოცა და უთხრა, რომ მასთან შეხვედრა მსურდა.

იმ დღეს გია რამიშვილი ცენტრალურ კომიტეტში სვეტლანა ალილუევასთან ერთად დაბრუნდა.

აღმოჩნდა, რომ სტალინის ქალიშვილს აქეთ ჰქონდა სათხოვარი. მითხრა, რომ გორბაჩოვთან პირადად სურდა შეხვედრა და სწორედ ამიტომ მიემგზავრებოდა მოსკოვში. დასძინა ისიც, რომ სახლის გასაღებსა და შემნახველი სალაროს წიგნაკებს მეზობელს უტოვებდა, რითაც მაგრძნობინა, რომ არსად აპირებდა სამუდამოდ წასვლას, მით უფრო — უცხოეთში.

ვისარგებლე შემთხვევით და ამ შეხვედრის დროს სვეტლანა ალილუევას ისიც უფთხარი, რომ თბილისში სტალინისა და უემჩუშინას

ერთობლივი ტექნილოგიით შემუშავებული ოდეკოლონის წარმოება დავიწყეთ.

კაბინეტში მქონდა „დილას“ რამდენიმე ნიმუში. ალილუევამ ისინი გამომართვა, ჩანთაში ჩაიწყო, მადლობა გადამიხადა და დამემშვიდობა.

მას შემდეგ სტალინის ქალიშვილი აღარ მინახავს.

ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივხობის პერიოდში რკინიგზის მიმოსვლის გზების საკავშირო მინისტრმა კონარევმა ერთერთი შეხვედრის დროს პირად საუბარში მითხრა:

— იცით, ჯუმბერ ილიჩ, ჩვენთან, მოსკოვში, რკინიგზის დეპოში დღესაც დგას მატარებლის ვაგონი, რომლითაც სტალინი მგზავრობდა.

ბუნებრივია, დავინტერესდი, იყო თუ არა შესაძლებელი, რომ ეს ისტორიული ვაგონი სტალინის მუზეუმისთვის გადმოეცათ.

როგორც კი დადებითი პასუხი მივიღე, ვაგონს რესტავრაცია გავუკეთეთ, საქართველოში ჩამოვიტანეთ და გორში, სტალინის მუზეუმის ეზოში დავდგით.

მოგვიანებით, როცა გორის მაჟორიტარი დეპუტატი გავხდი (2004-2009 წლებში), შეძლების-დაგვარად ასევე ვცდილობდი, სტალინის მუზეუმისთვის რამელირსშესანიშნავი და ფასეული შემემატებინა. სწორედ ამ პერიოდში ჩემი მეგობრის, მოქანდაკე ზურაბ წერეთლის სახელოსნოში ვიყავი და ვნახე მისი არაჩვეულებრივი ნამუშევარი — შესანიშნავი სამეულის: სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის ქანდაკება, რომელიც იალტაში, ისტორიული შეხვედრის ადგილზე, საკონფერენციო დარბაზის წინ უნდა დაედგათ.

წერეთლის „შესანიშნავმა სამეულმა“ ერთი ისტორიული ამბავი გამასხენა. თეირანის კონფერენციის შემდეგ, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა სტალინის მსოფლიოში აღიარებული ავტორიტეტი, საზეიმო ვახშამზე სტუმრებს საქართველოდან ჩამოტანილი ვაშლიც მიართვეს.

**ლეიხა მოიცოდა ჩემი წინადაღება  
და თავის მოაღვილა დაავალა, ჩოვ  
საკითხის დადებითად გადაწყვეტა  
უზრუნველყო. ეართლას,  
საქართველოში მალევა დავიცხეთ  
აღნიშნული პროდუქციის წარმოება და  
თბილისის კარფიურების კომპანია კომპანია  
1986 წლის დასაწყისში სტალინისა და  
უემჩუშინას ერთობლივი ტექნილოგიით  
გამოუშვა რდეკორდი „დილა“**



ჩერჩილმა საოცარი შეფერი-  
ლობისა და ფორმის ვაშლი ხელში  
აიღო, შეათვალიერა და ოქვა:

— ეს უთუოდ ფრანგული ვაშ-  
ლია.

— არა, იტალიურ ვაშლს ჰგავს,  
— შეეწინააღმდეგა რუზველტი.

სტალინმა ყველაზე უკეთ იცოდა, რომ ვაშლი არც იტალიური იყო და არც ფრანგული, გორის ვაშლი იყო, საქართველოდან...

— ტყუილად კამათობთ, ამხანა-  
გებო, ეს საბჭოთა ვაშლია, —  
უთხრა ჩერჩილსა და რუზველტს  
ლიმილით და დასტურად ვაშლი  
ორად არა სიგრძეზე, როგორც ეს  
მიღებულია, არამედ სიგანეზე  
გაჭრა. ორივე მხარეს შუაგულში,  
წიბოების ნაწილში, საბჭოთა კავ-  
შირის სახელმწიფო სიმბოლო,  
ხუთქიმიანი ვარსკვლავი გამოი-  
სახა... .

იმ დღეს კი, ზურაბ წერეთლის  
სახელოსნოში, დიდხანს ვუვლიდი  
გარს „შესანიშნავი სამეულის“  
არაჩვეულებრივ მონუმენტს და  
პევრი აღარ მიფიქრია, ზურაბს  
პირდაპირ ციფრარი:

— ეს ნამუშევარი გორს, სტალინის მუზეუმს უფრო დაამშვენებდა.

წერეთელმა კარგად იცის ჩემი  
დამოკიდებულება სტალინისადმი.  
უარი არ უთქვამს, დამთანხმდა.

საქართველოში დაბრუნებულმა თვალსაჩინოებისთვის თან ნამუშევრის ფოტო წამოვიდე და ამ საკითხის მოსაგვარებლად საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, პირადად შეეხვდი.

ରା ଧ୍ୟନେ ଶୁଭାଳ୍ୟକୁ ଶୁଦ୍ଧି  
ଦିପମ୍ବର ଏହି, ରା ଧ୍ୟନେତେ ଶୁଦ୍ଧି  
ଆପ୍ଯାନାରମ୍ଭ ଥାବେ ସାକ୍ଷାତିରମା ବେ-  
ଲୀପିଶୁଭାଳ୍ୟକୁ କାନ୍ତିରେ ଧ୍ୟନ

ნაპოლეონი, დამარცხების მიუ-  
ხედავად, დღემდე რჩება ფრანგე-  
ბისთვის სათაყვანებელ ფიგუ-  
რად, მსოფლიო ისტორიაში ერ-  
თადერთი დაუმარცხებელი მთა-  
ვარსარდალი კი მისივე თანამემა-  
მულეებმა, ლამისაა, სამშობლოს  
ყველაზე დიდ მტრად გამოვაცხა-  
დოთ.

ალბათ, გამიჭირდება ზუსტად  
იმის თქმა, მთელი ცხოვრების გა-  
ნმავლობაში რამდენჯერ ვარ  
სტალინის მუზეუმში ნამყოფი.  
ჩემს ბიოგრაფიაში ათეულობით  
იქნება ასეთი დღე, მაგრამ ერთი  
რამ დანამდვილებით შემიძლია  
ვთქვა — ყოველთვის მდუმარედ,  
მოკრძალებით ვჩერდები იმ აპ-  
რასთან, რომელზეც სტალინის  
უკანასკნელი სიტყვებია დაწერი-  
ლი:

„ადამიანი მარადიული არ არის: მეც მოვკვდები. როგორ იქნება ხალხისა და ისტორიის მსჯავრი?

შეცდომისგან გვარი იყო, მაგრამ თარიღისათვის გვარი უკავშირდა!

ଶ୍ରୀପଦମହାରାତ୍, ଧୂନେଶ୍ଵରିବିଦୀଏ,  
ଏ ଥରମାଣେରାନ୍. କିମେ ସାମାନ୍ୟେ  
ଦୁଃଖାତ୍ସ ମିଳାୟକିବାନ୍, ମାଧ୍ୟମାମ ଥମ-  
ଦ୍ୟ ଧରନ ଡା ଏ ଦୁଃଖାତ୍ସ ଉତ୍ସମ-  
ରିବିଲେ ଯାହିଁ ଯାତ୍ରାନ୍ତିକାତ୍ସ.

## ဦ. စမိပ္ပါဒ်

მე მოვესწარი სტალინის სამარისთვის ნაგვის მიყრას...

იმედია, ისტორიულ ქარსა და  
სტალინის სამარიდან ნაგვის გა-  
ფანტვასაც მოვესწრები.

\* \* \*

ლავრენტი ბერია არ იყო ისეთი  
მსოფლიო მნიშვნელობის ფიგუ-  
რა, როგორც სტალინი, მაგრამ  
ქართველმა ხალხმა არანაკლები  
უმაღლურობით უპასუხა მის მიერ

გაკეთებულ ყველა კითილ საჭმეს.

რასაკვირველია, მე არც სტალინის და არც ბერიას ადვოკატად გამოვდგები, ისიც კარგად მაქვს გააზრებული, რომ რეპრესირებულთა ოჯახებისა და მათი შთამომავლობისთვის ბერიას სახელი სისხლისღვრასა და ჯალადობას-თან ასოცირდება, მაგრამ ნების-მიერი პიროვნების განვლილი გზა არ შეიძლება ყოველივე დადები-თის უგულებელყოფით, მხოლოდ უარყოფითი ფაქტორების კრები-თობად განვიხილოთ.

დღევანდელი გადასახედიდან კრიტიკა ადვილია, მაგრამ, თუ ადამიანს, მთი უფრო — ისტორიკოსა და ანალიტიკოსს, არ შესწევს უნარი, ეპოქალური გარდასახვით, ზოგადი მოცემულობის გათვალისწინებით შეაფასოს ადამიანი, მაშინ მას არც იმის პრეტენზია უნდა ჰქონდეს, რომ მისი მიღებამა ობიექტურია ან სიმართლესთან ახლოს დგას.

ჩემთვის გაუგებარი და, ამავე  
დროს, მიუღებელია ის სუბიექ-  
ტური, მიკერძოებული შეფასებე-  
ბი, რომელთ მიხედვით ლავრენ-  
ტი ბერია პირსის სხლიან ქართ-  
ველთ მოძულება მიჩნეული.

ლავრენტი ბერიას სახელს უკავშირდება საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე არაერთი პროცესის განვითარება: კოლხეთის ჭაობის დაშრობა და ათვისება; დასავლეთ საქართველოში ჩაისა და სუბტრობიკული კულტურების განაშენიანება; დედაქალაქში არაერთი არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობის აგება, რომელთა კოსმეტიკური რემონტებითა თუ ფასადური რეკონსტრუქციებით შემდეგი ხელისუფლებები დღემდე იწონებენ თავს.

ფაქტია: ადამიანი, რომელსაც  
საკუთარი სამშობლო და ხალხი  
არ უყვარს, ამდენის გაკეთებას  
ვერ შეძლებდა... სამწუხაროდ,  
ფაქტია ისიც, რომ ქართველებს  
გენეტიკურად მოგვდგამს მო-  
შურნეობა და უმაღლურობა, და  
ამას ჩვენი მხოლოდ უძველესი კი  
არა, უახლესი ისტორია და თანა-



მედინიკური ადასტურებს.

ბერიას ბევრი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ როდესაც კომპეტენტური შემფასებლები მას „მეოცე საუკუნის საუკეთესო მენეჯერად“ მიიჩნევენ, იქნებ ქართველები იმაზე მაინც დავითიქდეთ, რა ფაქტორებისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით მიანიჭეს ეს უმაღლესი შეფასება.

პირადად მე ასევე სიმართლესთან ახლოს არ მგონია საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს სტალინი ბერიას არ ენდობოდა ან მათ შორის იმდენად დააბული ურთიერთობა იყო, რომ ერთმანეთი სასიკვდილოდ გაემტებინათ.

**განუზომლად დიდია პერიას როლი ათომური იარაღის შექმნაში. სფალინს პერიას და რომა არ პერიოდა, გამორიცხულია, ძველისთვის ესოდენ განიშვნელოვანი საქმის ორგანიზატორობას არ ადობდა.**

ამ თემასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ამბავი მახსენდება:

ოთხმოციანი წლების დასაწყისში მოსკოვში ვიმყოფებოდი. გივი ზაუტაშვილმა ირაკლი აბაშიძე, როინ მეტრეველი და მე რესტორან „არაგვში“ დაგვპატიუა. ჩვენს სუფრას მაღევე შემოუერთდა ქართველი გენერალი, აკადემიკოსი ირაკლი ჯორჯაძე, რომელსაც ორი რუსი მეგობარიც ახლდა.

რესტორნიდან სასატუმროსკენ გზას ფეხით გამოუყევეთ. როდესაც გორკის ქუჩაზე ცენტრალურ ტელეგრაფს მივუახლოვდით, ჯორჯაძის რუსი მეგობრები შეჩერდნენ:

— გახსოვს, სად ვმუშაობდით? — ჰეთხოვთ ერთმა მეორეს და ხელი მოპირდაპირე მხარეს გაიშვირა.

იქ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი იდგა, რომლის პირველ სართულზე ქსოვილების მაღაზია იყო. ჩვენ გაკვირვებით გადავხედეთ ერთმანეთს. ირაკლი ჯორჯაძე მიგვიხვდა გაკვირვების მიზეზს და გვითხრა:

— ჩემი მეგობრები რიგითი კონსტრუქტორები არ არიან. ისინი

ომის დროს პირადად სტალინის დავალებას ასრულებდნენ.

ბუნებრივია, ამ ამბის დეტალებით დავინტერესდით და ამჯერად უკვე თავად კონსტრუქტორებმა გვიამბეს ერთი საოცარი ისტორია:

— იყო დრო, როცა თვითონაც არ ვიცოდით ჩვენი სამუშაო ტერიტორიის ადგილსამყოფელი და მისამართი. ადგილამდე დახურული ავტომობილით მოვყავდით... შენობაც დახურული იყო... და ლიფტით ასევე დახურულ სამუშაო თახამდე ავყავდით.

ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად ჩვენთან ლავრენტი ბერია მოვიდა, რომელსაც თავდაცვის მრეწველობის მინისტრი უსტინოვიც ახლდა.

— ერთი თვე გაქვთ იმისთვის, რომ რაკეტსანიაალმდებოიარალის კონსტრუქცია შექმნათ, — გვითხრა ბერიამ.

ერთმანეთს გავირვებულებმა გადავხედეთ, დროის ამ მონაკვეთში ასეთი დიდი სამუშაოს შესრულება წარმოუდგენელი იყო. როგორც ჩანს, მრეწველობის მინისტრიც იმავეს ფიქრობდა და, რადგან კონსტრუქტორთაგან ბერიას ამის თქმა ვერავინ შეჰპედა, თავად უსტინოვმა უთხრა:

— ლავრენტი პავლოვიჩ, ერთ თვეში ამის გაკეთება შეუძლებელია.

ბერიამ განურჩევლად ყველას გვარიანად შეგვიკურთხა და კატეგორიული ტონით თქვა:

— ეტყოდა, ვერ აცნობიერებთ,

რას გეუბნებით, ეს ამხანაგი სტალინის ბრძანებაა!

ამის შემდეგ რომელი ჭყუათმყოფელი გაბედავდა ხმის ამოღბას, თუნდაც თვით თავდაცვის მრეწველობის მინისტრი ყოფილიყო.

იმავე დღეს მოგვიტანეს საძილე ტომრები, სურსათ-სანოვაგე და ოცდაოთხსათოანი მუშაობის გრაფიკზე გადაგვიყვანეს. ერთი თვე არც დაგვჭირდებია, ოცდამეექვსე დღეს დავასრულეთ სამუშაო.

ვიდრე დახურული სივრციდან მზის სინათლეზე გამოგვიყვანდნენ, ჩვენთან ისევ მოვიდა ბერია, სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი, სტალინის სახელით მაღლობა გადაგვიხადა და პრემიებიც გადმოგვცა.

ამ ისტორიის მოსმენის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არ შეიძლება პიროვნების ლვანლის შეფასება მხოლოდ თანამედროვე კრიტერიუმებითა და შავ-თეთრი ფერებით. ეს იყო ეპოქა, რომელშიც სტალინმა და ბერიამ თავადაც შეუძლებელი შეძლეს და სხვებისგანაც იმავეს მოითხოვდნენ. ასეთ დროს კი ძლიერი ლიდერები ადამიანურ სისტუმრებს ძნელად პატიობენ.

ორვემ თუ რამ შექმნა — საკუთარი ქვეყნისთვის. პირად კეთილდღეობაზე არც ერთს უზრუნია, არც საფლავში წაულიათ ქვეყნის ქონება და არც შთამომავლებისთვის დაუტოვებიათ მემკვიდრეობად, შემდგომი ხელისუფლებებისგან განსხვავებით.





# ლეო გორეასი — თანამედროვეობის გამოჩენილი კარტირეარები

ცონბილი მეცნიერი, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი კარდინალურგი, აკადემიკოსი ლეო ანტონის ძე ბოკერია 1939 წლის 22 დეკემბერს ოჩამჩირეში დაიბადა. მისი მშობლები ფოთში ცხოვრობდნენ, მაგრამ ლეოს უფროს დას მალარია სჭირდა და, ექიმების რჩევით, აფხაზეთში, ოჩამჩირეში გადასახლდნენ. სამი წლისას მამა გარდაეცვალა. მარტოდ დარჩენილ დედას გულმა მშობლიური კუთხისკენ გაუწია და სამ შვილთან ერთად ფოთში დაბრუნდა.

მეცნიერი ბავშვობის წლებს სიამოვნებით იგონებს: „ფოთში, ჩვენს უჩაზე, 31 სახლი იდგა. ბევრ ოჯახში მამები ომიდან არ დაბრუნებულან, მაგრამ თითქმის ყველა ოჯახში ბიჭი იზრდებოდა. ძირითადად, ქუჩაში ვიყავით. კარგი მეგობრები მყავდა. ვინც ცოცხალი დავრჩით, ახლაც ძმებივით ვართ. ფეხბურთსა და ჭადრაკს ვთამაშობდით. კალათბურთიც მიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლე არ მყოფნიდა და არც სხვა მონაცემები მიზყობდა ხელს, მაინც ვთამაშობდი. ყოველდღე ზღვაზე დავდიოდით... ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის საპანაო სეზონი ადრე გაზაფხულზე იწყებოდა... დღესაც ყველაზე მეტად ძმაკაცებთან ყოფნა მენატრება“.

ფოთის რუსული სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში განავრდო. საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსზე იყო, როდესაც ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე შევიდა. ორ წელიწადში დაამთავრა და ისეთი წარმატებით, რომ შესთავაზეს, სამედიცინო ინსტიტუტის ნაცვლად ინგლისური ენის სწავლა გაეგრძელებინა. არ დათანხმდა. მედიცინის სიყვარული უკვე ძვალრბილში ჰქონდა ვამჯდარი. ინსტიტუტი 1965 წელს დაამთავრა

და ასპირანტურაში ჩააბარა. 1968 წელს ბაქულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად დაიწყო მუშაობა და საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა. 1973 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და პროფესორის წოდება მიიღო. 1977-93 წლებში გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო სამეცნიერო დარგში, 1993 წელს რუსეთის სამედიცინო მეცნიერების აკადემიის კარდიოქირურგიის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. 1994 წლიდან ხელმძღვანელობს ა. ნ. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრს. ლეო ბოკერია ხშირად და საკმაოდ წარმატებულად იყენებდა ექსპერიმენტულ მეთოდებს მედიცინაში. ინგლისური ენის ცოდნა ძალიან გამოადგა. სამეცნიერო მუშაობის დასაწყისში ძალიან დააინტერესა თემამ, რომელზეც მსოფლიოში სულ ორი ნაშრომი იყო გამოქვეყნებული, ბიბლიოთეკაში წაიკითხა ინგლისურად. ჯერ საკანდიდატო გააკეთა, მერე — სადოქტორო, მოგვიანებით კი ლენინური პრემია მიიღო. ეს არის ე. ნ. ჰიპერბარიული ოსიგენაციის (ძალიან მაღალი წნევის უანგბადით მოქმედება ბავშვებზე, რომელთაც აქვთ ე. ნ. ლურჯი,




თანდაყოლილი მანკი) მეთოდით ოპერაციის ჩატარება. ოპერაციის დროს ბაროკამერაში უანგბადის დონე მატულობდა, ბავშვებს სილურჯე გასდიოდათ და ოპერაციას წარმატებით ატარებდნენ. ქირურგმა სპეციალურ ბაროკამერაში ასეულობით ოპერაცია გააკეთა. ამ მოწყობილობაში იმ ადამიანებს უმკურნალა, რომლებიც ჩვეულებრივ წნევას ვერ გაუძლებდნენ. ბაროკამერაში შექმნილი პირობები კი წყალში 25 მეტრის სიღრმის მონაცემებს უახლოვდება. მერე არითმიამ დააინტერესა. ჯგუფმა, რომელშიც ლეო ბოკერიას გარდა მისი ასპირანტი ამირან რევიშვილი და ორი კაუნასელი ექიმი იყვნენ, სახელმწიფო პრემია მიიღო. გულზე 6 ათასზე მეტი რარაციია ჩატარებული, მათგან პრემიის უნიკალური და მსოფლიოში აღიარებული პრემია ანალოგი არ აძვს. ის იყო პირველი, ვინც მანამდე უი-

**მეღო პაციენტებისთვის ახალი ტექნოლოგიების დახერგვა დაიცუო.** მის სახელს უკავშირდება რუსეთში 10 წლის წინ დაწყებული აქცია „Прикоснись к сердцу ребёнка“, რომლის ფარგლებში 14 ათას ბავშვს გულზე ოპერაცია გაუკეთდა.

**ლეო გოგერიძია არითმიდის ძირულგიბის ერთ-ერთი ფუძემდებელია.** მისმა ნაშრომებში მსოფლიო აღიარება მოიპოვა და იგი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდა, ესენია: ამერიკის ქირურგთა ასოციაცია, ევროპის გულის და გულ-სისხლძარღვთა ქირურგების საზოგადოება, მონაკოს საერთაშორისო კარდიოლოგიური ცენტრი, სერბეთის მეცნიერებათა აკადემია. ამის გარდა არის საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთის რეგულარული საერთაშორისო კონფერენციების ფაკულტეტის წევრი. 1998 წელს მან მიიღო ქირურგიულ იერარქიაში ყველაზე მაღალი ტიტული – ამერიკის ქირურგთა კოლეჯის საპატიო წევრობა. საჩევნებელი ოპერაციების ჩასატარებლად არაერთხელ გამგზავრებულა უცხოეთში და გაუკეთებია პირველი წარმატებული ოპერაცია. თვლის, რომ, თუ ადამიანს რამის მიღწევა უნდა, მთავარია შრომა, შრომა და შრომა.

**ლეო გოგერიძის ეპუთვის 150 პაციენტი გამოგონებაში. გამოაქვეყნა 1000-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 100-ზე მეტი — უცხოეთში.**

მიუხედავად ასეთი წარმატებული კარიერისა, ლეო ბოკერიასთვის პირველ ადგილზე ოჯახი დგას, ჰყავს ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი – ორი ბიჭი და ორი გოგო. მეუღლე ოლღა ალექსანდრეს ასული ბოკერია ეროვნებით რუსია, ერთად სწავლობდნენ ინსტიტუტში და სწავლის დასრულების შემდეგ დაქორნინდნენ. ქალიშვილები – ოლღა და ეკატერინე ექიმები არიან. სწუხს, რომ შვილებმა ქართული არ იციან: „შინ რუსულად ვლაპარაკობთ



**ლეო გოგერიძი — ადამიანი ლეგენდა, თანამედროვეობის გამოჩენილი კარდიოპირულგიბი, „წლის ადამიანი-2005“, „წლის ადამიანი-2010“**

და იმიტომ. ჩემი უმცროსი ქალიშვილი 29 წლისა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა და ეს მეამაყება. მე 33 წლის ვიყავი, ეს ხარისხი რომ მივიღე. უკვე შვილთაშვილებიც მყავს, ერთი უნდა ნახოთ, რა ხდება, ჩვენთან რომ მოდიან „წინილები“ (შვილები და შვილიშვილები).“

საქართველო არასოდეს ავინყდება. ქართულ ტრადიციებსაც პატივს სცემს. „დედაჩემი რომ გარდაიცვალა, ფოთიდან ოჩამჩირეში გადავასვენე და მამის გვერდით დავასაფლავე. იქვე, ზღვის პირას პატარა სახლი ავაშენე, მოსკოვში ლენინის პროსპექტზე ვცხოვრობ. ოთხი საათი მჭირდებოდა ბაბუშერაში ჩასავლელად, პარასკევს ოჩამჩირეში ჩავდიოდი და კვირა საღამოს მოსკოვში ვბრუნდებოდი. 1992 წლის შემდეგ აღარ ჩავსულვარ, მშობლების საფლავზე მისვლა მენატრებოდა, ამიტომ ორი წელია, რაც მშობლები მოსკოვში

გადმოვასვენე და, რადგანაც ოჩამჩირეში ვეღარ ჩავდიოდი, ფოთში ავიშენე სახლი“.

საქართველოზე განსაკუთრებული სითბოთი საუბრობს, ცდილობს, სამშობლოში შეძლებისამებრ ხშირად ჩამოვიდეს. არა აქვს მნიშვნელობა, ეს სამუშაო ვიზიტია თუ ახლობლებთან სტუმრობა: „ფოთში რომ ჩავდივარ, უსათუოდ უნდა მოვიარო ის ქუჩები, სადაც გავიზიარდე. ზღვაშიც სწორედ იმ ადგილას უნდა ვიპანაო, სადაც ბავშვობისას, პალიასტომზეც დავდივარ ხოლმე სათევზაოდ“.

მშობლიური მხარეც სიყვარულით პასუხობს, არის თბილისისა და ფოთის საპატიო მოქალაქე. საქართველოს ეკლესიამ მიანიჭა „მოციქულთასწორის, წმინდა ნინოს მეოთხე ხარისხის ორდენი“ (2007), სახელმწიფოსგან კი ჯილდოდ „ლირსების ორდენი“ მიიღო.

ლეო ბოკერია 1986 წლიდან სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, 1994 წლიდან – რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მუშაკი; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, ნამდვილი წევრი (2011 წლიდან). ფლობს უამრავ ჯილდოს, პრიზს, მიღებული აქვს პრემიები: 1986 წელს გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, 1976 წელს მიიღო ლენინური პრემია; სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის 1999 წელს მე-3 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა, 2002 წელს მისი მიღებული კვლავ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; 2000 წელს კი აღიარეს ათწლეულის ადამიანად (მედიცინა), რასაც მოჰყვა პრემია „ტრიუმფი“, საერთაშორისო პრემია „ოქროს პიპორატე“ და მსოფლიოს საუკეთესო კარდიოქირურგის წოდება; ის ასევე მფლობელია 6. ი. პიროვნის აღმიანის, ევროპის მედლის „ვიცენა“; ორდენების: „ათწლეულის მეცნიერი“ და „მსოფლიოს კეთილი ანგელოზი“. უზომოდ დიდია მისი წვლილი მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში.

# ვერიკო ანჯაფარიძე — მომსიგლავი და განევერაბეჭი

დიდი ყოველთვის შორიდან უკეთ მოჩანსო, — ნათქვამია. ვერიკო ანჯაფარიძის სიდიადეს მის სიცოცხლეშიც ვგრძენობდით. „იგი იყო ქართული სცენის ყველაზე ახალგაზრდა ქალიშვილიც და მისი თმაჭალარა მშვენიერი დედაც“, — ასე შეაფასა მსახიობის მრავალწლიანი სასცენო მოღვაწეობა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ. და მას ასეთს, თმაჭალარასა და განუმეორებელს, სამარადისოდ შეინახავს თეატრის უკვდავი ხელოვნების მეხსიერება.

ქართული სცენის უთვალსაჩინოების წარმომადგენელი, თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი — ვერიკო ივლიანეს ასული ანჯაფარიძე დაიბადა 1900 წლის 6 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისში, ნოტარიუსის ოჯახში. ჯერ კიდევ პატარა ვერიკოს სამუდამოდ დაამახსოვრდა დიდი აკაკის სიტყვები: „**შენ უნდა ასახელო ჩვენი საყვარელი სამოგლო მეოცე საუკუნეში. კარგად დაიმახსოვრე.**“

ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მოსკოვის ს. აიდაროვის (1916-1917 წწ) და თბილისის გ. ჯაბადარის დრამატულ სტუდიებში (1918-1920 წწ). 1920-1926 წლებში თბილისის რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა. 1926-1928 წლებში — ბათუმის თეატრისა და თბილისის „მუშათა თეატრის“, ხოლო 1928-1932 წლებში — ქუთაისი-ბათუმის აკადემიური დრამის (ხელმძღვანელი კოტე მარჯანიშვილი) მსახიობი იყო. ქუთაისის თეატრში შექმნა დაუვინწყარი სახე ივდითი (გუცკოვის „ურიელ აკოსტა“). ერთი წელი მუშაობდა მოსკოვის „რეალისტურ თეატრში“ (1932-1933 წწ), სადაც მ. გორკის „დედაში“ სოფიას როლი შეასრულა. 1933 წელს დაპრუნდა თბილისში, მარჯანიშვილის თეატრში და სიცოცხლის ბოლომდე ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. 1957-1959 წლებში იყო ამ თეატრის დირექტორი და სამსატვრო ხელმძღვანელი.

ვერიკო ანჯაფარიძე ძირითადად იყო ტრაგიკულ-დრამატული უანრის მსახიობი, გამოირჩეოდა საოცარი სცენური მომხიბვლელობით, მეტყველი საშუალებების სიუხვით. მის მიერ შექმნილ ტრაგიკულ და დრამატულ სახეებს ახასიათებდა მაღალი პათეტიკურობა, უდიდესი ლირიზმი, უშუალობა, სცენური ნახაზის მკაფიობა, დიდი კულტურა, მგზნებარება, გულწრფელობა, მეტყველების მელოდიურობა, მაღალი პროფესიონალიზმი, გემოვნება, ღრმა ინტელექტი, ვირტუოზული ტექნიკა.

ანჯაფარიძის სახელთან არის დაკავშირებული კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მრავალი დადგმა. ამ თეატრში მუშაობის 60 წლის მანძილზე ვერიკო ანჯაფარიძემ განსაკუთრებული სცენური სახეების მთელი გალერეა შექმნა. მათ შორის: ოფელია (უ. შექსპირის „ჰამლეტი“ (პიესა), ივლითი (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), დეზდემონა (უ. შექსპირის „ოტელო“, ლიზი (ნ. შიუკაშვილის „სულელი“), გინატრე (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“), მარგარიტა (ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“, ცაბუ (შ. დადიანის „ნაპერნკლიდან“), აიშე (ი. ვაკელის „შური“, ლარისა (ა. ოსტროვსკის „უმზითვო“, ჯავარა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), მაყვალა (ა. ყაზბეგის „მოღვარი“), კლეოპატრა (უ. შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრა“), დარეჯანი (ი.



მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, სარკ სახელმწიფო პრემია, 1952), გრაფინია (პ. ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“), შეჰერენ ბანუ (ნ. ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“), მარიამ სტიუარტი (ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი“), მედეა (ევროპიდეს „მედეა“), ბებია (ა. კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან“), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), ფრუ ალვინგი (პ. იბსენის „მორენებანი“), ფატი გურიელი (ა. ჩხაიძის „შთამომავლობა“), ნენი (პ. ზინდელის „გვირილა“), ლედი მაკეტი (უ. შექსპირის „მაკეტი“), დედოფლი მარევლი (მ. მრევლიშვილის „წამება დედოფლისა“), მისის ჰიგინზი (ბ. შოუს „პიგმალიონი“) და სხვ.

განსაკუთრებული ქალური სინატრიფე და ვაჟა-ფშავერი შემართება ერთყმობა მასში ერთმანეთს. 1925 წლიდან ანჯაფარიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კინოს განვითარებაში. ამის დასტურია მის მიერ შექმნილი განუმეორებელი ეკრანული სახეები: მარო („საბა“, 1929), ლუიზა („კომუნარის ჩიბუხი“, 1929), კნეინა ბარათაშვილისა („არსენა“, 1937), რუსუდანი („გიორგი სააკადე“, სარკ სახელმწიფო პრემია

1943, 1946), ჰანსის დედა („ბერლინის დაცემა“, 1949), დაფინა („სკანდერბეგი“, 1956), ოთარაანთ ქვრივი („ოთარაანთ ქვრივი“, 1958), ნინო („ბედნიერი შესვედრა“, 1949), კნეინა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, 1965), პელაგია („შეხვედრა წარსულთან“, 1966), მგზავრი („მონანიება“, 1984) და სხვ.

ვერიკო მხატვრული კითხვის ოსტატი იყო. ენეოდა რეჟისორულ მოღვაწეობას. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დადგა სპექტაკლები: ვ. როკის „ინჟინერი სერგეევი“, ა. კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან“, ა. აღლაძის „მღელვარე დღეები“.

ვერიკო ანჯაფარიძე საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტსა და დრამატულ სტუდიებში პედაგოგიურ საქმიანობასაც ენეოდა. იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე. 1980 წელს აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ. მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება (1977). მიღებული პქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

ვერიკო ანჯაფარიძე გარდაიცვალა 1987 წელს, 30 იანვარს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებას დიდ შეფასებას აძლევდნენ



ვერიკო ანჯაფარიძე და გიორგი შეგელაია ფილმში „ოთარაანთ ევრივი“

ცნობილი საზოგადო და ხელოვნების მოღვაწენი. **კომიტე მარჯანიშვილი** მას ადარებდა მუსიკის იმ მელოდიას, რომელსაც, რაც უფრო ხშირად ისმენ, მრით უფრო გეძალება მოსმენის სურვილი.

ვერიკო ანჯაფარიძის ხელოვნება დიდებულია და სადა, „როგორც გაცოცხლებული ქართული ფრესკა“, — გიორგი ტოვს-ტონეგვიშვილი.

„მისი თამაშის სილამაზე განსაციფრებელია, ეს თამაში არაჩვეულებრივად რეალისტურია და ამავე დროს — ამაღლებული“, — ელეფთერ ანდრონიქიაშვილი.

„ვერიკოს თვალები მისი სულის სარკეა. ეს თვალები მის უდიდეს ნიჭის ასხივებს“, — ელენე ახვლედიანი.

მსახიობი მეგობრობდა უამრავ ადამიანთან — მწერლებთან, კრიტიკოსებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან, კოლეგებთან, რომლებიც სხვადასხვა ერის შეიღები იყვნენ. მათ უდიდესი გულისტკივილი გამოხატეს ამ დიდი ხელოვანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

„მცირე თეატრი თქვენთან ერთად ღრმად დაამწუხრა ქართველი ერის სახელოვანი შვილის, მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის გამოჩენილი მოღვაწის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სოციალისტური შრომის გმირის — ვერიკო ანჯაფარიძის გარდაცვალებამ. შესანიშნავი შემოქმედის, მშვენიერი სულის ადამიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში“, — ამ სამგლოვიარო დეპეშას ხელს



ვახტანგ კიკაბიძე და ვერიკო ანჯაფარიძე ფილმში „არ დაიდარდო“



**აწერდნენ** საბჭოთა კინოსა და თეატრის მსახიობები, მოსკოვის მცირე თეატრის რეჟისორები,

სსრ კავშირის სახალხო არტისტები მიხეილ ბარიოვი, ვიქ- ტორ კირშუნოვი და ვლადი- მერ ანდრეევი. სსრ კავშირის სახალხო არტისტი რაჩია ვაპლა- ნიანი კი ინგლისიდან გამოეხმაუ- რა დიდი მსახიობის გარდაცვა- ლების ამბავს: „ეს დიდად სამწუ- ხარო ამბავი სამშობლოდან შორს — ლონდონში შევიტყვე. ვნაღვ- ლობ, რომ უკანასკნელ გზაზე ვერ ვაცილებ ჩვენი დროის უდიდეს მსახიობს“. დიდი სინანულია გა- მოხატული ცნობილი საბჭოთა კარდიოქირურგის, სსრკ მედიცი- ნის მეცნიერებათა აკადემიის აკა- დემიკოსის, თბილისში დაბადებუ- ლი და გაზრდილი ადამიანის —

**ვლადიმერ გურაკოვსკის** სიტყვებში: „შესანიშნავი ვერიკო ანჯაფარიძის ხსოვნა მარად იც- ოცხლებს ჩემს გულში. ქვეყანამ დაკარგა გენიალური მსახიობი და დიდი მოქალაქე“.

შედი არავის ანებივრებს — იგი მხოლოდ დირსეული აჯილდოებს. გარდაცვალებამ- დე ცოტა ხნით ადრე საქინფორ- მის რეაქციამ მას შესთავაზა გაე- კეთებინა მონოლოგი, მიმართვა ახალგაზრდებისადმი, როგორც დედის დარიგება ცხოვრების გზის დასაწყისში, რომელიც მან,

**კადრი ფილმიდან**  
„მონანიერა“



ახალგაზრდობამ, უნდა ააშენოს და სრულყოს.

ეს დარიგება, ვფიქრობ, დღევან- დელ ახალგაზრდებსაც წაადგე- ბათ ცხოვრების გზის გაკვალვაში.

## ვერიკო ანჯაფარიძის უკანასკნელი მიმართვა ახალგაზრდებს

„რაც უფრო დიდხანს ვცოცხ- ლობ, მით უფრო ნაკლებად ვეგუ-

ები სიბერეს. სიჭაბუკე თუ სიბე- რე — ამას განსაზღვრავენ არა განვლილი წლები, არამედ სულის ასაკი. როგორ ვწუხვარ, როცა შევხვდები ხოლმე ახალგაზრდას, რომელსაც გულში სიზარმაცის, აპათიის ჭია შეპარვია. ძალა, ძა- ლისხმევა — მათ შორის ღრმა კა- ვშირია. თუ ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე თავს ძალას არ ატ- ანს, არ იჩენს ნებისყოფას, ადამიანი ვერ შექმნის თავის შესაფერ ბეჭა. ამაში კვლავ და კვლავ გარეშენებს საცუ- თარი ცხოვრება.

ათწლეულების მანძილზე ათო- ბით როლი განმისახიერებია სცე- ნაზე: ნათელი იდეალებისთვის საბრძოლველად შემართული ქა- ლები და თავისი წვრილმანი მის- წრაფებების ვიწრო ნაჭუჭმი მოქ- ცეული ქალები, მეამბოხენი, მზად რომ არიან, დაიწვან თავი დიდ ვნებათა აღელვათა კოცონზე, და საკუთარი უძლურებით დათრ- გუნვილი მსხვერპლნი.

ჩემთვის ყველას მათ აერთია- ნებს ერთი რამ — გატაცებული, ხშირად კი თავდაუზოგავი შრო- მაც. ამ ქალების ცხოვრებით რომ ცხოვრობ, უფრო ღონიერი ხდები. ნარუმა ტებლობა ვერავის ასცდება, ჩემო ძვირფასო ძა- ლიშვილებო და ჭაბუკებო!



ვერიკო ანჯაფარიძი და ნოდარ გგალობლივი ვიზუალური „შთამომავლობა“



**კაცხე რომ გაიგონებთ, „პე-  
ლის ნებიერააო“, — ნუ დაი-  
ჟერებთ. გადი არავის ანე-  
ბივრებს, მაგრა აიგი გაჯილ-  
დოებს დაუცხოობობის,  
უდრეპობის, ააფიოსნებისა  
და უანგარობისთვის, მით  
უფრო გულუხვად გაჯილდო-  
ებს, როცა ნაკლებად ფიქრ-  
ობ დიდებაზე, რაც უფრო მე-  
ტად პოულობ ამ ჯილდოს  
თვითი შრომაში. თავდადება  
მუშაობაში, უდიდესი პასუხისმ-  
გებლობა — ყოველივე ეს ერთად  
თუკი გაქვს, აქცევს სწორედ მსა-  
ხიობს ასეთ ადამიანად.**

მახსენდება, როგორ ვმუშაობ-  
დი ოთარაანთ ქვრივის სახეზე  
ამავე სახელნოდების ფილმში.  
სის წინ ვიდექი და ვცდილობდი,  
„დამეჭირა“ შესაფერი სულიერი  
განწყობილება. უღერდა სამუ-  
ლოვიარო მუსიკა. შვილის და-  
საფლავების ეპიზოდის ყველა  
დანარჩენმა მონანილემ ისეთი  
მწუხარებითა და სიმძაფრით  
აღიქვა ყოველივე ეს, რომ მე, რო-  
გორც იქნა, მივაგენი გულდა-  
თუთქული დედის მდგომარეო-  
ბას, მაგრამ ამ დროს მზეს ღრუ-  
ბელი გადაეფარა და გადალება  
შეწყდა. სცენის მონანილენი და-  
იშალენ, მე კი გაქვავებული ვი-  
დექი, მეშინოდა, მიგნებული გან-  
წყობილება არ დავკარგო-მეთქი.



ფილმის დამდგმელი რეჟისორი  
მიხეილ ჭიაურელი და სხვანი  
მირჩევდნენ, დაისვენეო. მე კი ვი-  
დექი და ხმას არ ვიღებდი.

მზემ მხოლოდ საღამოს 5 საათ-  
ზე გამოიხედა. თურმე შუადღი-  
დან 5 საათამდე ხის ქვემედგარ-  
ვარ. გადალება გაგრძელდა და მე  
მივხვდი — ეპიზოდი გამოვიდა. ეს  
დღე სამუდამოდ ჩამრჩა გულსა  
და გონებაში.

და კიდევ ერთი ამბავი:

კლეოპატრას როლს ვასრულებ-  
დი თეატრში. ეს როლი დიდ ფიზი-  
კურ ძალისხმევას მოითხოვდა.  
სპექტაკლის შემდეგ კულისებში  
შემოვიდა ერთი სამხედრო პირი



ვერიპო ანჯაფარიძე, მიხეილ ჭიაურელი, სოფიკო ჭიაურელი

და მკითხა: „ოდესმე თუ გიცდიათ,  
დაგედგინათ, რამდენს იკლებთ  
წონაში ერთის სპექტაკლის დროს?“

წონა იქით იყოს და არის კიდევ  
სულიც, გულიც, ნერვები — მსა-  
ხიობი, ხელოვანი და, საერთოდ,  
ადამიანი არ შეიძლება მოზომი-  
ლად მოქმედებდეს...

რამდენი მაგალითიც უნდა მო-  
ვიყვანო, ყველა მაინც ერთ რამე-  
ზე მეტყველებს: მიგნებებს, წარ-  
მატებებს მიღმა თავდაუზოგავი  
შრომაა.

**ერთგულება... ერთგულებ-  
ის ნიში დაპატიჟიდან არ  
დაჰვავება ადამიანს, იგი უნ-  
და გამოიმუშაო. ადამიანის,  
საქმის, სამშობლოს ერთგუ-  
ლება იმ დიდი გარების ჯაჭ-  
ვის, საკუთარი იდეალებისა  
და მიზნების სრულყოფას  
რომ ხმარდება. ამაზე მეტი-  
დ უნდა ველაპარაკოთ ახ-  
ალგაზრდება...**

ხელოვნებაში საკუთარ თავს კი  
არ ვამკვიდრებ, არამედ იმას, რაც  
ჩემს როლს მოაქვს. მან უნდა მო-  
იცვას მთელი ჩემი არსება, და-  
მიპყროს მთლიანად. და რაკი მე  
როლის, თეატრის და, მაშასადამე,  
ჩემი საქმის ტყვე ვარ, სწორედ ეს  
არის ჩემი ნამდვილი თავისუფლე-  
ბა — შემოქმედებითი, მოქალაქე-  
ობრივი, უბრალოდ, ადამიანური.

მახსოვს, ბებიას როლს რომ ვთა-  
მაშობდი სპექტაკლში „ხები ზე-  
ზეულად კვდებიან“, სახის მთელი  
კუნთები მტკიოდა. მაშინ მეკით-  
ხებოდნენ: რამ დაგაბერაო? სამა-  
გიეროდ ვთამაშობლი ივდითს —  
და ოცი წლით ვახალგაზრდავდე-  
ბოდი...

...მე ცხოვრების დიდი და გრძე-  
ლი გზა გამოვიარე. უამრავი რამ  
განმიცდია და გადამხდენია თავს.  
დღეს მოგმართავთ თქვენ — ახ-  
ალგაზრდებს: **განცდილს ნუ  
გამოედევნებით. ნუ ითხ-  
ოვთ: „შეჩერდი, წამო!“; დაე,  
გადიოდეს დრო; დაე, მიჰა-  
მდებარებას მას ახალი შრომა, ახა-  
ლი ქიმია, ახალი საქმეები,  
ცხოვრებას უფრო საინტერე-  
სოს, შინაარსიანს, უფრო ნა-  
თელს რომ ხდის!**

მოამზადა დეა სვანიძეა

# იული სტრაუმა – საქართველოს მომღერალი გემოგები



2013 წელი საქართველოში ლატვიელთა დიასპორის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციისთვის „AVE SOL!“ უსიამოვნოდ დაიწყო. დავით ალმაშენებლის №171-ე შენობის ფასადიდან გაქრა მემორიალური დაფა, რომელიც ცნობილი ლატვიელი მხატვრის, თბილისის საპატიო მოქალაქეს იული სტრაუმეს ხსოვნის უკვდავსაყოფად იყო გაკეთებული. მისი მოძიების მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა.

ლატვიის ელჩი საქართველოში — ელიტა გაველე დაინტერესდა ამ ფაქტით და იმ შენობითაც, რომლის ფასადზეც ეს დაფა იყო მიმაგრებული. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ საქართველოში ლატვიის პირველი დიპლომატიური სამსახური 1920-1921 წლებში სწორედ ამ შენობაში იყო განთავსებული, ხოლო იული სტრაუმე ამ დიპლომატიურ მისიაში კონსულის მოვალეობას ასრულებდა. შენობა, რომელიც ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ძეგლია, 2013 წლის მარტში, ლატვია-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენიდან 20 წლის თავზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. ამიტომ საკუთარი ძალებით გადავწყვიტეთ მემორიალური დაფის მოძნა, რაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა და მხოლოდ ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ნაგვის ერთ-ერთ გროვაში აღმოვაჩინეთ. ნავიღეთ სარესტავრაციოდ და 2013 წლის 11 მარტის საიუბილეო დღისთვის მემორიალური დაფა ისევ ძველ ადგილს დავუბრუნეთ.

იული სტრაუმე (1874-1970) საქართველოში 1907 წელს ჩამოვიდა, 1924 წელს ლატვიაში დაბრუნდა. 17 წლის განმავლობაში ცხოვრობდა თბილისში და ენეოდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას, რომლის კვალი დღესაც კარგად არის შემორჩენილი. ის, ვინც ენვევა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას ან მოინახულებს ეთნოგრაფიულ მუზეუმს, შეუძლებელია, გულგრილი დარჩეს ამ დიდებული ხელოვანის ნამუშევ-

რების ხილვით. იუბილის დღეებში სასიამოვნო ცნობა მივიღეთ ლატვიიდან: იული სტრაუმეს მიერ შექმნილი ერთ-ერთი ხალიჩა ლატვიის მუზეუმთა საგანძურთა ნუსხაში იქნა შეტანილი. ეს ნამუშევარი დაცულია ლატვიის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში.

საქართვლოში ლატვიელთა დიასპორა „AVE SOL“, დიდი ხანია, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში იკვლევს იული სტრაუმეს შემოქმედებას. ჯერ კიდევ 1999 წელს, როდესაც ლატვიაში აღინიშნებოდა მისი დაბადებიდან 125-ე წლისთავი, ქართულმა დიასპორამ ამ მოვლენასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში აქტიური მონანილება მიიღო სტრაუმეს შემოქმედების მკვლევარ ლაიმა კლიავინასთან ერთად, რომელიც მონოგრაფიის „იული სტრაუმე — გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი“ ავტორია. მოვიდეთ და დაწვრილებით შევისწავლეთ იული სტრაუმეს მოღვაწეობის ქართული პერიოდი, შემდგომ კი უკვე საკუთარი ძალებითა და საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დახმარებით ჩავატარეთ კონფერენცია იული სტრაუმეს შემოქმედების შესახებ.

ამ დიდი ხელოვანის, მხატვრისა და ეთნოგრაფიის შემოქმედება იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანია ორი ხალხის კულტურული ურთიერთობისთვის, რომ ლატვიის ქართული დიასპორაც დიდი ინტერესით შემოგვირთდა მისი კულტურული

მემკვიდრეობის ამ პერიოდის შესწავლაში.

ჩვენი თანამემამულე იული სტრაუმე სიცოცხლეში არ იყო აღიარებული. როცა მის დღიურებსა და წერილებს კითხულობ, რწმუნდები, რომ იგი გამუდმებით იბრძოდა გადარჩენისთვის, ეძებდა სამუშაოს და, შესაბამისად, შემოსავალის წყაროს. ეს განსაკუთრებით რიგაში მისი ცხოვრების პერიოდს ეხება. სად აღარ უმუშავია — სკოლაში ხატვას ასწავლიდა, პატიმრებს ციხეში — ხელობას, რიგის ქალთა კლუბის წევრებს აცნობდა სპარსული ხალიჩების ქსოვის ტექნიკას, რომელიც კარგად შეისწავლა თბილისში, კავკასიური კუსტარული კომიტეტის სახელოსნოების მხატვრულ ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში. ლატვიის „საგანძურად“ წოდებული ხალიჩა სწორედ რიგის ქალთა კლუბის სახელოსნოშია მოქსოვილი.

იული სტრაუმე გასაოცრად შრომისუნარიანი და შრომისმოყვარე ადამიანი იყო, თვეობით შეეძლო რთული, მონოტონური და რუტინული საქმის კეთება. მიღიმეტრების სიზუსტით იღებდა კავკასიური ხალიჩების მოხატულობების ასლებს. დღესდღეობით საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში დაცულია 500-მდე ასეთი ნიმუში.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ექსპონატები საფრთხეშია, რადგან ქალალდზე, უკეთეს შემთხვევაში, ვატმანზეა დახატული, რაც, ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფს მათი არსებობის ხანგრძლივობას.

კარგი იქნება, თუ კულტურის სამინისტრო ან ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია ამ ექსპონატების ციფრულ ფორმატში გადატანას უზრუნველყოფს. ლატვიის საელჩოსაც შეუძლია ამ საქმეში მონაწილეობის მიღება. ამ შემთხვევაში მთავარი მხოლოდ ის კი არაა, რომ იული სტრაუმეს ნამუშევრები შემოვუნახოთ შთამომავლობას (რაც, არც თუ უმნიშვნელოა), არამედ ის, რომ მრავალი ნახატის დედანი აღარ არსებობს და საჭიროა ასეთი ფორმით მაინც გადავარჩინოთ ჩვენი წინაპრების შემოქმედება.

მივუახლოვდი ჩემს მთავარ სათქმელს, რომელმაც იული სტრაუმეს შესახებ 2013 წლის მოვლენების ერთ ისტორიად მოთხოვბის სურვილი გამიჩინა.

2013 წლის მაისში ჩემმა კოლეგამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სანდორ ნონეშვილმა სამ ენაზე — ქართულად, რუსულად და ინგლისურად — გამოსცა ალბომი „საქართველოს 100 მუზეუმი“. თრთოლვით გადავშალე ალბომი და ყურადღებით ვეძებდი მასში საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმს. იგი მუზეუმთა ჩამონათვალში მე-11 ნომრად არის აღრიცხული. მის აღნერაში სამჯერ არის ნახსენები იული სტრაუმეს სახელი. განაეს არ არის სიამაყის საბაბი?! ადამიანია თავის სიცოცხლეში საკუთარი შრომით

**ისეთი საგანძური შემთხვევაში, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში შემთხვევაში, რომ მომდებარებით შემთხვევაში აღმოჩენილი იყო სტრაუმეს პირადი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შეიქმნა, დაჯილდოვდა ბაზრობის გრანდ პრით. დაჯილდოვდა მეორე ხალიჩაც „ნადირობა“, რომლის ავტორებიც არიან იული სტრაუმე და დავით ციციშვილი.**

2013 წელს კიდევ ერთი მიზეზი არსებობს იული სტრაუმეს მოსაგონებლად: საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის გახსნის ოფიციალურ თარიღად 1899 წელი ითვლება, თუმცა პირველი ექსპოზიცია 1913 წლის 29 სექტემბერს მუშტაიდის პარკში, სპეციალურად მუზეუმისთვის აგებულ შენობაში გაიხსნა. მუზეუმის მიზანი და დანიშნულება კავკასიური ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების მოგროვება და დაცვა იყო. მათი დამზადების ტექნოლოგიების შესწავლის მიზნით, შემდგომში ამ უნიკალური ცოდნის პოპულარიზაციის მიზნით, იქმნებოდა ჩანახატები, გროვდებოდა ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები. განსაკუთრებული ყურადღება ტრადიციულ დარგებს — ხალიჩების ქსოვას, საიუველირო ხელოვნებას, სხვადასხვა მასალის დამუშავების ტექნოლოგიებსა და ეროვნული კოსტიუმების შეკერვას ექ-

ცეოდა. მუზეუმში დაარსდა სამღებრო შალის, ტილოს, აბრეშუმის ძაფების შესაღებად. აქვე მოქმედებდა საღებავი მასალების ხარისხის შესწავლის ლაბორატორია. მუზეუმი მეთოდურ-პრაქტიკული ცენტრიც, და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებისა და ამ სფეროში არსებული გამოცდილების შესწავლისა და თანამედროვე პირობებისთვის ადაპტაციის ინსტიტუციური დაწესებულებაც იყო. იგი კავკასიის ხალხთა გამოყენებითი ხელოვნების პოპულარიზაციონის მისიასაც ითავსებდა.

დაარსების დღიდანვე მუზეუმი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებში, სადაც წარადგენდა არაპროფესიონალთა სახვითი ხელოვნების ნიმუშებს და ავტორთა დიდ წარმატებას განაპირობებდა. მაგალითად, პირადად იული სტრაუმესთვის რუსეთის სოფლის მეურნეობის მეორე გამოფენა, რომელიც მოეწყო 1913 წელს სანკტ პეტერბურგში, ტრიუმფალური აღმოჩნდა. **სენატორ ეგანუელ ვოთ-სონის დავალებით სტრაუმეს დაევალა კუსტარული ნიმუშების გადარჩევა და კავკასიელი ციციშვილი მიზნით**. სენატორ ეგანუელ ვოთ-სონის მიზნით, შემდგომში ამ უნიკალური ცოდნის პოპულარიზაციის მიზნით, იქმნებოდა ჩანახატები, გროვდებოდა ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები. განსაკუთრებული ყურადღება ტრადიციულ დარგებს — ხალიჩების ქსოვას, საიუველირო ხელოვნებას, სხვადასხვა მასალის დამუშავების ტექნოლოგიებსა და ეროვნული კოსტიუმების შეკერვას ექ-

ლატვიელთა დიასპორა საქართველოში მშობლიურად მიიჩნევს საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, რომელსაც ნლეულს 100 წელი უსრულდება.

რაგიცა იაკობიძე,

კუნძულისტი

**სენატორ ეგანუელ ვოთ-სონის დავალებით სტრაუმეს დაევალა კუსტარული ციციშვილის გადარჩევა და კავკასიელი ციციშვილის გადარჩევა დაევალა კუსტარული ნიმუშების გადარჩევა თავის სიცოცხლეში საკუთარი შრომით**

# ქელა გალვაშვილი და «შაპნამე»

ქართველებს უკვე „შაპნამეს“ უნიკალური თარგმანი გაგვაჩნია. ქვეყნის კულტურის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ეს მოვლენა ისეთი შეუმჩნევლი დარჩა, რომ შემთხვევით სადმე ირანელებთან დაახლოებული ადამიანისგან თუ მოჰკრავ ყურს, თორემ კულტურის მესვეურთაგან ვერაფერს გაიგებ. „შაპნამე“ უნიკალური თარგმანის ავტორია პოეტი ქალი — ბელა შალვაშვილი.

— ქართველებმა არ დამიფასეს. სამაგიეროდ, „ანტიტყაოსანისა“ და ასეთი ნაწარმოებების შემქმნელებს „საბას“ პრემიით აჯილდოებენ, — სამართლიანია ქალბატონ ბელას გულისწყვეტა, რომ მის გაეკეთებულ საქმეს არათუ აფასებენ, ვერც კი ამჩნევენ, მაშინ, როცა ათასგვარ სისულელესა და უხამსობას უწევენ პროპაგანდას და რეკლამას. აი, რა გვითხრა მან: — სამაგიეროდ, ირანელებმა დამიფასეს მრომა. აპერდი ნეჯადმა სიგელი გამომიგზავნა. საქართველოში თარგმანთან დაკავშირებით სულ ახლახან ირანულ ჩაიხანა „გულანშაროში“ საღამო გაიმართა. ყველა აღნიშნავდა, რომ ეს იყო ერთადერთი და უნიკალური თარგმანი. იმდენი ამაღლვებელი სიტყვა ითქვა, რომ, ცოტა არ იყოს, შევნუხდი კიდევ.

21 წლია, ამ თარგმანზე ვმუშაობ. 70-იან წლებში ამ საქმეს ვახუშტი კოტეტიშვილის დავალებითა და ძალისხმევით მოვკიდე ხელი. მანამდე ჩემი ლექტორები მთხოვდნენ ამის გაეკეთებას, მაგრამ ვერ ვძედავდი. „შაპნამეს“ კლასიკური თარგმანი არ არსებობდა, თუმცა არსებობს XVII-XVIII საუკუნეების თარგმანები, რომლებიც არ არის ფირდოუსის ხელიდან გამოსული, ისინი თავისუფალი თარგმანები, ანუ ვერსიებია.

თარგმნა 70-იან წლებში კი დავიწყე, მაგრამ მუშაობა ვერ შევქელი. რადგან ძალიან მძიმე ცხოვრება დამიდგა და არსებობისთვის ბრძოლა მიწევდა, „შაპნამესთვ-

ის“ ვეღარ მოვიცალე. უურნალისტობა დავიწყე და წლების განმავლობაში ამ საქმით ვიყავი დაკავებული. გახსენებაც არ მინდა, რამდენი რამ გადავიტანე, იმ წლებს საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნას შევადარებდი. გაუსაძლისი ცხოვრება მქონდა, შვილი მშიერი რომ არ მყოლოდა, ნებისმიერ სამუშაოს ვასრულებდი. ერთი სიტყვით, ამ საქმისთვის აღარ მეცალა, ისე, როგორც არც ერთ უურნალისტი არ სცალია-ხოლმე. გულისგულში ძალიან ვწუხდი, რომ საქმეს, რომელიც ასე მიყვარდა, ვერ ვაეკეთებდი... ამ დარდსა და ფიქრში წლები გავიდა... მერე ყველას მოვპეზრდი და უურნალის-



ბელა შალვაშვილი

ტობასაც თავი დავანებე, სახლში დავჯექი.

2006 წელს ირანისტიკის კათედრის თანამშრომელი ლილი უორულიანი შემხვდა, მითხრა, „შაპნამეს“ რატომ არ თარგმნიო, არ შეიძლება, შენ ასე იჯდე, იმდენი უნიკალური თარგმანი გაქვს და „შაპნამესაც“ იქნებ ხელი მოჰკიდოო. ვუპასუხე, რომ არც განწყობა მქონდა და, სამწუხაროდ, „შაპნამეს“ ტომებიც აღარ მომეპოვებოდა. ძალიან მაღე ლილი, „შაპნამეს“ ტომებით მომადგა და მითხრა, რომ ახლა ხელს აღაფერი შეგიშლისო. მაშინ დავიწყე და ვთარგმნე „ხოსრო ფარვიზი“ და „შირმანი“, რომელიც საკმაოდ დიდი ნიგნებია, ვთარგმნე. „ხოსრო ფარვიზი“ 2009 წელს გამოიცა, სწორედ ამ დროს კონკურსი „საბა“ იგეგმებოდა და ეს თარგმანი წარვადგინე, უფრო ზუსტად, ასეთ საქმეებს ჩემი შვილი აკეთებს, მე მოკრძალებული ვარ. „საბას“ პრემია თარგმანს არ ერგო.

მაღე გამოვიდა თითქმის სრულყოფილი თარგმანი, წიგნი იმხელა, რომ მარტო მისი დანახვა უკვე პატივისცემას იმსახურებს. ეს წიგნიც წარვადგინეთ „საბაზე“, მაგრამ არც ამან დაიმსახურა პრემია. ისე, მე ასეთი ბედი მაქვს...



„შაპნამე“. ილუსტრაცია  
XVI საუკუნის გამოცემიდან



სულეიმან შავი (მაჟა სოლომონი). ილუსტრაცია „ზავნაშეს“  
XVI საუკუნის გამოცემისას. (გრიფანის ბიბლიოთის პიგლიოთება, ლონდონი)

## გელა გალვაგვილის თარგმანია ირანში «წლის ნიგნის» პრიზი დამსახურა

ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების წარმომადგენელი ეჭსან ხაზაი დამიკავშირდა და მითხრა, რომ წიგნი ირანში გააგზავნეს „წლის წიგნის“ პრიზის მოსაპოვებლად, მაგრამ ამ ცნობის თვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინჯებია. ვიფიქრე, საქართველოში არ დააფასეს და ირანში ვის რაში აინტერესებს-მეთქი, თანაც ჩემი ბედის ამბავიც ხომ ვიცი... დიდი ხანი არც იყო გასული, რომ თეირანიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ „წლის წიგნის“ პრიზით დამაჯილდოვეს და ირანში მეპატიურებოდნენ. თვითონ მიღინანსებდნენ მგზავრობას. ვერ წავედი, ძალიან ცუდად ვიყავი. ყველაფერი სახლში გამომიგზავნეს. სიგელმა ცოტა დააგვიანა. თურმე, „ხანუმის“ წაცვლად, „აღა“ დაუნერიათ, რადგან ვერაფრით წარმოიდგინეს, რომ ეს უზარმაზარი 9 ტომიანი წიგნი, რომელიც ირანთურქეთის ომის დეტალებს მოიცავს, ერთი პატარა ქალის ნათარგმნია.

ირანში სულ ახლახან მოვახერხე ჩასვლა. სამადლოდ წამიყვანეს, მწერალთა ჯგუფს ვახლდი.

დღეს უკვე თარგმნილი მაქვს „ნოვზარი“, „ზავი“, „მეფე გერშასფი“, „ქეიყობადი“, „ზურაბი“, „ქეისოსრო“, სულ არის 18 700 სტრიქონი ამ ნაწილს „12 ორთაბრძოლა“ ჰქვია.

მთელს ამ ნაწარმოებში ირანი ხშირ შემთხვევაში იმარჯვებს, თურქების სედაც არ მიყვარდა და „შაპნამე“ საერთოდ შემაძლა. სულ თარგმნილი მაქვს 53 900 სტრიქონი. ახალი თარგმანი დასაბეჭდია. ვფიქრობ, რომ 5 ტომად გამოიცეს, თითო 400-გვერდიანი იქნება. გამომცემელმა დაინგარიშა, რომ ყველანაირი ხარჯის გათვალისწინებით თარგმანის გამოცემა 110 ათასი ლარი დაჯდება. კულტურის სამინისტრომ უკან დაიხია. მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა მითხრა, რომ შევეცდები, ეს თანხა მოვიძოო, მაგრამ ჯერ არაფერი ვიცი.

ეკა ნასყიდაშვილი



# თბილისი და მისი გეორგიენი

**ქალაქისპირა**

**სოფლები**

ქ. თბილისის ჩრდილო-დასავლეთიდან სოფელი ვერე, ანუ ვერა ესაზღვრებოდა. ქალაქის შემოგარენში პირველად სიტყვა „ვერე“ ხევის სახელად „ვერისახევი“ XIII საუკუნიდან გვხვდება. აღნიშნულ ხევში მოედინებოდა მდ. ვერე, რომელიც მტკვარს მარჯვენა მხრიდან ერთვოდა. XVI საუკუნეში მეფე სიმონ I-ის მიერ გაცემულ სიგელში მოხსენიებულია „ვერის ხევის“ ტარულა. ცალკე სოფლის სახელად „ვერე“ - ს ვხვდებით XVIII საუკუნეში. იგი საგაბაშვილო სოფელია.

გაბაშვილთა გვარს თბილისის პირას პირველად XVI საუკუნეში ვხვდებით, კერძოდ, მთაწმინდაზე, წმ. დავითის სახელზე აგებულ ეკლესიასთან დაკავშირებით. 1542 წელს შედგენილი საბუთის მიხედვით, აქ ეკლესია აუგიათ ძმებს — ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებს.

ვერეს ადრეული სახელია **სკორეთი, სკორეთი.**

ვახუშტი ამბობს: „ხოლო კოჭრის ჩრდილოთ კერძ არს სკვირეთის მდინარე, ან წოდებული ვერე; გამოსდის დიდგორის მთას, მოდის აღმოსავლით, ერთვის მტკუარს და სავლიდამ, ტფილისის ჩრდილოთ კერძ, შესართავსაზე და არს ლურჯი მონასტერი.“

სოფელ ვერეს საზღვრებზე XVIII საუკუნის სიგელ-გუჯრებში დაცული ცნობები კონკრეტულად არას გვამცნობენ. დადგენილი მიჯნები უფრო ქალაქთან ახლოს მდებარე საგაბაშვილო მამულს ეხება, ვიდრე კონკრეტულად სოფელ ვერეს. ამ დროს (XVIII საუკუნეში, შეიძლება XVII საუკუნეში), ვერეც უფრო ადგილის ზოგადი სახელი იყო და მოიცავდა ამჟამინდელ საბურთალოს, დელისს, ვაკეს.

XVIII საუკუნეში ვერე შემოიფარგლებოდა სამხრეთიდან — გა-

ლურჯი მონასტერი



ბაანთხევით (ამჟამინდელი გაბაშვილის ქუჩის ნაწილი, ვერის დაღმართი), დასავლეთიდან — ვარდისუბნის მთით (სემიონოვკის დასახლება), ჩრდილოეთიდან — საბურთალოთი, აღმოსავლეთიდან — მტკვრით.

ვერე თბილისის მახლობლად ერთ-ერთი მთავარი სასოფლო-სამეურნეო უბანი იყო, რომლის ბალ-ვენახებსა და ყანებში მოწეული ჭირნახულით მარაგდებოდა ქალაქის ბაზარი.

ბალ-ვენახებისა და ყანების გარდა, მდ. ვერეზე ბევრი წისქვილი იდგა. მათი მფლობელები იყვნენ — ქალაქის მელიქი დარჩია, თბილელი, ორბელიანები, მელიქიშვილი, ყორლანაშვილი და სხვ. ვერეზე და საზოგადოდ ქალაქის სიახლოეს წისქვილთა სიმრავლე მაჩვენებელია თბილისის შემოგარენის სოფლის მეურნეობის ინტენსიურობისა და დაწინაურების. წისქვილი დიდ შემოსავალს იძლეოდა, ამიტომაც მისი მეპატრონე იყო არამარტოუბრალო მოქალაქე ან ვაჭარი, არამედ მეფენი და თავადაზნაურებიც, რომლებსაც იჯარით ჰქონდათ გაცემული თავიანთი წისქვილები.

„ქალაქის მოურავის სარგოს“ მიხედვით, მოურავს წილი ვერის ბალებიდანაც ერგებოდა. ვერის სუროთმოძღვრული ძეგლებიდან დღესაც დგას „ლურჯი მონასტე-

რი“. ვერაზე მდგარა კიდევ ერთი ეკლესია „წმ. ესტატეს“ სახელობის, XII-XIII საუკუნეებისა.

ვერაზე გადიოდა ქალაქიდან წამოსული „დილმის გზა“ — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქალაქთაშორისო და საქარავნო გზა (ამჟამინდელი მერაბ კოსტავას ქუჩა) ვერის ხევზე, ქვითა და ქართული აგურით ნაგებ ოთხმალიან „ვერის ხიდზე“. რომელიც XVII საუკუნის 40-50-იან წლებში აუგია თბილისელ ვაჭარს — **ხოჯა ბეჭ-ბუდას** (თავად ბებუთაშვილების წინაპარს) დღევანდელი ზოოპარკის ახლოს.

მეორე გზა, რომელიც ვერაზე გადიოდა, წყნეთის გზა (ანინდელი მელიქიშვილის ქუჩა და ილია ჭავჭავაძის გამზირი) იყო.

XIX ს. ძველი ვერის — საგაბაშვილოს ტერიტორიაზე ჩნდება რამდენიმე სოფლური დასახლება — **საბურთალო, ვარდისუბანი, ვაკე.**

ვარდისუბნისა და ვაკესგან განსხვავებით, საბურთალო XVIII საუკუნეებში შედგენილ წყაროებში გვხვდება. საბურთალო „დასტურლამალში“ დილომთან დაკავშირებითა მოხსენიებული: „კარი 28, დილმისა და მისის მოხელეებისა“. ქვეთავში „დილმის გამოსაღები“ წერია: „საბურთალოს ზვრებს პური კოდი 36. სხვა ჯერ არ დადებულა“.



## საგურითალო



აღნიშნულ დროს წერილობით წყაროებში სახელ საბურთალოს მსაზღვრელად თან ახლავს სიტყვა „ველი, მინდორი. ესე იგი, ამ დროს (XVIII ს.) საბურთალო, როგორც დასახლებული პუნქტი, არ არსებობდა. „მის (ვერის) სამხრით არს ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ. ვერიდამ მოტანილი, და ან უმისოდ უნაყოფო არს“, — მოვითხობს ვახუშტი.

**მაშასადამე, საბურთალოს ველი ირწყვებოდა მდინარე ვერედან გამოტანილი რუს საშუალებით, რომელიც, ეტყობა, ქვეყნის ავტედობის უამს მოიშალა, რადგანაც იგი ვახუშტის დროს უკვე აღარ მოქმედებდა.**

აღსანიშნავია, რომ საბურთალოს ველი განვითარებულ შუა საუკუნეებში (XI-XIII სს.) მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა — მონეტები, თიხისა თუ ლითონის ნივთები.

ქალაქის შემოგარენში, მის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით, XVIII საუკუნეში მდებარეობდა სოფელი ვეძისი. ამ ხანაში ვეძისის სამხრეთიდან და აღმოსავლეთით უმშეალოდ „საგაბაშვილო“ ემიჯნებოდა, ხოლო დასავლეთით და ჩრდილოეთით — ნახშირ-გორისა და დიღმის მამულები (ამჟამად სოფელ ვეძისის მამულის აღვილი

კანდელაკის სახელობის ქუჩას და მის მიმდებარე ტერიტორიას უკავია).

ვეძისი XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე სახასო სამეფო მამულია. 1723 წელს გაცემული წყალობის სიგელით, ქართლ-კახეთის ტახტის მპყრობელ მეფე კონსტანტინეს ციციშვილებისთვის უბოძებია ვეძისი.

ვეძისში, ციციშვილების გარდა, ყმა-მამული ჰქონდათ თარხნიშვილებს, სოლოლაშვილებს, თუმანიშვილებს და სხვ.

სოფელი კრნანისი თბილისის სამხრეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ერთ-ერთი გარეუბანთაგანია. პირველად ქალაქის მახლობლად კრნანისი გვხვდება 1392 წელს შედგენილ მცხეთის საკათალიკოსო სითარხნის გუჯარში — „ქალაქს ვაჭრებითა კრნანისი“, იგი ვითარცა საკათალიკოსო მამული თბილისის მეტების ღვთისმშობლის ეკლესიაშენირული მამულია.

XVIII საუკუნეში კრნანისის საზღვრებია: სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთიდან — ხატის თელეთი და შინდისი, ჩრდილოეთით — სეიდაბადი და აღმოსავლეთით — მდ. მტკვარი. მის ფარგლებშია ორთაჭალა.

კრნანისის ისტორიის შემცველი გვიანი დოკუმენტური მასალა ძირითადად აქ არსებული ბალ-ვენა-

ხების ყიდვა-გაყიდვასა და წყალობით გაცემას ეხება.

ამ სოფლის მოურავისა და მამასახლისის სახელობის ბოძება და ჩამორთმევა საქართველოს კათალიკოსის უშუალო კომპეტენციაში შედიოდა, თუმცა ზოგჯერ აღნიშნულ სახელობს მეფეც ამტკიცებდა.

კრნანისის მოურავის სახელო მემკვიდრეობითი იყო. მას ფლობდა თაზიშვილის გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

კრნანისში ადგილობრივ მოხელებთან ერთად (მოურავი, ხასა-დარი, მამასახლისი, მებეგრე, მეკულუხე, ზედამხედველი) სხვადასხვა დარგის ხელოსნებიც ყოფილან: ხარაზი, მკერვალი, მესანთლე, ფეიქარი და სხვ. ხელოსნობის განვითარებას აქ ხელს უწყობდა ქალაქის სიახლოვე. კრნანისელი ხელოსანი სოფელში დამზადებულ ნაწარმის ნაწილს თბილისის ბაზარზე ჰყიდდა.

კრნანისში ბაღები ჰქონდათ ქალაქელებს და მეფის ოჯახის წევრებს ბატონიშვილებს. „დასტურლამალში“ საგანგებო პარაგრაფი აქვს დათმობილი „ქალაქის მწვანილის ბაჟის“ საკითხს. აქ ლაპარაკია იმ ვალდებულებებზე, რაც ეთხოვებოდათ გაღმა ჭალის მეპატრონე-მებაღებს: რა რაოდენობის ბოსტნეული და ხილი (კიტრი, ლობიო, ბადრიჯანი, ნიორი, თავი ხახ-



ვი, კომბოსტო, ჭარხალი, ნესვი, საზამთრო) უნდა ჩაეპარებინათ ყოველდღიურად მეფის ქარხანაში (საწყობში); მათ ეკრძალებოდათ გასაყიდი მწვანილის დათესვა, ე.ი. ჭარბი მოსავლის მიღება.

დამოწმებულ საბუთში საუბარია ქალაქის გაღმა ჭალის ბაჟზე. იგივე მითითება ეძლეოდათ აქეთა ჭალის მეპატრონეებსაც — „კრწანისის ბოლოს რომ ბალები არის, იმისას ასრუ იქმოდენ“—ო. საბუთში მოხსენიებული კრწანისის ბოლოში არსებული ბალი ორთაჭალაა. თბილისის სანახებში გეოგრაფიულ სახელად „ორთაჭალა“ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. მანამდე მას „ჭალის ბალი“ ეწოდებოდა. „ორთაჭალა“ შუა ჭალას ნიშნავს. ორთაჭალა დოკუმენტურ წყაროებში, როგორც ცალკე ერთეული, იშვიათად გვხვდება. ის უფრო ხშირად სოფელ კრწანისთანაა მოხსენიებული — „ჩვენს სოფელს კრწანისის ორთაჭალას“, ანდა „გიბოძეთ კრწანისის ორთაჭალას“ და ა. შ. მათ ჰყავდათ ზედამხედველი, მეღლალე და მექულუხე, მოურავიც და მამასახლისიც.

ქართლის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის სიკვდილისა და მისი მემკვიდრის დავით ბაგრატიონის რუსეთში გადასახლების შემდეგ მათი კუთვნილი ორთაჭალის ბალები გადაეცა ფიცხელაურ დოსითოვს — არქეპისკოპოსს.

კრწანისისა და ორთაჭალის ზერგები, ბალჩა-ბალები ირწყვებოდა რუსებით, ჩარხის წყლით, საგანგებოდ მოწყობილ საგუბრებში ჩამდგარი თუ დაგროვილი წყლით, მტკვარზე წყლის საქაჩი დიდი დოლაბებიც — ბორბლებიც იყო მოწყობილი.

ორთაჭალის ბალებში მისვლა მდინარე მტკვრის მარჯვენა ტოტზე გადებული, კოფორბზე შემდგარი ხის ხიდის საშუალებით შეიძლებოდა. ხანდახან ნავითაც გადადიოდნენ, რომელსაც ემსახურებოდა საგანგებოდ მიჩენილი მენავე.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სამხრეთის მხრიდან კრწანისის შემდეგ თბილის ესაზღვრებოდა

### ყურყუთა, შემდგომში სოფ. სოლანლული.

სოფ. სოლანლულის სახელი XVII-XVIII საუკუნეების სიგელ-გუჯრებსა და საისტორიო ლიტერატურაში სხვადასხვაფორმით გვხვდება — ყურყუთა, სონღალუხი, სოლალუხი, სონღალული, სოლანლული. ბოლო დროს მას საკუთარ სახელად სოლანლული დაემკვიდრა. სახელი სოლანლული უცხოა — თურქულია და ქართულად სახახვეს თუ სახახვეთს ნიშნავს.

სოფ. სოლანლული თბილისის სამხრეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. სოლანლულს თბილისისაგან თელეთის მთა ჰყოფდა. თელეთის მთის აღმოსავლეთი კალთა მტკვრისაკენ ეშვებოდა და მდინარესთან ქმნიდა პატარა გამავალ ყელს. და, აი, სონორედ ამ ვიწრო ყელით უკავშირდებოდა სოლანლული ქალაქს. ამ ვიწრო ყელზე გადიოდა ერთერთი მთავარი, სამხრეთისაკენ მიმავალი „განჯის გზა“. სოლანლული თბილისის სამხრეთის მისადგომებთან სწორედ ამ გზის ჩამკეტი პუნქტი იყო. აღსანიშნავია, რომ სოლანლულს „გზის კარს“ უწოდებდნენ.

იყო ორი სოლანლული — პატარა და დიდი, რომლებსაც ერთმანეთისგან შულავრის გზა ჰყოფდა. სოლანლულს გარს ერტყალელვის ხევი, ტაშხარყანა, მტკვარი, შულავრის და ყაზახის გზები, ყოჩის ქვა, სანგრის გორა, ხანლუხდარეს მეორე ხევი, ამილახვრების თელეთი, ტალის (თალის) ქვა და ისევ ლელვის ხევი.

ამგვარად, სოლანლულს ეკავა წყლისპირეთი, მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჭალები და თელეთის (ამილახვრების) მახლობელი ველ-მინდვრები.

პირველად სოლანლულის ადრეული სახელი „ყურყუთა“ სპარსეთში გიორგი სააკაძის ნასვლასთან დაკავშირებით გვხვდება. 1612 წელს გიორგი სააკაძე ღამით ლილოებზე გავლით თბილის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩაუვლის, მტკვრის ფონით ყურყუთას გავა და აღჯაყალას მიდის. აქედან კი დევნილი თბილისის მო-

ურავი ირანის მბრძანებლის შაპაბას I-ის კარს ეახლება.

როსტომ მეფის გარდაცვალების (1658 წ.) შემდეგ ირანის შაპი აბას II ქართლის ტახტს ვახტანგ V-ს, შაპინავაზად ნოდებულს, ადლევს. ამ ამბავთან დაკავშირებით სარდალ პაპუნა ციციშვილის ხელით გამოგზავნილი შაპის რაყამი და ხალათი ვახტანგ V-მ სოლანლულში მიიღო. 1723 წელს კონსტანტინე კახეთის მეფე ოსმალებს სოლანლულში მიეგება და იქ გადასცა ქალაქის კლიტე.

**სოლანლულში სახლობდნენ ქართველები, სომხები და მაპმადიანები — თურქები.**


სოლანლული სამეფო მამული იყო. XVIII საუკუნის მიწურულს ის ქართველი ბატონიშვილების ხელში გადავიდა. სოლანლული ხან იულონ, ხან კიდევ ფარნაოზ ბატონიშვილების კუთვნილი გახდა. ყმა-მამული იქ ამილახვრებაც ჰყონდათ.

ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე მეორემ, სოლანლულში 1765-1772 წლებში ააგო ციხე, რომლის ადგილმდებარეობის შესახებ მიგვანიშნებს ქვემო ქართლში 1772 წელს მიმავალი გიულდენშტედტი: „24 მაისი. მე გავათენე მტკვრის ნაპირზე სოლანლულის ციხის ქვემო“. ამგვარად, ვიგებთ, რომ სოლანლულის ციხე მდგარა მტკვრის სიახლოვეს. ასევე, გიულდენშტედტის მიერვე შედგენილ „საქართველოს 1772 წლის რუკაზე“ დატანილია სოფ. სოლანლული, როგორც დასახლებული ციხესიმაგრე.

აღსანიშნავია, რომ სოლანლულში ეკლესიაც მდგარა, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია, იგი XIX საუკუნეში უკვე დანგრეული იყო.

XVIII საუკუნეში სოლანლული ქალაქის სანახებში იმ გარეუბანთარიცხვის მიეკუთვნება, რომელმაც თბილისის ბაზარს ამარაგებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. სოლანლულში სოფლის მეურნეობის დაწინაურებაზე მეტყველებს სოფლის ზერგების, ხოდაბუნებისა და ბალჩა-ბალების მოსარწყავად მტკვრიდან გამოყიდვა მოხდა.

## მოთაჭალა



ვანილი ორი — დიდი და პატარა სარწყავი არხი.

1797-1799 წწ. ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ნებართვითა და სურვილით იოანებატონიშვილმა ქართლის სოფლები აღწერა. დავთარში სოფლების გარდა შეტანილია — ქ. საძოვარნი ადგილი და სათიბნი მინდორნი და მთებნი და სანადირო ადგილი სამეფო". ამ ადგილთა სიაში შეტანილია — „სოღალულის ჭალა".

გვიან შუა საუკუნეებში, თბილისის შემოგარენში მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქალაქის უახლოესი გარეუბნები იყო ღომელაური, ნავთლული, ჩუღურეთი, ახალსოფელი (კუკია), დიდუბე. XVIII ს. ავლაბარსა და ნავთლულს ერთმანეთისაგან ჰყოფდა სოფელი ღომელაური და დირსიჭალის ბაღები.

ღომელაური, როგორც სოფელი, XVII ს. უკვე არსებობს, შემდეგ ის გახარაბებულია, მისი განახლება XVIII ს. მოხდა და, როგორც დასახლებული პუნქტი, აღნიშნული საუკუნის ბოლომდე გვხვდება.

დირსიჭალაში მხოლოდ ბაღები იყო გაშენებული. დირსიჭალის ბაღების მესაკუთრენი იყვნენ როგორც ქალაქელები, ასევე ახლო-

მახლო სოფლელები — ავლაბრელები, ღომელაურელები, ნავთლულელები და სხვა.

დირსიჭალის ბაღები გაშენებული იყო ღომელაურის დასავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ხევის დაბოლოებაზე, მის ქვემო ნელზე.

სოფელი ნავთლული თბილისის აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა.

**ნავთლულსაც, ისევე როგორც ზოგი ზოგი ერთობენ ერთ-ერთ სოფელს, როი სახელი კემონდა — ნავთლული და ერთეულეს ციხე. სახელი ნავთლული ადრეულია, ხოლო „ერთეულეს ციხე“ — გვიანი, თუმცა ეს უკანასკნელი პარამოდიდრება, ციხე-გალავნის დანგრევასთან ერთად ისიც დავიწყებას მიეცა და-სოფელს ისევ თავისი ძველი სახელი დაუბრუნდა.**

ადგილის სახელი ნავთლული ორი სიტყვის ნაზავს ნარმოადგენს — ნავთი-ლული. ნავთი აღმოსავლური სიტყვაა, ლუჯი — თურქული და ადგილს ნიშნავს, ე.ი. ნავთლული — ნავთის ადგილს, ნავთისას, სანავთეს აღნიშნავს. თბილისის სანახებში ამ სა-

ხელის მქონე პუნქტი როდის გაჩნდა, ზუსტად არ ვიცით.

თუ ადგილის ადრეული სახელის — „ნავთლულის“ ნარმოშობის ზუსტი დრო არ ვიცით, ბედნიერ გამონაკლისს ნარმოადგენს მისი მეორე სახელი — „ერეკლეს ციხე“. აი, მის შესახებ რას წერს გიულდენშტედტი: „სოფელი ნავთლული მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას, შესდგება და-ახლოებით 50 სახლისაგან და, გარდა ამისა, აქაური ჩვეულების მიხედვით, ბევრი მიწურისაგან (რუსულად „ზემლიანკა“). მოსახლეობა ქართველებია. ახლანდელმა მეფემ შემოარტყა ოთხკუთხა კედელი ადგილს, დიამეტრით 80 ნაბიჯი, და დაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს ერეკლეს ციხე“.

„ერეკლეს ციხეს“ ადგილის სახელად პირველად 1770 წელს ვხვდებით. ისე, როგორც ბევრი ქართული სოფელი, მტკრთა არა-ერთგზის შემმუსვრელი შემოსევის შედეგად, ნავთლულიც გაუკაცრიელებულა. გახარაბებული ნავთლული XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვასოფლებიდან მორეკილი ყმა გლეხებით მეფე ერეკლე მეორემ დაასახლა და



შემდეგ, XVIII ს. დასასრულს, თავად სუმბათაშვილებს უწყალობა.

სოფლის მოურავის სახელოც სუმბათაშვილებს ეკავათ.

1776-1780 წე. მოწყობილ სოფელთა აღნერის ნუსხის მიხედვით, „ერეკლეს ციხეში“ 62 კომლი ყმა გლეხი ცხოვრობდა.

თბილის მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა სოფელი ჩუღურეთი.

ვახუშტი ბაგრატიონის „თბილის 1735 წლის გეგმაზე“ დატანილი დასახლების აღმნიშვნელი უჯრედების მიხედვით, ჩუღურეთი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული სოფელია.

პირველად სოფლის სახელად თბილის მახლობლად ჩუღურეთს ვხვდებით 1716 წ., უფრო ადრე, 1707 წელს, გაცემული წყალობის სიგელში ის იხსენიება როგორც ჩუხური.

ჩუღურეთი ნაწარმოებია თურქული სიტყვიდან „ჩუკორ“, „ჩურ“, „ჩუხურ“ — ორმო, ფოსო, ღრმა, ხრამი, ფლატე, დაბლობი, დაცემული ადგილი.

ვახუშტის შემდეგ ჩუღურეთს თითქმის XVIII ს. დასასრულამდე აღარა ვხვდებით, თუ არ ჩავთვლით 1765 წ. შედგენილ კათალიკოსის ყმათა ნუსხაში მოხსენიებულ ჩუღურეთელ მეჭურჭლე თომას.

აღსანიშნავია, რომ ჩუღურეთი საქართველოს რუკაზე არც გიულდენშტედტს და არც პიშჩევიჩს თბილის 1785 წლის გეგმაზე დატანილი არა აქვთ.

XVIII ს. ჩუღურეთი ასე შემოისაზღვრებოდა: ჩრდილოეთით — დიდხევი, სამხრეთიდან — ჩუღურეთის ხევი (ამჟამინდელი კიბალჩიჩის ხევი), აღმოსავლეთით — ხევი და დასავლეთიდან — მტკვარი.

ჩუღურეთს ორად, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ჰყოფდა მასზე გამავალი „ავჭალის გზა“, რომელიც იწყებოდა ავლაბრის გალავანში დატანებულ „პატარა კარიდან“ და მიემართებოდა მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირისაკენ.

1795 წ. დეკემბერში მეფე ერეკ-

ლე მეორემ თავისი კუთვნილი სამეფო სოფელი ჩუღურეთი თავად ამატუნს უწყალობა.

ძეველი თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩუღურეთის უბნის აღმოსავლეთით, ჩუღურეთის (კიბალჩიჩის, სურბ-კარაპეტას) ხევისა და რკინიგზის გადამკვეთ ტერიტორიას — რკინიგზის გადაღმა მხარეს ელია ენოდება. ელია-ქართულ აპოკრიფულ მოთხოვებსა და სასულიერო ლექსებში „ლრუბელთა წინამდლვარია“, ე.ი. ის განავებს სეტყვას, ელვა-ქუსილს, წვიმას, გვალვას.

უბანი ელია ემიჯნება მახათის მთას, რომელზეც იდგა წმინდა ილიას სახელობის ეკლესია.

გვიან შეუა საუკუნების ხანის თბილის მტკვრის მარცხენა მხარეზე, ჩრდილოეთის მხრიდან, სოფ. ჩუღურეთის შემდეგ, ესაზღვრებოდა ახალსოფელი (შემდეგ დარინდელი სოფ. კუკია).

**თბილისისაირა ახალსოფელი ცერილობით ცყაროებში პირველად ვახუშტის „აღვრისა სამეცოსა საქართველოსაში“ მოთავსებულ სოფელთა სიაში გვხვდება.**

**ვახუშტი ბაგრატიონის „თბილის 1735 წლის გეგმაზე“ ახალსოფელი დატანილი აქვთ აღვრისა სახელში გვხვდება.**

გეგმით ახალსოფელი მტკვრის

ნაპირის სიახლოვესაა გაშენებული.

გზა (№74), რომელიც გატანილია ქალაქიდან და მიემართება

ჩრდილოეთისაკენ, ახალსოფელს

ჩაუდისმოშორებით, აღმოსავლე-

თიდან. ეს ის გზაა, რომელიც მოგვიანო ხანის საბუთებში, საქართ-

ველოს რუკებსა და თბილისის

გეგმებზე გვხვდება „დიდი ავჭა-

ლის გზის“ სახელით (დღევანდე-

ლისაბჭოს ქუჩა).

**ახალსოფელს 1772 წ. ჩვენი**

**ჩამოსული გიულდენშტედტი**

**კუკიას უცოდებს. მას ის დან-**

**გრეული და გაპარტახებული**

**დახვედრია. ხელმეორედ კუ-**

**კია უცრო მოგვიანებით და-**

**სახლდა.**

სოფ. კუკია სადედოფლო მამუ-

ლი იყო. ბუნებრივია, დედოფალი დაინტერესებული იყო თავის მამულში სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა ფეხზენა-მოეყენებინა და განვითარებისთვის საჭირო მწარმოებელი ძალა, მიწის მუშა გლეხი ჰყოლოდა. ამიტომ ის ყოველნაირად ცდილობდა და ხელს უწყობდა სოფლის მოსახლეობის ხელოვნურ ზრდას. ამ მიმართებით და მიზნით მეფე ერეკლე II-ის მეუღლემ დარეჯან დედოფალმა თავის კუთვნილ სომხით-საბარათიანოში მდებარე სადედოფლო სოფელ წინწყაროდან აღისა და გადმინიჭირდა სოფ. კუკიაში გადმოასახლა 30 კომლი გლეხი და 16 კომლი განჯელი სომხის ოჯახი. ეს მოხდა თბილისში გიულდენშტედტის ჩამოსვლის (1772 წ.) ცოტა მოგვიანებით, რადგანაც 1781 წ. მომხდარი აღნერის მიხედვით, კუკიას მოლაშრის გამოყვანა აქვს შეწერილი. ამ დროს სოფელ კუკიაში 48 კომლი ყმა გლეხი სახლობდა.

კუკია მოქცეული იყო ბუნებრივ საზღვრებს შორის: სამხრეთიდან — კვირაცხოველი (დიდხევი, რომელიც კუკიას ჩუღურეთისაგან ჰყოფდა, ჩრდილოეთიდან — უსახელო ხევი (დაახლოებით ამჟამინდელი მარჯანიშვილის სახელობის ქუჩა), დასავლეთიდან — მდ. მტკვარი და აღმოსავლეთიდან — ხელოვნური, მიწაყრილიანი თხრილი.

ადგილის სახელი — ახალსოფელი თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე. ის ახლად გაჩენილი და-სახლებული პუნქტია. ახალსოფელი XVII და XVIII სს. მიჯნაზე ნარმოშობილი სოფელია.

ახალსოფელმა თავის მეორე სახელი კუკია გვიან მიიღო. სოფლის სახელი თბილისის შემოგარენში პირველად გიულდენშტედტიან გვხვდება (1772 წ.).

კუკია, როგორც ადგილის საკუთარი სახელი, უფრო ადრე გვხვდება „დასტურლამალში“, თრიალეთთან დაკავშირებით.

საფიქრებელია, რომ თბილისის პირა ადგილს სახელი „კუკია“ მიღებული უნდა ჰქონდეს თრიალეთის სოფელ კუკიადან აყრილი და

ТИФЛИСЬ. Чугуреты, Пески и Авлабаръ.  
TIPLIS. Tchougouréty, Pesqui, et Avlabar.

ჩუღურეთი



ქალაქისპირას გადმოსახლებული ყმა გლეხების გამო XVIII ს. 40-50-იან წლებში, როცა სომხით საბარათიანოს სოფლები მასობრივად აიყარა და გაიხიზნა.

1791 წ. შედგენილი საბუთით ირკვევა, რომ სოფ. კუკიას ქერის მოსავლიდან უნდა გამოელონ 5 საპალნე და ბზის საფასური მანეთი.

**იოანე ბატონიშვილის მიერ 1797-1799 წწ. შედგენილი ქართლ-კახეთის სოფლების აღნერა სოფ. კუკიას მოიხსენიებს როგორც ნაშენს „ქ. კუკია, შენი, მოსახლენი“.**

თბილისს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჩრდილოეთის მხრიდან, ჩუღურეთისა და ახალსოფლის (კუკიას) შემდეგ ემიჯნებოდა სოფელი დიდუბე. დიდუბის ადრეული (V ს.) სახელი ცხენისტერთია.

დიდუბე თბილისისპირას მდებარე ადგილის სახელწოდებად რამდენჯერმე გვხვდება XII ს-ში, კერძოდ, თამარ მეფის და დავით სოსლანის დაქორნინების ამბებთან დაკავშირებით. „... და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა. და მუნ ქმნეს ქორნილი“.

XII საუკუნეში დიდუბეში მდგარა მეფის სასახლე და კარის ეკლესიაც.

XIII ს. სახელი „დიდუბე“ ქართულ საისტორიო წყაროებში კარგა ხნით, თითქმის მთელი ოთხი საუკუნით, ქრება.

სოფელი დიდუბე ხელახლა დასახლებულა ვახტანგ V-ის დროს (1658-1676 წწ.). ამის შემდეგ დიდუბე აღარ მოშლილა. იგი ხალხმრავალი და ეკონომიურად ღონიერი სოფელი გამხდარა. მას ვახუშტი ბაგრატიონი „ქრისტიანთ დაბას“ უწოდებს.

დიდუბის მოურავის სახელო 1740 წელს მეფე თეიმურაზ მეორემ თავად გურგენიძეს უბოძა.

**XVIII ს. სოფ. დიდუბეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ჩუღურეთის და კუკიას მინები, თელისხევიდან გაუყვებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით მელის გორა, სწორხაზოვნად გახილული გორა (უღელტეხილი), ყენის გორა (ყენისი), სათათო გზა, ხევძმარი და აქედან ჩაუყვებოდა მდინარე მტკვარს. დასავლეთიდან მას ესაზღვრებოდა მდ. მტკვარი.**

სოფ. დიდუბე ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარია. ქართლისა და კახეთის „სამძღვარი, ხევ-ძმარის ყვითელი ფლატე...“ გვამცნობს „დასტურლამალი“. როგორც აღვნიშნეთ, ხევძ-

მარი დიდუბეს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა და მას ჰყოფდა სოფ. ავჭალისაგან.

1721 წელს ჩატარებული აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისა და სოფელთა აღწერის ნუსხის მიხედვით სოფ. დიდუბეს შეეძლო გამოეყვანა 30 მოლაშქრე.

ოსმალობა-ყიზილბაშისდროს (1723-1747 წწ.) ქვეყანა ისევ ნაოხრად და ვერანად იქცა. თავადაზნაურთა მიერ ძმათა სისხლის ღვრას, ყმა გლეხთა მოტაცებას და უცხოეთში გაყიდვას დაერთო ლეკთა გამუდმებული თარეში — აბრაგობა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა და ილაჯს უწყვეტდა ქართველ ხალხს. მოსახლეობის რიცხვი საბედისწეროდ შემცირდა.

XVIII ს. 60-იანი წლების შემდეგ, თითქმის საუკუნის დასასრულამდე (1796 წ.), დიდუბე ქართულ საისტორიო წერილობით წყაროებში აღარ გვხვდება. გიულდენშტედტი თავის ნაშრომში დიდუბის დანგრეულ ციხეს ახსენებს. მისივე საქართველოს 1772 წლის რუკაზე დატანილია დიდუბის გაპარტახებული ციხე. მოგზაურის მიერ დიდუბის ციხე-გალავნის ასეთ მდგომარეობაში ნახვა ლეკთა რბევა-ნამუსრევზე უნდა მიგვანიშნებდეს.



# ლადო გუდიაშვილი: მოხარული ვარ, რომ კიბეათიკის ინსტიტუტის მაცნეას აქვს სიყვარული ხატვის

როდესაც ტარიელ ზანგურაშვილის გამოფენაზე წასვლა გადავწყვიტე, განწყობილი ვიყავი საიმისოდ, რომ დამხვდებოდა ერთი სრულიად ჩვეულებრივი თვითნასწავლი მხატვარი და მისი ტილოები, თანაც კომუნისტური პერიოდის ხატვის მანერით (მხატვარი დაბადებულია 1935 წელს ქ. თბილისში, ხელოვნებას 36 წლის ასაკში ეზიარა). ვფიქრობდი, რომ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში არ ვართ განებივრებული გამოფენებით და მხატვართა ნამუშევრებით (ხატვა ნიჭა და პრაქტიკასთან ერთად სერიოზულ დაფინანსებასაც მოითხოვს და, ალბათ, ამიტომ), თუმცა, როდესაც გამოფენაზე მოვხვდი, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა.

„ქალი ბავშვებით“ სულაც არ არის შესრულებული საბჭოური მონუმენტური სტილით, მშვენიერი პორტრეტია და ფერწერის ქართული სკოლის ღირსეულ ნამუშევრად უნდა ჩაითვალოს; უფრო პროფესიონალის ტილოს ჰვავს, ვიდრე თვითნასწავლი მხატვრის ნამუშევარს, მით უფრო, რომ ბატონი ტარიელი, თურმე, ტექნიკური და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენე-

ლია (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია გამოთვლითი ტექნიკის სპეციალობით. მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა უფროს მეცნიერ თანამშრომლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან 20 წლის წინ მზის


ენერგიაზე მომუშავე ელექტროგენერატორი გააკეთა).

„უყურებდა რა, თუ როგორი გატაცებით ხატავენ მისი ბავშვები, მანაც აიღო ხელში ფანქარი, ეს დამატებით შტრიხს ავლებს მხატვრის შემოქმედებაში. მისი შემოქმედება დაიწყო კარიკატურულ ჟანრში და ნელ-ნელა გადავიდა ფერწერაზე,“ — აღნიშნა ჩვენთან საუბარში მხატვრის ქალიშვილმა, ქალბატონმა მანანა ზანგურაშვილმა.

თავდაპირველად საბჭოთა საქართველოს პრესამ მიაქცია ყურადღება ნიჭიერ თვითნასწავლ მხატვარს, შემდეგ კი გამოფენებიც მონაწილეობდა.

„მამა განსაკუთრებით დიდ პატივს სცემს ფერწერას და დიდი სიამოვნებით მუშაობს ხელოვნების ორივე ჟანრში“, — აღნიშნავს ქალბატონი მანანა ზანგურაშვილი.

ბატონი ტარიელი მონაწილეო-



„მაულე და შვილები“

ბდა თვითნასწავლ მხატვართა 1974 წლის რესპუბლიკურ მოძრავ გამოფენაში. ამავე წელს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოწყობი მისი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა, ხოლო მეორე პერსონალური გამოფენა — 1978 წელს. ტარიელ ზანგურაშვილის ნამუშევრების გამოფენები შეუმჩნეველია არ დარჩენილა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ (ბაქო, ერევანი, მოსკოვი), რასაც მონაბეჭდის გამოფენებზე მიღებული მრავალი პრიზი, მხატვრული თვითშემოქმედების პირველი საკავშირო ლაურეატის დიპლომი და სხვა დიპლომები.


ეს რიგით მე-5 პერსონალური გამოფენაა, რომელზეც წარმოდგენილია ნახატები ციკლიდან „მოგონება“ და რელიგიურ თემაზე შექმნილი ნახატები. ცხადია, ბატონი ტარიელის მთელი შემოქმედება გაცილებით ვრცელ გამოფენას მოითხოვდა, მაგრამ სიმბოლურად მხატვარმა ექსპოზიცია ასე იმიტომ გაიაზრა, რომ მის



„მუსიკის გაკვეთილი“

ცხოვრებასა და შემოქმედებაში რწმენას ძალიან დიდი ადგილი უკავია. ალბათ, ამავე მოსაზრებით შეირჩა გამოფენისთვის სამების საკათედრო ტაძარი — **საქართველოს საპატრიარქოსთან არ-**

**სებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.** კერძოდ, არც ისე დიდი ხნის წინ ბატონმა ტარიელმა თავისი ხელით შექმნილი 5-მეტრიანი ჯვარი წააპირა.



„სკამისოვის სვლა“



„გამოხცევლის მუზა“



თავის დედულეთში და მის მიერვე აშენებულ ნიშაში დაპრძნანა. სა- ერთველოს კათოლიკოს- პატრიარქს, უმილდესა და უცემარესს — ილია მეორეს საჩუქრად გადასცა თავისი ნახატი (იხ. უნივერსალის გარეკან- ზე), რომელიც ამჟამად საპა- ტრიალებში ინახება.

მართალია, ბატონ ტარიელს ას- აკთან ერთად ჯანმრთელობაც აღარ უწყობს ხელს, მაგრამ სამი შვილიშვილის ბაბუა უკვე ემზა-

**იორებ სამსონები:**  
მისი თავისებური სელენა საგულისხო ჯამოქაფაგით შედეგი იძლევა. განსაკუთრებული მომზადებისა მისი გრაფიკა კარიკატურისა და იუმორისტული ნახატის აზროვნებისა და გასრულების თვალსაზრისით. როგორც წასი, ის აგ ნახატების თავის ავტორისაა. მომზადების გულებრყვილობითა და ჩვენი ქვეყნის სიკვარეებით წას ტარიელი თავის ფართისა და ტილოებს.

დება შემდგომი გამოფენებისთ- ვის და ახალი შემოქმედებითი გე- გმებიც მრავლად აქვს. პრაქტი-

კულად გადაწყვეტილია შემდეგი გამოფენის ჩატარების ადგილი — ერთ-ერთი კულტურის სახლი.

სამებაში გამოფენა დაათვალი- ერეს და ტარიელ ზანგურაშვილი- ის შემოქმედებას მაღალი შეფა- სება მისცეს ქართული კულტუ- რის თვალსაჩინო წარმომადგენ- ლებმა. გარდა ამისა, დარბაზში, სადაც ნამუშევრებია გამოფენი- ლი, დამთვალიერებელთა სიმ- რავლეა.

ისლა დაგვრჩენია, მხნეობა და ჯანმრთელობა ვუსურვოთ სასი- ქადულო მამულიშვილს, მხატვარ ტარიელ ზანგურაშვილს. აქვე და- ვძენთ, რომ გადასახედია სახელ- მწიფო პოლიტიკა კულტურის სფეროში, იქნებ მოხერხდეს და ამ ტიპის გამოფენების ორგანიზე- ბაში სახელმწიფომაც მიიღოს მო- ნაწილება.



„როდე სიკვდილი პატივებს გარშემო, თქვენ რა გაჩეუდეთ...“

ელი ხომალია



